პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 13—38.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- პოლონეთის სეიმი გაიხსნება 27 მარტს.
- გლეხთა კავშირების გაერთიანება იაპონიაში.
- გაიხსნა ტანჟერის კონფერენცია.
- ინგლის-საბჭოთა ნავთის მეტოქეობა სპარსეთში.
- ავსტრიელი წითელ-ფრონტელების დევნა.
- გერმანიის რეიხსტაგმა აირჩია კომისია ამნისტიის საკითხის განსახილველად.
- თავდასხმა გლეხებზე სილეზიაში.

ხუთშაბათი, 22 მარტი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 67 (2110)

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

თემის ბიუჯეტის განმტკიცებისათვის

ჩვენში თემის ბიუჯეტის თითქმის სამი წლის არსებობამ, სავსებით ცხადჰყო, რომ მას ადგილობრივ ფინანსების სისტემაში მკვიდრი ნიადაგი აქვს, რომ მან საპატიო ადგილი დაიჭირა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ეს მოხდა მიუხედავად იმისა, რომ თემის ბიუჯეტის ორგანიზაციისა და განმტკიცების საქმეს წარსული წლების განმავლობაში წინ ელობებოდა მთელი რიგი დაბრკოლებათა, რომელნიც დღესაც არ არიან გადალახულნი.

თემების წინაშე პირველ ყოვლისა, დაისვა ელემენტარული, მაგრამ აუცილებელი პირობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იყო ბიუჯეტის შედგენა და მის პრაქტიკულ განხორციელებაზე ზრუნვა. ესაა თემის ეკონომიურ შესაძლებლობათა გამორკვევა. ამას კი აფერხებდა ერთი მხრივ ის გარემოება, რომ ბევრგან ჯერ კიდევ სავსებით დამთავრებული არ იყო თემების ტერიტორიალურად შემოფარგვლა, და მეორე მხრივ ფინანსთა მუშაკების რიცხვის სიმცირე. ამასთან ერთად თემაღმასკომები ბევრ შემთხვევაში მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო მოკლებული იყვნენ საშუალებას გაეთვალისწინებიათ თავის საზღვრებში შეკრებილ გადასახადის შემოსავალი, არ იყო განსაზღვრული ერთმანეთისაგან სამაზრო და სათემო მნიშვნელობის წარმოებანი, ქონება და სხვა. თავისთავად ცხადია, ასეთ პირობებში დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სამი წლის განმავლობაში თემის ბიუჯეტის ხვედრითი წონა მნიშვნელოვნად გაიზარდა. თემის ბიუჯეტის შემოსავალი შეუჩერებლივ მატულობს და ამის შესაფერისად კლებულობს მისი დეფიციტი. რომ ეს მიღწევები კიდევ უფრო გავაფართოვოთ, საჭიროა მომავალ სამეურნეო წლისათვის თემის ბიუჯეტების გადასინჯვა მათი. საგასავლო ხარჯების შეკვეცის მხრივ, იმ აუცილებელი პირობით, რომ ეს შეკვეცა უნდა მოხდეს გასავალის მთავარ ნაწილის, ესე იგი ხელფასზე გაღებულ ხარჯების. გამორკვეულია, რომ სათემო ბიუჯეტის გასავლის ნაწილში ხელფასის ხვედრითი წონა 70 პროცენტს უდრის. ეს არის ერთი ძირითადი მტკივნეული ადგილთაგანი ჩვენს სათემო ბიუჯეტის აღმშენებლობაში.

იმისათვის, რომ სათანადოთ გაიზარდოს სათემო ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავალი, საჭიროა გასავალის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდეს თემის ეკონომიურ და კულტურულ კეთილმოწყობას. წინააღმდეგ შემთხვევაში არასაგადასახადო შემოსავალის გაძლიერება დიდხანს დარჩება ჩვენი ადგილობრივი სოფლის ორგანოების წინაშე გადაუჭრელ ამოცანათ. წარსული სამი წლის განმავლობაში, როგორც ამას მოწმობს საქ. მუშ. და გლეხთა ინსპექ. მიერ ჩატარებული გამოკვლევა, თემის ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავალი ცხრა პროცენტითაც ძლივს გაიზარდა (1925 — 26 წ. იყო 17,2%, 1927—28 წ. — 25,8%).

ამ ძირითად ნაკლის დაძლევისაკენ უნდა იქნას მიპყრობილი ჩვენი მთავარი ყურადღება. თემის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილისათვის მეტ ნაწილად წარმოებითი ხასიათის მიცემა და ამასთან ერთად მისი არასაგადასახადო შემოსავლის გაძლიერება — სოფლის ადგილობრივ საფინანსო მუშაობის პირველხარისხოვან ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. რომ ეს ამოცანა წარმატებით იქნას გადაჭრილი, საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას ის შედარებით წვრილმანი დეფექტები, რომელთაც ადგილი აქვთ დღეს თემის ბიუჯეტის მშენებლობაში.

პირველ ყოვლისა თემის ბიუჯეტის საკითხში თემაღმასკომს მეტი დამოუკიდებლობა და აქტივობის შესაძლებლობა უნდა მიეცეს. არის მაგალითები, როცა თემის ბიუჯეტი სდგება სამაზრო ცენტრში, თემი მას ღებულობს უკვე „ცნობათ და შესრულებისათვის“. ამასთან ერთად, არც ისეთი მაგალითებია იშვიათი, როცა სამაზრო აღმასკომები ეპატრონებიან ძლიერი თემების შემოსავალს. არის შემთხვევები, როცა სამაზრო აღმასკომს შუა წელში შეაქვს ბიუჯეტში ისეთი გასავალი, რომელიც თავიდანვე არ ყოფილა ბიუჯეტით გათვალისწინებული.

ასეთი მდგომარეობა დიდათ აფერხებს თემის ბიუჯეტის ზრდა - განმტკიცების საქმეს. ბიუჯეტის შედგენაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს არა მარტო თემის ხელმძღვანელ საბჭოთა ორგანოებმა, არამედ საბჭოს ყველა წევრებმა და ამომრჩეველ გლეხკაცობამ. ამასთან ერთად მტკიცედ უნდა იქნას დაცული თემის უფლება თავის ბიუჯეტზე. სამაზრო აღმასკომებმა ყოველნაირათ უნდა შეუწყონ ხელი თემის ბიუჯეტის უცვლელად გატარებას. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თემის ბიუჯეტის ზრდა-განვითარების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადოთ მომზადებულ ტეხნიკური პერსონალის გამოძებნას. ამ მიზნით მიღებულ უნდა იქნეს ზომები ადგილობრივ საფინანსო მუშაკების მასიურად გადამზადებისათვის.

სოფლის კეთილმოწყობისა და ეკონომიურად დაწინაურებისათვის ადგილობრივ ფინანსების მოწესრიგებას უაღრესი მნიშვნელობა აქვს. უამისოთ წარმოუდგენელია გეგმიანი და მტკიცეთ გათვალისწინებულ ფინანსიურ ბაზაზე დაყრდნობილი მუშაობა. თემის ბიუჯეტმა ჩვენს სინამდვილეში სრული გამართლება ჰპოვა. ის შეუჩერებლივ იზრდება და ვითარდება. მაგრამ მას თან სდევს როგორც ძირითადი ობიექტიური ხასიათის დეფექტები, ისე სუბიექტიური ხასიათის დაბრკოლებანი. რომ თემის ბიუჯეტის აღმშენებლობა ნორმალურად განვითარდეს, საჭიროა სამაზრო და თემის საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბიუჯეტო დისციპლინის თავიდან ბოლომდე მტკიცეთ დაცვას და შემჩნეულ დეფექტების წინააღმდეგ ენერგიულ ბრძოლას.

საბჭოთა წინადადება და იმპერიალისტური სახელმწიფოები

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის ტრიბუნიდან, კომისიის სხდომების უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს. რაც არ უნდა ითქვას შემდეგში ამ სიტყვის შესახებ, როგორც არ უნდა შეეცადონ მის გადამახინჯებას ან დამალვას მშრომელ მასებისაგან, ეს მკაფიო პოლიტიკური გამოსვლა მაინც ცხოველ გამოძახილს ჰპოვებს მშვიდობიანობის ყველა პატიოსან მომხრეებს შორის, ვინაიდან ის ეხება უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, რომლებიც აღელვებენ თანამედროვე კაცობრიობას.

ჩვენი პროექტი ნათელი და მარტივია. ამავე დროს ის დამუშავებულია ტეხნიკურად. ჩვენ ვაყენებთ წინადადებას საყოველთაო, სრულ და დაუყონებლივ განიარაღების შესახებ, და ვაფიქსებთ მისი განხორციელების კონკრეტულ ვადას, რათა კონვენციის ხელის მოწერიდან უკვე პირველი წლის განმავლობაში ხმელეთის, საზღვაო და საჰაერო ყველა შეიარაღებული ძალები ისეთ მდგომარეობაში იქნეს მოყვანილი, რომ შეუძლებელი გახდეს მათი გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის.

ჩვენ პირდაპირ, გარკვეულად ვსვამთ საკითხს კაპიტალისტურ სახელმწიფოების წინაშე; თანახმა არიან თუ არა ისინი შეუდგენ ნამდვილ განიარაღებას? თანახმაა თუ არა ლიგის კომისია მიიღოს საფუძვლად საბჭოთა პროექტი? თანახმა არიან თუ არა იმპერიალისტური ქვეყნები განახორციელონ ნამდვილი განიარაღება? უარყოფითი პასუხი ამ კითხვაზე ან მისი უპასუხოდ დატოვება ამა თუ იმ ფორმალურ, „ტეხნიკურ“ ან დიპლომატიურ საბაბით ნიშნავს მხოლოდ ერთს: კომისიის ყოველგვარი ლაპარაკის მუშაობის და „ღონისძიებების“ გაქარწყლებას, არარად ქცევას. მაშინ თვითეულს უფლება აქვს დასცინოს ამ „საპატიო“ დაწესებულებას. მაშინ ყველანი დაინახავენ, რომ „ჟენევის სამშვიდობო ინსტიტუტი“ არის მხოლოდ ხროვა ტიტულიან ფარისევლების, რომელთაც თავი მოაქვთ დამპალი პაციფიზმით. მაშინ ჟენევის „მშვიდობიანობის ანგელოსი“ დარჩება მხოლოდ იმათ, რაც იყო დღემდე, ე. ი. დაცინვის, ეპიგრამების და მოხდენილ კარიკატურების დაუშრეტელ წყაროთ. მაშინ იმპერიალისტური სახელმწიფოები კიდევ ერთხელ, კიდევ უფრო სამარცხვინოთ გამოამჟღავნებენ თავიანთ ზრახვებს.

ჩვენ ვიცით, რომ შეეცდებიან ჩვენი პროექტისათვის სახელის გატეხას. კამპანია საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ უკვე სწარმოებს წინასწარ, სისტემატიურად. მაგრამ ეს ცდები მეტად უძლური და უბადრუკია, მეტად უვარგისი და უსაფუძვლოა იმისათვის, რომ დაჩრდილონ ჩვენი წინადადების ნამდვილი აზრი და შინაარსი. ჩვენი პროექტის, ისევე როგორც საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკის უდიდესი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი წინადადება გამოხატავს მთელი მსოფლიოს მშრომელ მასების იმედებს და სურვილს, გამოხატავს მათ ზიზღს იმისადმი, რომ სხვისი ინტერესებისათვის ილვრებოდეს მუშისა და გლეხის სისხლი, გამოხატავს მათ მისწრაფებას ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოუღონ მსოფლიო ომების საშინელებას და იმპერიალისტურ მილიტარიზმის პოლიტიკას. მშრომელი მასები—აი ვინ არის ჩვენი პროექტის ნამდვილი მეგობარი და მომხრე.

საბჭოთა პროექტის რკინისებური ლოღიკა, სიმარტივე და გარკვეულობა ისეთია, რომ თვით ზოგიერთი ბურჟუაზიული ქვეყნების და აგრეთვე იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებიც, რომელთაც ნაწილობრივ წარსულში, ნაწილობრივ ამ ბოლო დროს განიცადეს თავის თავზე „გამარჯვებულთა“ ჯავშნიანი მუშტის სიმძიმე, იძულებული გახდენ გამოსულიყვნენ მთელ რიგ საინტერესო განცხადებებით ჩვენი პროექტის გარშემო.

გერმანიის დელეგაციის სახელით ბერნსტორფმა აღნიშნა სავსებით ნათელი ჭეშმარიტება, რომ „ჯერჯერობით ერთა ლიგას განიარაღების საკითხში დიდი არაფერი გაუკეთებია“. (დიპლომატიურ ენაზე „დიდი არაფერი“ ნიშნავს „არაფერს“), განაცხადა, რომ გერმანიის დელეგაცია მხურვალედ ესალმება საბჭოთა წინადადებას, რომ საბჭოთა წინადადება გამოაცოცხლებს კომისიის მუშაობას და რომ ის, ბერნსტორფი, მხარს უჭერს ლიტვინოვის წინადადებას—ეხლავე დანიშნულ იქნეს განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ვადა. თურქეთის დელეგაციის თავმჯდომარე ტევფიკ-რუშდი-ბეიმ თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციამ თავისი წინადადებით საყოველთაო განიარაღების შესახებ დაამტკიცა მშვიდობიანობის საქმისადმი ერთგულება.

ეს განცხადებები გვეკუთვნის არა ჩვენ, არამედ ბურჟუაზიულ ქვეყნების წარმომადგენლებს. ამ თავის განცხადებებში—რასაკვირველია, ისინი—ხელმძღვანელობდენ სულ სხვა მოსაზრებებით, ვინემ, პროლეტარულ სახელმწიფოს წარმომადგენელი ამხ. ლიტვინოვი. მაგრამ რას იტყვიან ამის შესახებ იმპერიალისტურ მსოფლიოს მესვეურნი, რომლებიც დღე და ღამე გააფთრებულ კამპანიას აწარმოებენ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ, საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ. გავიგონებთ თუ არა ჩვენ მათგან სხვა რასმეს, გარდა მყვირალა, მომაბეზრებელ ფრაზებისა „უტოპიურობის“ და რადიკალიზმის შესახებ. მოსალოდნელია მხოლოდ იმ სიის გადიდება, რომელიც მოიყვანა ლიტვინოვმა და რომელიც არ არის მოკლებული ერთგვარ პოლიტიკურ პიკანტობას: ლიგის და მისი კომისიების 120 სესია და 111 რეზოლიუცია განიარაღების საკითხის გარშემო. შესაძლებელია, რომ ამ ორ ციფრს მიემატოს თითო ნოლი, მაგრამ რა შეიცვლება ამით ჩვენს სინამდვილეში?.

მშრომელი მასები გაეცნობიან ჩვენ პროექტს და ამ პროექტს დაუპირდაპირებენ იმას, რის შესახებაც ლაყბობენ იმპერიალისტები. ისინი მიხვდებიან, თუ რას ნიშნავს განიარაღება კაპიტალისტურად, ე. ი. განიარაღება სიტყვით, ხოლო შეიარაღება საქმით. ისინი დაინახავენ, თუ როგორ გამოიყურება განიარაღება საბჭოთა მთავრობის პროექტში. ისინი დაინახავენ, თუ ნამდვილი განიარაღების პოლიტიკას როგორ ელობება წინ ავანტიურების და სისხლის მღვრელ ომებისათვის მზადების პოლიტიკა. ისინი ადრე თუ გვიან შესძლებენ არჩევანის გაკეთებას.

საბჭოთა მთავრობა პირდაპირ სვამს იმპერიალისტურ სახელმწიფოების წინაშე საკითხს განიარაღების შესახებ. მას არ სწამს იმპერიალისტების მშვიდობიანობის მოყვარეობა და ბურჟუაზიული პაციფიზმის ილიუზიები, მაგრამ ის ყოველგან და ყოველთვის გამოამჟღავნებს თავის მტკიცე სამშვიდობო პოლიტიკას, აწარმოებს ბრძოლას საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის. საბჭოთა მთავრობამ მშვენივრად იცის, რომ მის წინადადებებში გამოხატულია მთელი მსოფლიოს მშრომელ მასების საუკეთესო იმედები და რომ ამ მასებში ჰპოვებს ის მხურვალე თანაგრძნობას და უდიდეს დახმარებას.

„პრავდა“ 21 მარტი.

უცხოეთის პრესა ამხ. ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

გერმანიის მუშები გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკების შეწყვეტის წინააღმდეგ

საბჭოთა ნავთი დიდ მეტოქეობას უწევს ინგლისის ნავთს სპარსეთში

ამხ. ლიტვინოვის სიტყვის გამოძახილი

ბურჟუაზია აღშფოთებულია

პარიზი, 20 მარტი. საფრანგეთის პრესა, უკეთებს რა კომენტარიებს განიარაღების მოსამზადებელ კომისიის მუშაობას, გულგატეხით, და აგრეთვე გაბრაზებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ გერმანიამ და თურქეთმა მხარი დაუჭირეს ლიტვინოვს.

„პტი პარიზიენი“-ის ჟენეველი კორესპონდენტი სწერს:

„კომისიის სხდომამ აღნიშნა ლიტვინოვის მკაცრი საავიტაციო სიტყვით და საბჭოთა, გერმანიის და თურქეთის სოლიდარობის საინტერესო მანიფესტაციით“. მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის მთელმა პრესამ გამოაქვეყნა ჰავასის სააგენტოს ცნობა, რომ ამერიკის ჟენეველ წრეების ცნობით, ამერიკა პასუხს არ გასცემს ლიტვინოვის მოწოდებაზე, რეაქციონური „გოლუა“ სასტიკად ილაშქრებს ლიტვინოვის წინააღმდეგ, ვინაიდან მან „ჟენევის ტრიბუნა გამოიყენა გაბოროტებულ ანტიმილიტარისტულ პროპაგანდისათვის; ამ პროპაგანდის მიზანია ნაციონალურ არმიების დაშლა და მოსკოვის ჰეგემონიის უზრუნველყოფა“. გაზეთი გამოსთქვამს შიშს, რომ შესაძლებელია შეთანხმება განიარაღების საკითხში საბჭოთა კავშირსა, გერმანიასა და ამერიკას შორის. (ადს).

გერმანიის პრესა ლიტვინოვის სიტყვის შესახებ

ბერლინი, 20 მარტი. გერმანიის პრესა დაწვრილებით აქვეყნებს ლიტვინოვის სიტყვას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სესიაზე. გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს ლიტვინოვის და გერმანიის წარმომადგენლის ბერნსტორფის შეთანხმებულ გამოსვლას.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“ აქვეყნებს ჟენევიდან მიღებულ ცნობას სათაურით „გერმანია-რუსეთ-თურქეთის ფრონტი“. გერმანელ ინჟინერების საქმესთან დაკავშირებით „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“ შენიშნავს:

„უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა დელეგაციამ ჟენევაში გადასდგა ახალი ნაბიჯი, რომელსაც გერმანიის დელეგაცია შეუერთდა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ გერმანიის მთავრობა, მიუხედავათ გერმანელ ინჟინრების დაპატიმრებისა, მზადაა რუსეთთან ერთად აწარმოოს პრაქტიკული პოლიტიკა“. (ადს).

იტალიის პრესის აზრი

რომი, 20 მარტი. იტალიური პრესა, მიუხედავათ უარყოფითი დამოკიდებულებისა საბჭოთა პროექტისადმი, არ მალავს თავის კმაყოფილებას იმის გამო, რომ ლიტვინოვის, ბერნსტორფის და რუშდი-ბეის გამოსვლამ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა ისინი, ვინც ცალიერი სიტყვით ემხრობიან განიარაღებას.

„დჟორნალე დ'იტალია“ აღნიშნავს რუშდი-ბეის გამოსვლას, რომელიც მოეწონა ინგლისის დელეგაციას (გარდა თავდაუსხმელობის ხელშეკრულებისა და უშიშროების გარანტიისა) და ფიქრობს, რომ თურქეთს სურს დაერიდოს ინგლისს და ისე გაატაროს თავისი ხაზი. (ადს).

„ზინოვიევის წერილი“-ს გარშემო

ყველამ, გარდა ლოიდ-ჯორჯისა

ლონდონი, 20 მარტი. ირკვევა, რომ მუშათა პარტიის იმ წინადადების კენჭის ყრის დროს, რომელიც მოითხოვდა „ზინოვიევის წერილის“ წარმოშობის საკითხის გამორკვევას, ყველა ლიბერალებმა, გარდა ლოიდ ჯორჯისა, ხმა მისცეს ამ წინადადების წინააღმდეგ. (ადს).

ვინ არის იმტერნი

ლონდონი, 20 მარტი. იმტერნი, რომლის წერილიც ბოლდუინმა გამოაქვეყნა კამათის დროს, როგორც „ზინოვიევის წერილის“ სინამდვილის დამამტკიცებელი საბუთი,—არის გემთსააღმშენებლო დიდი ფირმის მონაწილე. ამ ფირმას ინტერვენციის დროს საქმეები ჰქონდა რუსეთის მოხალისე ფლოტის საზოგადოებასთან, როცა ეს უკანასკნელი თეთრგვარდიელების ხელში იყო. იმტერნი ემხრობა კონსერვატორებს და აქვს გავლენიანი პოლიტიკური კავშირი. (ადს).

„დეილი ჰერალდ“-ის კითხვა

ლონდონი, 20 მარტი. „დეილი ჰერალდ“-ი აყენებს კითხვას:

„თუ ინგლისის მთავრობას სწამს, როგორც ბოლდუინი აცხადებს, რომ „ზინოვიევის წერილი“ მიიღო ინგლისის კომუნისტურმა პარტიამ, მაშინ რატომ მაკ-მანუსი, რომლის მისამართით იყო თითქოს გამოგზავნილი ეს „წერილი“, არ მისცეს პასუხისგებაში, როგორც მეამბოხე?“. (ადს).

ინგლისის პრესის კომენტარიები

ლონდონი, 20 მარტი. ინგლისის პრესა გაცხოველებით უკეთებს კომენტარიებს იმ კამათს, რომელიც გაიმართა თემთა პალატაში „ზინოვიევის წერილის“ გარშემო.

კონსერვატიული გაზეთები, უმთავრესად, აღნიშნავენ მაკდონალდის დამარცხებას, რომელიც უიმედო მდგომარეობაში ჩავარდა.

ლიბერალური პრესა სასტიკად აკრიტიკებს რა მაკდონალდის სიტყვას, უწოდებს მას ბუნდოვანს და უთავბოლოს და აცხადებს, რომ ამ სიტყვამ დიდათ გაადვილა ბოლდუინის ამოცანა.

გერმანიის მუშები მოითხოვენ

საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების განახლებას

ბერლინი, 20 მარტი. სოციალ-დემოკრატ მუშათა ფართე წრეების სოლიდარობა საბჭოთა კავშირისადმი და აღშფოთება „ფორვერტს“-ის გამოსვლით გამოხატულებას პოულობს მემარცხენე სოციალ - დემოკრატიულ გავლენიან გაზეთ „ლეიპციგერ ფოლკსცეიტუნგ“-ის წერილში.

გაზეთი სწერს: „ვინაიდან გერმანელ ინჟინერების დაპატიმრებას საბჭოთა კავშირში ალბათ საკმაო საფუძველი ჰქონდა, ამიტომ ჩვენ ვდგევართ იმ თვალსაზრისზე, რომ ინჟინერების დაპატიმრება გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოიყენა მხოლოდ საბაბით მოლაპარაკების ჩასაშლელად. შტრეზემანის აჩქარებული მოქმედება აიხსნება მისი ორიენტაციის შეცვლით საგარეო პოლიტიკაში. სოციალ-დემოკრატ მუშების ინტერესები მოითხოვს, რათა მათ უდიდესი უნდობლობით ადევნონ თვალყური თვითეულ ნაბიჯს, რომელიც საგარეო პოლიტიკაში მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და გაუწიონ მას სასტიკი წინააღმდეგობა. ამიტომ ს.-დ. მუშები ჰგმობენ ეკონომიური მოლაპარაკების ჩაშლას და წინააღმდეგობას გაუწევენ კამპანიას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“ (ადს).

რუმინელ მემამულეთა სამფლობელოში

გლეხთა პარტიის ახალი კურსი

ვენა, 20 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, სარეგენტო საბჭოსთან მოლაპარაკების შემდეგ, მანიუმ მოლაპარაკების შედეგები აცნობა გლეხთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ვინაიდან სარეგენტო საბჭომ უარჰყო მანიუს მოთხოვნილება, რომ მთავრობის შედგენა მიენდოთ გლეხთა პარტიისათვის, ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოიწვიოს ყველა თავისი დეპუტატები პარლამენტის ორივე პალატიდან და გლეხთა პარტიის ყრილობა, რომელიც 22 აპრილისათვის არის დანიშნული ალბაიულში, ჩაატაროს იმ შემთხვევაშიაც, თუ ხელისუფლება კვლავ აკრძალავს ამ ყრილობას.

უნიატების დემონსტრაცია სემიგრადიეში

ვენა, 20 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით, 18 მარტს სემიგრადიეს ქალაქებში შესდგა მასიური საპროტესტო დემონსტრაციები სარწმუნოების შესახებ ახალი კანონპროექტის მიღების წინააღმდეგ. დემონსტრაცია მოაწყვეს უნიატმა-კათოლიკებმა, რომელთაც ეშინიათ, რომ მართლმადიდებელი ეკლესია ახალი კანონის საშუალებით კათოლიკურ ეკლესიას წაართმევს მის ქონებას. ბევრ ქალაქებში დემონსტრაციას მეთაურობდა კათოლიკური სამღვდელოება. ქალაქ მაროშვაშარჰელში დემონსტრანტებსა და ჯარის ნაწილებს შორის მოხდა შეტაკება. მრავალი დემონსტრანტი, მათ შორის 15 მღვდელი, დაჭრილია. უნიატთა სამღვდელოებამ სემიგრადიეში გადასწყვიტა, პროტესტის ნიშნად შეწყვიტოს მღვდელმსახურება ყველა ეკლესიებში. (ადს).

კომუნისტების დაპატიმრება

ვენა, 20 მარტი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ორადეა-მარეში (სამრეწველო ცენტრი ჩრდილო-დასავლეთ სემიგრადიეში) დააპატიმრეს 40 კაცი. დაპატიმრებულებს ბრალად ედება კომუნისტურ პარტიის წევრობა. ოფიციალურ ცნობაში დაპატიმრების შესახებ ნათქვამია, რომ ქალაქში კიდევ მოხდება დაპატიმრებანი. ოპოზიციონურ წრეებში ფიქრობენ, რომ მთავრობა, კომუნისტების წინააღმდეგ კამპანიის დაწყებით ცდილობს საზოგადოებრივი აზრის ყურადღება ჩამოაშოროს იმ დიდ მღელვარებას, რომელიც უკანასკნელმა ამბებმა გამოიწვია.

პროფინტერნის კონგრესი

კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო.

მოსკოვი, 21 მარტი. პროფინტერნის კონგრესის 20 მარტის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო. პირველად კამათში გამოვიდნენ შემდეგი დელეგატები: გერმანიის (ამხ. გეკკერტი), ინგლისის (ამხ. ხორნერი), ლათინური ამერიკის (ამხ. მარტინეცი), ავსტრალიის (ამხ. ჯეფფერი) და პოლონეთის (ამხ. დემბიცკი).

საღამოს სხდომაზე ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ტომანი (ავსტრია), კუგლერი (შვეიცარია), როდრიგო (კუბა) და მონმუსსო (საფრანგეთი). (ადს).

პოლონეთის ახალი სეიმის სესიის გახსნა

ვარშავა, 20 მარტი. პოლონეთის ახალი სეიმის სესია გაიხსნება 27 მარტს პრეზიდენტის სასახლეში. პოლონეთის სოციალისტური პარტიისა და „ვიზვოლენიეს“ დეპუტატები მონაწილეობას არ მიიღებენ პირველ სხდომაზე, ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ სესია იხსნება არა სეიმის შენობაში.

ინგლის-საბჭოთა მეტოქეობა ნავთის ასპარეზზე

თეირანი, „ეიოს“-ი ძლიერ შეშფოთებულია ბაქოს ნავთის პროდუქტების გამოჩენით შირაზში. ამასთან დაკავშირებით, შირაზში ჩავიდა სამხრეთის ნავთის კომპანიის წარმომადგენელი. ინგლისის ნავთის კომპანიას განზრახული აქვს შექმნას აქ ბაზა თავის პროდუქტების გასასყიდად. იუწყებიან, რომ კომპანია უკვე ქირაობს მიწის ნაკვეთს საწყობების ასაგებად.

პოლონეთ-გერმანიის მოლაპარაკება

ბერლინი. 20 მარტი. „ბ. ც. ამ მიტაგი“. ბეჭდავს ცნობას, რომლის მიხედვით „გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ჯერ არ სცნობენ შესაძლებლად, რომ ახლო მომავალში განახლდეს პოლონეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკება“

„რომ კვლავ შეიქნას ნიადაგი სამეურნეო საკითხების განსახილველად,—ნათქვამია ცნობაში,—საჭირო იქნება წინასწარი ძნელი დიპლომატიური მოლაპარაკება. დაპირება, რომელიც ზალესკიმ მისცა შტრეზემანს ჟენევაში მოლაპარაკების დროს, შეუსრულებელი დარჩა. ახალი კონტაქტი პოლონეთსა და გერმანიის შორის საეჭვოა დამყარდეს მანამ, სანამ რეიხსტაგის არჩევნები არ მოხდება. (ადს).

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 20 მარტი. საფრანგეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს ინგლისის ელჩად საფრანგეთში ტირელის დანიშვნას, რომელსაც მოწოდება სთვლის საბჭოთა კავშირის დაუძინებელ მტრად, შტრეზემანის ორმაგ პოლიტიკას ჟენევაში, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის შორის ეკონომიური მოლაპარაკების შეჩერებას და ნავთის მსხვილ მრეწველთა პრესის გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის შეწყვეტას. კომპარტია მოუწოდებს მუშებს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონით წინააღუდგენ იმ მტრულ მოქმედებას, რომელიც მზადდება მათი ძმების წინააღმდეგ სოციალისტი პოლიტიკური მოღვაწეების მონაწილეობით. (ადს).

სპარსეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

საბჭოთა კონსულის კულტურული მუშაობა დერეგეზში

თეირანი, 17 მარტი. დერეგეზის გუბერნატორმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კონსულს იმის გამო, რომ მან რაიონში მოაწყო საქმიანი დახმარება, გახსნა კლუბი და გამართა კინო, რაც რამდენადმე აკმაყოფილებს სპარსელი მოსახლეობის კულტურულ მოთხოვნილებას. (ადს).

საბჭოთა კავშირის ახალი კონსულები სპარსეთში

თეირანი, 17 მარტი. ისპაჰანში საბჭოთა კავშირის კონსულად დანიშნული ამხ. კრეემინსკი მარტის 10 გაემგზავრა თავისი სამსახურის ახალ ადგილას. კრეემინსკი მანამდე კონსულად იყო მეშედში.

საბჭოთა კავშირის კონსულად ახვაზში დაინიშნა ამხ. იპოლიტოვი.

საბჭოთა კავშირის ვიცე-კონსულად ყაზვინში დანიშნულია ამხ. ცატუროვი. (ადს).

იაპონია არჩევნების შემდეგ

ტოკიო, 20 მარტი. გაზეთების ცნობით, მინსეიტოს პარტიამ (ბურჟუაზიული ოპოზიცია) აღმოაჩინა მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსტრუქციას ადმინისტრატიულ ორგანოების ჩარევის შესახებ საარჩევნო კამპანიაში და აგრეთვე ამომრჩეველთა მოსყიდვის შესახებ. (ადს).

იაპონიის გლეხთა კავშირების გაერთიანება

ტოკიო, 20 მარტი. ოსაკაში შესდგა იაპონიის გლეხთა სამი უმთავრესი კავშირის გაერთიანებული კონფერენცია. კონფერენციამ პრინციპიალურად გადასწყვიტა სამივე კავშირი გაერთიანდეს ერთ კავშირში. (ადს).

ამხ. ლიტვინოვის სიტყვა

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის სხდომაზე*)

სრული განიარაღებისათვის

ჟენევა, 20 მარტი. საყოველთაო, სრულ და დაუყონებლივ განიარაღების კონვენციის საბჭოთა პროექტი, რომელიც ერთი თვის წინად საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გადასცა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს, სავსებით და მთლიანად დაფუძნებულია იმ პრინციპიალურ დებულებებზე, რომლებიც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის ნოემბრის სესიაზე. ამავე დროს, და ამ მდგომარეობაზე მე მივაქცევ კომისიის განსაკუთრებულ ყურადღებას, კონვენციის პროექტის თანახმად კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში ყველა სახელმწიფოების ხმელეთის, საზღვაო და საჰაერო ძალების ისეთ მდგომარეობაში უნდა იქნეს ჩაყენებული, რომ მათი გამოყენება ომის წარმოებისათვის შეუძლებელი გახდეს. ამით შეიარაღებულ შეტაკებათა შესაძლებლობა მნიშვნელოვნად შემცირდება თვით სრული განიარაღების განხორციელებამდეც. ზედმეტად მიმაჩნია დაწვრილებით შეჩერება ჩვენი პროექტის დეტალებზე, რამდენადაც პროექტს დართული აქვს განმარტება, რომელიც პროექტთან ერთად გაეგზავნა კომისიის ყველა წევრებს. მე მხოლოდ ნებას მივცემ ჩემს თავს მოვაგონო კომისიას, რომ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის მეოთხე სხდომაზე საბჭოთა წინადადებების სერიოზულ განხილვის ცდას, ადგილი არ ჰქონია. ამ საკითხის გარშემო გამართულ მეტად ხანმოკლე კამათის დროს არც ერთი სერიოზული არგუმენტი არ წარმოუდგენიათ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ. არ ჰქონია ადგილი საბჭოთა წინადადების საქმიან კრიტიკას. ცხადია, საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია საქმიან კრიტიკად ჩასთვალოს განცხადებები, როგორც, მაგალითად, რომ საბჭოთა პროექტი მეტად მარტივია ან რომ საყოველთაო განიარაღების შემთხვევაში ერები მაინც აწარმოებენ ურთიერთ შორის ომს შეუიარაღებელ და ორგანიზაციულად დაურაზმავ მასებით, ჯოხების, ჯიბის დანის ან მუშტების საშუალებით.

საბჭოთა წინადადების სიახლე

ასეთი დამოკიდებულება, და აგრეთვე დელეგაციების მიერ უარის თქმა ჩვენ მიერ მოსამზადებელ კომისიის მეოთხე სესიაზე შეტანილ წინადადებათა განხილვაზე ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას საბჭოთა წინადადებების სიახლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამზადებელ კომისიის მეოთხე სესიაზე ზოგიერთები უარყოფდენ ჩვენი პროექტის სიახლეს. მაგალითად ბენეშმა დაასახელა ნორვეგიის რომელიღაც წინადადება, რომელიც თითქოს შემოტანილი იყო ერთა ლიგაში და რომელიც ძლიერ წააგავდა ჩვენს წინადადებას. მე შევეცადე შემემოწმებია ეს განცხადება ერთა ლიგის მასალების მიხედვით, კერძოთ იმ მასალების გადათვალიერებით, რომელიც მე გადმომცა ერთა ლიგის განიარაღების განყოფილებამ. მე ამ მასალებში ვერ ვნახე ვერავითარი კვალი წინადადებისა საყოველთაო და სრულ განიარაღების შესახებ. 1924 წელს ერთა ლიგის განიარაღების საკითხთა მესამე კომისიის სხდომაზე ნორვეგიის დელეგაცია ლაპარაკობდა იმ სურვილების შესახებ, რომლებიც გამოსთქვა საპარლამენტთაშორისო კომიტეტმა სამხედრო ბიუჯეტების ათი წლის განმავლობაში სანახევროდ შემცირების შესახებ. ამავე დროს გაკეთებული შენიშვნები, რომლის მიხედვით ცალკე სახელმწიფოთა სამხედრო ხარჯები ერთა ლიგის წესდების მოთხოვნილებასთან შეფარდებით არ შედიოდა შესამცირებელ ბიუჯეტში. ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი ბიუჯეტის დანარჩენ ნაწილის მოსპობის შესახებ, ისე როგორც, არავის არ უხსენებია შეიარაღებულ ძალების და სამხედრო მასალების რაიმე შემცირება. დანიის დელეგაციამ იმავე საპარლამენტაშორისო კომიტეტზე დაყრდნობით გამოსთქვა სურვილი ყველა სახელმწიფოთა ხმელეთის ძალების, შემცირების შესახებ, სენ-ჟერმენის სამშვიდობო ხელშეკრულების დადგენილების მიხედვით, ე.ი. თვითეულ სახელმწიფოს უფლება უნდა მიეცეს იყოლიოს 5.000 ჯარისკაცი თვითეულ მილიონ მცხოვრებზე, და საზღვაო ძალთა შემცირების შესახებ ვერსალის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ე.ი. 2 ან 4000 ტონის დატოვებით 1 მილიონ მცხოვრებზე. ამ ანგარიშით, საბჭოთა კავშირს, მაგალითად, შეუძლია იყოლიოს არმია 735.000 კაცის რაოდენობით, ე. ი. შეუძლია გაადიდოს ეხლანდელი მუდმივი არმია 175.000 კაცით, ხოლო თავისი ფლოტი—200.000 ტონით. ჩინეთს კი შეუძლია იყოლიოს მუდმივი არმია თითქმის 2 მილიონი კაცის რაოდენობით. ასეთია ყველაზე უფრო რადიკალური აზრები, რომლებიც ოდესმე წარმოთქმულა ერთა ლიგაში განიარაღების შესახებ. მე ვამბობ აზრები, ვინაიდან ეს აზრები არასოდეს არ ყოფილა ჩამოყალიბებული წინადადების ან რეზოლიუციის სახით და არ ყოფილა სერიოზულად განხილული. სწორედ ასევე არაფერი საერთო არ ჰქონია საყოველთაო, სრულ განიარაღების იდეასთან ლორდ ფიშერის გეგმას, რომელიც მიზნად ისახავდა ხმელეთის და საჰაერო შეიარაღებულ ძალთა მხოლოდ შემცირებას.

ამგვარად სავსებით უდავოდ შეიძლება ჩაითვალოს, რომ წინადადება, საყოველთაო, სრულ განიარაღების შესახებ, ამავე დროს კონკრეტიული ფორმით, ერთა ლიგაში და საერთოდ საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში პირველად არის წამოყენებული. საბჭოთა კავშირი ამაყობს და მუდამ იამაყებს მით, რომ ეს ინიციატივა ეკუთვნის მას.

ჩვენი პროექტი დაუყოვნებლივ უნდა იქნეს განხილული.

მიუხედავად ამისა, მე ამ საკითხზე შევჩერდი არა სენტიმენტალური მოსაზრებებით, არამედ იმიტომ, რომ რამდენადაც მე ვიცი, ერთა ლიგის ზოგიერთ წრეებში არსებობს შემცდარი აზრი, თითქოს საბჭოთა დელეგაციას განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში შეაქვს წინადადებები, რომლებიც თითქოს უკვე განხილული და უარყოფილია ლიგის მიერ. ასეთი შემცდარი წარმოდგენა, თუ ის არ მოისპო, არახელსაყრელ გავლენას მოახდენდა ჩვენი წინადადებების განხილვის შემდგომ პროცედურაზე. საბჭოთა დელეგაცია, რომელიც ცდილობს დაიჩქაროს თავისი პროექტის განხილვა და ნამდვილი განიარაღება, მიუხედავად ამისა დასთანხმდა იმაზე, რომ მისი წინადადების განხილვა გადატანილი ყოფილიყო მიმდინარე სესიაზე. ამ შემთხვევაში საბჭოთა დელეგაცია ანგარიშს უწევდა, წინადადების სიახლეს და აგრეთვე მას უნდოდა, რომ კომისიის თვითეულ წევრს და მათ მთავრობებს მისცემოდა შესაძლებლობა მომზადებულიყვნენ ამ წინადადებათა საქმიან განხილვისათვის. ამავე მიზნით მეხუთე სესიის მუშაობის დაწყებამდე ერთი თვის წინად საბჭოთა დელეგაციამ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს მთავრობებისათვის დასაგზავნათ წარუდგინა კონვენციის პროექტი, განმარტებითი ბარათით. საბჭოთა დელეგაციამ თავის მხრივ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეემსუბუქებია პირობები ასეთი საქმიანი განხილვისათვის. ამიტომ მას უფლება აქვს მოითხოვოს პროექტის დაუყონებლივ განხილვა. საბჭოთა დელეგაციას მიაჩნია რომ საბჭოთა მთავრობის მიერ წამოყენებულ კონვენციას საყოველთაო, ერთდროულ და სრულ განიარაღების შესახებ დამაკმაყოფილებლად შეუძლია გადასჭრას საყოველთაო მშვიდობიანობის და უშიშროების პრობლემები. ამასთანავე ერთად მას შეუძლია გადასჭრას აგრეთვე მთელი რიგი მეტად მტკივნეული საერთაშორისო პრობლემები, როგორც, მაგალითად ზღვების თავისუფლების პრობლემა და სხვ., რომელთა მოგვარებას წინ ელობება გადაულახავი დაბრკოლებები. საყოველთაო განიარაღების საბჭოთა პროექტის გატარებას ხელს არ შეუშლის ის დაბრკოლებები, რომლებიც აუცილებელია შეიარაღების ნაწილობრივ შემცირების გატარების დროს. კერძო მაგალითის სახით შემიძლია მოვიყვანო საკითხი კონტროლის შესახებ. სავსებით ნათელია, რომ კონტროლი საყოველთაო განიარაღებაზე გაცილებით უფრო ადვილია, ვინემ კონტროლი ნაწილობრივ განიარაღების გატარებაზე.

შემდეგ მე მინდა აღვნიშნო, რომ საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებული განიარაღების საფუძველი ერთი ტიპისაა და გამოსადეგია ყველა სახელმწიფოების მიმართ. ამიტომ ის ყველაზე უფრო სამართლიანია და ცალკე ქვეყნების მხრივ მან წინააღმდეგობა არ უნდა გამოიწვიოს. სწორედ აქედან გამომდინარეობს, ჩემის აზრით, საბჭოთა წინადადების სიმარტივე, რასაც ზოგიერთები მის საწინააღმდეგო არგუმენტათ იყენებენ. საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილი პროექტი არის ორგანიულად მთლიანი და არ შეიძლება დაყოფილ იქნეს რამდენიმე ნაწილად. ის მთლიანად გამსჭვალულია ერთი იდეით და ამიტომ მოითხოვს წინასწარ განხილვას. და მასში გამოხატულ ძირითადი პრინციპის მიღებას.

მშრომელი მასების ხმა.

გამოდის რა აქედან, საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს წინასწარ პასუხს საერთო დისკუსიის შედეგების შესახებ—ღებულობს თუ არა კომისია საყოველთაო განიარაღების პრინციპს, რომელიც გატარებულია პროექტში, და აგრეთვე ღებულობს თუ არა წინადადებას განიარაღების ისეთი ტემპის შესახებ, რომელიც შეუძლებლად გახდის ომს უკვე ერთი წლის შემდეგ. ამავე დროს საბჭოთა დელეგაცია მოითხოვს არა მარტო თეორიულს, არამედ სავსებით ნათელ და კონკრეტულ პასუხს. საბჭოთა დელეგაცია სთვლის, რომ როგორც დელეგაციებს, ისე მათ მთავრობებს საკმაო დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ შეესწავლად როგორც წინადადების ძირითადი იდეა, ისე კონვენციის ტეხნიკურად დამუშავებული პროექტი. მოსამზადებელ კომისიის მეოთხე სესიის შემდეგ განვლილ ოთხ თვეში აშკარა გახდა, რომ სრული განიარაღების იდეას უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდენ მთელი მსოფლიოს ფართე მასები და კაცობრიობის ყველა პროგრესიული მშვიდობის მოყვარული ელემენტები.

ამას მოწმობს, სხვათა შორის, ჩემ მიერ მიღებული მრავალრიცხოვანი მიმართვანი და რეზოლიუციები, რომლებშიაც გამოთქმულია მუშათა პარტიების, მრავალ ორგანიზაციების და საზოგადოებრივ ჯგუფების თანაგრძნობა.

რომ არ დავღალო თქვენი ყურადღება, მე არ ჩამოვთვლი ყველა მათ, მაგრამ ნებას მივცემ ჩემს თავს წაგიკითხოთ მხოლოდ ერთი ასეთი კოლექტიური მიმართვა, რომელიც მე აქ მივიღე გუშინ. ამ მიმართვას ხელს აწერს 124 ორგანიზაცია, უმთავრესად ქალთა ორგანიზაციები, რომელთაც ჰყავთ მრავალი მილიონი წევრი 13 ქვეყანაში. ეს დოკუმენტი, რომლიდგანაც სჩანს, რომ ქალები იზიარებენ და თანაგრძნობით უყურებენ საბჭოთა წინადადებებს, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვინაიდან ამჟამად ზოგიერთ ქვეყნებში ჩვენ ვხედავთ ქალთა საარჩევნო უფლების გაფართოებას. აი ჩემ მიერ ნახსენებ დეკლარაციის შინაარსი:.

„ჩვენი ორგანიზაციების სახელით, რომელთა აზრი თანდათან ვრცელდება და იზრდება მსოფლიოში, კმაყოფილების გრძნობით მივესალმებით საბჭოთა კავშირის გაბედულ წინადადებებს სრულ და საყოველთაო განიარაღების შესახებ და სიხარულით აღვნიშნავთ, რომ ეს წინადადებები დეტალურად განხილულ იქნება განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიის უახლოეს სესიაზე 15 მარტს. ღრმად ვართ რა დარწმუნებულნი, რომ ეს წინადადებები გამოხატავენ თვითეულ ქვეყნის ფართო მასების სურვილს ბოლო მოუღონ ომებს და, რომ თუ სურვილი არსებობს, გამოიძებნება საშუალებებიც მის განხორციელებისათვის, ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ, რათა კომისიის წევრებმა რუსეთის წინადადებები განიხილონ გულდასმით და დეტალურად, რათა განიარაღების კონფერენციას, როცა ის შეიკრიბება, წარედგინოს მთელი მსოფლიოს სრული განიარაღების კონკრეტიული გეგმა, რომელიც უნდა განხორციელდეს განსაზღვრულ დროის განმავლობაში“.

ხელს აწერს სათანადო ორგანიზაციების 163 მდივანი.

საბჭოთა დელეგაციას ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ მისი წინადადებანი სავსებით მისაღები და სასურველია მოსახლეობის ფართე მასებისათვის, რომლებიც სთვლიან, რომ ეხლა მხოლოდ სათანადო ნაბიჯი უნდა გადასდგან მთავრობებმა და მათ ზურგს უკან მდგომმა ბურჟუაზიულმა ჯგუფებმა.

არა დაუსრულებელი ლაპარაკი, არამედ საქმე

ეხლა ლაპარაკია არა იმაზე, რომ თეორეტიულად ვიმსჯელოთ განიარაღების შესახებ, არამედ იმაზე, რომ შევუდგეთ განიარაღების საქმიანად განხორციელებას. ლაპარაკი განიარაღების შესახებ, მე მგონია, საკმაოდ ბევრი იყო, განსაკუთრებით ერთა ლიგის წრეში. მე ნებას მივცემ ჩემს თავს მივაწოდო კომისიის წევრებს ცნობა, რომლიდანაც ისინი დაინახავენ, რომ ერთა ლიგის საერთო კრებისა და ერთა ლიგის საბჭოს გარდა, რომელთაც განიხილეს განიარაღების საკითხი თავის 38 სესიაზე, სხვადასხვა კომისიებ-

(გაგრძელება იხ. მე-2-ე გვერდზე)

---

*) მოგვყავს ვრცლად.

მოსკოვი

(ტელეგრაფით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

30 მილიონი მუშათა ჯანმრთელობის დაცვისათვის

მოსკოვი, 21 მარტი. შვიდი საათის სამუშაო დღის დაკანონებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა განახლების უკანასკნელ კამპანიის შემდეგ, რაიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დაქირავებულ მუშა ხელის მატერიალურ მდგომარეობას, მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ მორიგ ღონისძიებათ დასახულია ფართოდ იქნას გამოყენებული მომავალი საზაფხულო სეზონი.

სოციალური დაზღვევის ცენტრალური სამმართველოს ცნობით 1928 წლის განმავლობაში კურორტებსა და სანატორიუმებში გატარებულ იქნება ნახევარი მილიონი მუშა. ამ მიზნით საკურორტო-სანიტარიულ საქმეზე გაღებულია 30 მილიონი მანეთი.

ვინაიდან არსებულ კურორტებისა და სანატორიუმების რიცხვი ვერ დააკმაყოფილებს ასეთ გაძლიერებულ მოთხოვნილებას, აქედანვე მიღებულია ზომები ამიერ-კავკასიაში და ყირიმში ახალი სანატორიუმების ასაგებათ.

მუშათა საზაფხულო დასვენება

მოსკოვი, 21 მარტი. მუშათა ორგანიზაციების შუამდგომლობით მოსკოვის ნესკუჩნი ბაღის ტერიტორია, სადაც 1923 წელს გამართული იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, გამოყენებული იქნება მუშათა საზაფხულო დასასვენებელ ადგილათ. სწარმოებს მუშაობა ბაღის გასალამაზებლად და მოსაწყობათ, მოეწყობა კინო, საზაფხულო თეატრი, სხვა კულტურული გასართობები. აქვე გადააქვს თავისი მუშაობა ფიზკულტურის ყველა ორგანიზაციებს.

ბაღში პერიოდულად გაიმართება სხვადასხვა გამოფენები, მოსეირნეთათვის მოეწყობილ იქნება სასადილოები და სახაიბები.

ახალგაზრდა წითელ სპეციალისტების შესახებ

მოსკოვი, 21 მარტი. შახტში აღმოჩენილ ეკონომიურ კონტრ-რევოლუციასთან დაკავშირებით მოსკოვის გაზეთებმა წამოაყენეს საკითხი ახალგაზრდა წითელ სპეციალისტების მიზანშეწონილად გამოყენების შესახებ. გამოაშკარავებულია მთელი რიგი შემთხვევები, როცა ზოგიერთი ძველი სპეციალისტები ბოროტად იყენებენ თავიანთ მდგომარეობას, ხელოვნურად ქმნიან პირობებს იმისათვის, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები არ დაწინაურდენ როგორც ცოდნის, ისე თანამდებობის მხრივ. ამგვარ მავნე მიდრეკილებას უნებლიეთ ხელს უწყობდენ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკებიც, რომლებიც მიზნად ისახავდენ იაფ კვალიფიციურ ტეხნიკურ პერსონალის შოვნას და ახე თებათ ხშირად იყენებდენ ახალგაზრდა სპეციალისტებს. საშუალო და უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელ დამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები, საერთო წესის მიხედვით მოვალენი არიან თეორიულ კურსის შემდეგ გაიარონ სათანადო საწარმოო სტაჟი. მათ ზოგჯერ ხელოვნურათ უგრძელებდენ საწარმოო სტაჟს.

მეტი მჭიდრო კავშირი საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყველა ერთგულ სპეციალისტებთან, მეტი მფარველობა ახალ წითელ სპეციალისტებს, მეტი მზრუნველობა მათზე—ასეთია გაზეთების დასკვნა.

ნავების შეჯიბრი

მოსკოვი, 21 მარტი. მიმდინარე წლის ზაფხულის დასაწყისში ფიზკულტურის საკავშირო საბჭო მდინარე ვოლგაზე აწყობს ნიჩბიან ნავების შეჯიბრს. ნავები გაივლიან მანძილს ნიჟნი-ნოვგოროდიდან კასპიის ზღვის ნაპირებამდე. სამზადისი შეჯიბრისათვის იწყება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა და ლიგის სხვა ორგანოებმა, რიცხვით არა ნაკლებ 14-ისა, ამ საკითხს მიანდომეს 120 მეტი სესია,—დაიმახსოვრეთ, არა 120 სხდომა, არამედ 120 სესია,— ამასთანავე მხოლოდ ერთა ლიგის საერთო კრებამ და ერთა ლიგის საბჭომ განიარაღების საკითხის შესახებ გამოიტანეს 111 რეზოლიუცია. როცა ვათვალიერებთ ამ, თავისი მოცულობით უდიდესი, მუშაობის შედეგებს, რომლის აღწერას უკირავს მრავალი ათასი ფურცელი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ არც ერთი რამდენადმე მაინც სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა განიარაღების განხორციელებისათვის.

საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, რომ დროა ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია სახელი გაუტეხოს თვით განიარაღების იდეას. საბჭოთა დელეგაციას ის კი არ სურს, რომ მისი წინადადებანი გახდეს საბაბი ახალი კომისიებისა და ქვეკომისიების შექმნისათვის, რომლებიც გამოიტანენ რამოდენიმე ათეულ ახალ რეზოლიუციებს იმავე უმნიშვნელო შედეგებით, როგორც დღემდეა მიღწეული. საბჭოთა მთავრობა ასეთი მუშაობისათვის კი არ გზავნის თავის დელეგაციას ჟენევაში.

საბჭოთა მთავრობა, რომელსაც დასახული აქვს უდიდესი ამოცანა —უზარმაზარი, 150 მილიონიანი ხალხის სახელმწიფოს აგება სრულიად ახალ საფუძველზე, ახალი სოციალ-ეკონომიური წყობილების აშენება და რომელიც მუშაობს მთელი დანარჩენი მსოფლიოს მხრივ აშკარა ხელის შეშლის წინააღმდეგობის და მეტად არა ხელსაყრელ ობიექტიურ პირობებში, არ მოსცდებოდა თავის მუშაობას, რომ საბჭოთა კავშირი სერიოზულად და გულწრფელად არ ეკიდებოდეს განიარაღების პრობლემას, რომლის განხორციელება წარმოადგენს მისი პოლიტიკის ქვაკუთხედს.

იმის ილიუსტრაციისათვის, თუ რამდენად სერიოზულად ეპყრობა საბჭოთა მთავრობა აქ განსახილველად დასმულ საკითხებს, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ თუმცა საბჭოთა კავშირს არ მიუღია მონაწილეობა ერთა ლიგის იმ კონფერენციაში, რომელმაც მიიღო ოქმი მხრჩოლავი გაზებისა და ბაქტერიოლოგიური საშუალებების ომში აკრძალვის შესახებ, და ამ ოქმს შეუერთდა მხოლოდ განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის უკანასკნელი სესიის დროს, მაგრამ მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირი მაინც აღმოჩნდა იმ სამი სახელმწიფოს რიცხვში, რომელთაც რატიფიკაცია მოუხდინეს ამ ოქმს, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე რჩება მკვდარ აქტად იმის გამო, რომ დანარჩენმა სახელმწიფოებმა, რომელთა უდიდესი უმრავლესობა ერთა ლიგის წევრებია მისი რატიფიკაცია არ მოახდინეს.

საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა

ჩვენ ვიცით, რომ არა სერიოზული ხალხი და პრესის არა სერიოზული ორგანოები ისეთ პოზას იღებს, რომ ვითომ წინააღმდეგობას ხედავენ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიანობის მოყვარეობის წინადადებებსა და წითელი არმიის არსებობისა და გაუმჯობესების ფაქტს შორის. კავშირის მოსახლეობისა და მისი საზღვრების სივრცის პროპორციონალობის მიხედვით საბჭოთა კავშირს უკვე ეხლა ჰყავს ნაკლები არმია, და მით უფრო ნაკლები ფლოტი, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს. თუ მხედველობაში მივიღებთ ინდივიდუალურ უშიშროებას, რის შესახებ ლაპარაკი ძალიან უყვართ ამ კრებაზე, საბჭოთა კავშირი ამ მხრივ ნაკლებ ხელსაყრელ მდგომარეობაშია, ვიდრე სხვა რომელიმე სახელმწიფო. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სდგას მთელი დანარჩენი მსოფლიო, რომელიც არ მალავს თავის მტრულ განწყობილებას ახალი სახელმწიფოს მიმართ. ამ მტრული განწყობილების შეფასებისათვის საკმაოა გადავათვალიეროთ ყველა ქვეყნების ბურჟუაზიული პრესა, რომელიც ყოველ დღე სავსეა ცილისწამებით, ჭორებით და გალაშქრებით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მრავალ სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ უცვნია საბჭოთა მთავრობა, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია რაც არსებობს. არ ცნობა კი არის მტრული განწყობილების აქტი. მაგრამ ის სახელმწიფოებიც კი, რომელთაც უკვე იცვნეს საბჭოთა სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის მიმართ სდგამენ ისეთ ნაბიჯებს, რომლებიც ხშირად საბჭოთა კავშირის მშვიდობიანობის მოყვარეობის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენს.

ახალმა საბჭოთა სახელმწიფომ თავის ტერიტორიაზე იხილა აურაცხელი უცხო ჯარები, რომლებმაც სახელმწიფოს მიაყენეს ისეთი დიდი ზიანი, რომლიდანაც მას დღემდე არ დაუღწევია თავი. ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიის ნაწილი, რომლის მოსახლეობა აშკარად მიილტვის საბჭოთა კავშირისაკენ, დღემდე ისევ დაპყრობილია უცხოეთის ჯარების მიერ, რომლებიც ხელს უშლიან ამ მოსახლეობას გამოიყენოს თავისი თვითგამორკვევის უფლება. მიუხედავად ყოველივე ამისა, წითელი არმია თავისი ათი წლის არსებობის განმავლობაში იყო და ამჟამადაც არის მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის იარაღი. საბჭოთა კავშირს სხვა მიზნებისათვის არ ესაჭიროება არმია და ფლოტი, ვინაიდან მისთვის სავსებით უცხოა მტაცებლური ან იმპერიალისტური მიზნები. ყოველ შემთხვევაში საბჭოთა მთავრობა აცხადებდა და აცხადებს თავის დელეგაციის საშუალებით ჟენევაში, რომ იგი მზად არის სავსებით გააუქმოს კავშირის შეიარაღებული ძალები მის მიერ წარმოდგენილ კონვენციის პროექტის თანახმად. როგორც კი ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულ იქნება და ერთდროულად განხორციელდება დანარჩენი სახელმწიფოების მიერ.

ჩვენ მოვითხოვთ გარკვეულ პასუხს

საბჭოთა მთავრობა ერთხელ კიდევ აცხადებს, რომ იგი მზად არის ამისათვის და ეკითხება ყველა აქ წარმოდგენილ სახელმწიფოებს: მზად არიან თუ არა ისინი? საბჭოთა მთავრობა ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მოელის განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის ეხლანდელი სესიის პლენუმზე, რომელზედაც ეხლა წარმოდგენილია ყველა დიდი და საშუალო სახელმწიფოები. ასეთი პასუხის გაცემა არ შეუძლია არავითარ ქვეკომისიებს ან სხვა, უფრო ვიწრო შემადგენლობის ორგანოებს, რომლებიც ნაკლებ ავტორიტეტულია, ვიდრე განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია.

პასუხი ამ კითხვაზე, საბჭოთა დელეგაციის აზრით, გაცემულ უნდა იქნას აშკარად და ნათლად, საზოგადოებრივი აზრის კონტროლის ქვეშ. ეს პასუხი, რასაკვირველია, საბოლოო დამტკიცებისათვის შეტანილ უნდა იქნას განიარაღების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომლის დაჩქარებით მოწვევას მოითხოვს საბჭოთა დელეგაცია და ამასთანავე, იძლევა წინადადებას ეხლავე იქნას დანიშნული მისი მოწვევის ვადა. ჩემ მიერ ორ კითხვაში ჩამოყალიბებული წინადადებანი იმდენად ნათელია, რომ არ მოითხოვს წინასწარ დიპლომატიურ ლაპარაკს და შეთანხმებას დანარჩენ ქვეყნებსა და ქვეყნების ჯგუფებს შორის, არ მოითხოვს დიპლომატიური მანევრების არც სხვა მეთოდებს.

მე ნებას მივსცემ ჩემს თავს ერთხელ კიდევ განვიმეორო, რომ ჩვენ წინადადებათაგან გამომდინარე ძირითადი საკითხები შემდეგია: პირველი, თანახმაა თუ არა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისია თავის შემდგომ მუშაობას საფუძვლად დაუდოს პრინციპი საყოველთაო და სრული განიარაღებისა ჩვენ მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში? მეორე, განიარაღების პირველი ეტაპი გატარებულ იქნას იმ ანგარიშით, რომ ერთი წლის გასვლის შემდეგ, გაძნელდეს, თუ სავსებით შეუძლებელი არ გახდა, ომის წარმოება. მხოლოდ მაშინ, როცა ამ საკითხებზე გაცემულ იქნება გარკვეული დადებითი პასუხი, შეიძლება შეუდგეთ კონვენციის საბჭოთა პროექტის დეტალურად განხილვას. საბჭოთა დელეგაციას უფლება აქვს იფიქროს, რომ მას მხარს დაუჭერს განსაკუთრებით იმ მთავრობის დელეგაცია, რომელიც ამჟამად საჯაროდ გამოდის ომის აკრძალვის წინადადებით. ამ წინადადების გულწრფელობა შეიძლება იქნას დამტკიცებული მხოლოდ იმით, თუ მისი ავტორები შეუერთდებიან საბჭოთა კონვენციის პროექტს სრული განიარაღების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს არა მარტო მორალურ განიარაღებას, არამედ ომის შესაძლებლობის მოსპობას. ვინაიდან შეიარაღებული ძალები არსებობს მხოლოდ ომის წარმოებისათვის და ომის აკრძალვის დროს სრულიად საჭირო არ იქნება შეიარაღებული ძალების ყოლა, ამიტომ თანმიმდევრობამ და ლოღიკამ უნდა უკარნახოს სათანადო მთავრობას, რომ მხარი დაუჭირონ ჩვენს წინადადებას. საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ ყველა აქ მყოფ დელეგაციებს შეგნებული აქვთ დასმული საკითხის გადაწყვეტის პასუხისმგებლობა და ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ამ გადაწყვეტილებას ექნება კაცობრიობის ბედისათვის, და ამიტომ საბჭ. დელეგაცია ფიქრობს, რომ არც ერთი დელეგაცია არ იტყვის უარს საჯაროდ განაცხადოს თავისი მთავრობის თვალსაზრისი (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

კომინტერნის აღმასკომის რეზოლიუცია გამოქვეყნებულია პეკინში

პეკინი, 20 მარტი. პეკინის ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს კომინტერნის აღმასკომის პლენუმის რეზოლიუცია ჩინეთის საკითხის შესახებ. (ადს).

ლი ტი-სინი შანხაიში

შანხაი, 20 მარტი. ჩამოვიდა კანტონის დიქტატორი ლი ტი-სინი.

გაზეთ „სინ-ვენ-ბაო"-ს თანამშრომელთან საუბარში ლი ტი-სინი აცხადებს, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია ჩრდილოეთის ექსპედიციასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება. ლი ტი-სინმა აღნიშნა, რომ გუანდუნის ჯარებს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღონ ჩრდილოეთის ექსპედიციაში, ვინაიდან „მათ არ სცალია — ისინი ებრძვიან კომუნისტების წინააღმდეგ". ამიტომ ლი ტი-სინი უარს განაცხადებს ჩან-კაი-შის წინადადებაზე დაიკავოს ჩრდილოეთის ექსპედიციის შტაბის უფროსის პოსტი.

ლი ტი-სინმა აღიარა, რომ მთავრობა, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, არსებობს ხაიფინის მაზრაში და რომ ამ მთავრობის განკარგულებაში გუანდუნის პროვინციის სხვადასხვა რაიონებში არის 10.000-მდე ჯარის კაცი.

შეეხო რა კანტონის საქმიანი ცხოვრების [illegible], ლი ტი-სინმა განაცხადა, რომ ვაჭრობა კანტონში, რომელიც შეჩერებული იყო დეკემბრის აჯანყების დღეებში, აღდგენილია 90 პროც-ით, ფინანსიური კრიზისი ქალაქში დღემდე არ არის აღმოფხვრილი (ადს).

მოწყალება ჩინელებს

შანხაი, 20 მარტი. გაზეთ „ჩაინა ტაიმსი"-ს ცნობით, ინგლისელთა კლუბმა შანხაიში, რომელშიაც დღემდე სრულიად არ უშვებდნენ ჩინელებს, დაადგინა ნება დართოს ჩინელებს ჩაეწერონ კლუბის წევრად (ადს).

ამნისტიის საკითხები

გერმანიის რეიხსტაგში.

ბერლინი, 20 მარტი. რეიხსტაგის იურიდიული კომისიის სხდომამ კომფრაქციის სასტიკი გამოსვლების შემდეგ სოციალ-დემოკრატების საბოტაჟის გამო შექმნა ქვეკომისია ამნისტიის საკითხის დასამუშავებლად. (ადს).

ავსტრიელ წითელ-ფრონტელების დევნა

ვენა, 20 მარტი. ბერლინის წითელ ფრონტელთა კავშირმა მიმართა ავსტრიის პრემიერ ზეიპელს წერილით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ვენის პოლიციამ აკრძალა ავსტრიის ფრონტელთა კავშირის მუშაობა. კავშირის წარმომადგენლებმა ინახულეს ვენის ბურგომისტრი, სოციალ-დემოკრატი ზეიცი, რომელმაც განაცხადა, რომ ვერაფერს ვერ გააკეთებს. (ადს).

ინგლისელები კოვეიტში

ლონდონი, 20 მარტი. ინგლისელების სამხედრო მოქმედება კოვეიტის სულთანატში (სპარსეთის ყურე) ფართო ხასიათს ღებულობს. იმ ყურეში, სადაც მდებარეობს კოვეიტი, სდგას ინგლისის კრეისერი „ემეროლდ"-ი და აგრეთვე ნავები „სიკლამენ"-ი და „ლიუპინ"-ი. გადმოსხმულია 500 მეზღვაური, რომლებიც დანაწილდნენ რაზმებად და დაიკავეს სტრატეგიული პუნქტები. მთელი რიგი შენობები გამაგრებულია. მოწყობილია რადიო-სადგური და [illegible]. ინგლისის ხელისუფლებამ გამოსცა ბრძანება ახალგაზრდების, და აგრეთვე სრულ ასაკოვან მამაკაცების სავალდებულო სამხედრო სწავლების შესახებ. (ადს).

39-ის პროცესი

რომი, 20 მარტი. 20 მარტს საგანგებო ტრიბუნალმა დაამთავრა 39-ის პროცესი; მათ ბრალდებოდათ იტალიის კომპარტიის წევრობა, რომელიც არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფება. 28 ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი. ორ ბრალდებულს მიუსაჯეს ათ-ათი წლის პატიმრობა, სამს—რვა-რვა წლისა, და 18 ბრალდებულს 2 წლიდან 7 წლამდე. 10 ბრალდებულს მიუსაჯეს ციხე 1 ნახ. წ. 8 წლამდე რადგან ისინი „იტალიის კომპარტიას ხელს უწყობდნენ". 10 გამართლებულია. გაქცეული ჯინარის საქმე გამოყოფილია და არ გარჩეულა. (ადს).

ამხ. ჩიჩერინის პასუხი ბოლდუინს

მოსკოვი, 21 მარტი. 19 მარტს თემთა პალატაში ბოლდუინის გამოსვლის გამო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ჩიჩერინმა პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა შემდეგი: ბატონმა ბოლდუინმა რამოდენიმე განცხადება გააკეთა როგორც ჩემი, ისე ამხ. ზინოვიევის მოგონილ განცხადებათა და ამ საქმის გამო საბჭ. მთავრობის არ არსებულ დადგენილებათა შესახებ. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ ბატონ ბოლდუინის ამ განცხადებაში ერთი სიტყვაც კი არ არის მართალი, თავიდან ბოლომდე მოგონილია, სრულიად მოკლებულია რეალურ საფუძველს, ამასთანავე აშკარა ცილისწამებას წარმოადგენს და ჩვენი მთავრობის წევრებისათვის ღრმად შეურაცხმყოფელია. მაგრამ თვით ბატონმა ბოლდუინმა გამოაჩინა თავისი განცხადებების სიყალბე. ჩვენ ვხედავთ, სხვათა შორის, აშკარა შეუსაბამობას მის ნათქვამსა და ყველასათვის ცნობილ ფაქტებს შორის. ინგლისის ოფიციალური რადიოს გადმოცემით ბატ. ბოლდუინი ამბობს, რომ ეგრეთ წოდებულ „ზინოვიევის წერილის" გამოქვეყნების დღიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, მე, ვითომც ჩემს კოლეგებს ვუთხარი, რომ წერილის ორიგინალი მოსპობილია და საბჭოთა მთავრობას გულდამშვიდებით შეუძლია მოითხოვოს საქმის გამოძიება. თუ ჩვენ დოკუმენტებს მივმართავთ, დავინახავთ, რომ ბ-ნ გრეგორის ნოტა, რომელსაც დართული ჰქონდა ეგრედ წოდებული „ზინოვიევის წერილი", წარუდგინა რაკოვსკის 1924 წლის 24 ოქტომბერს; ლონდონიდან ბ-ნ გრეგორის ნოტის დაწვრილებითი შინაარსისა და მისი დამატების მიღების შემდეგ, ჩვენმა მთავრობამ ტელეგრაფით შეატყობინა რაკოვსკის, რომ იგი დაჟინებით და კატეგორიულად მოითხოვს, რათა პირუთვნელ სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს იმ ფაქტის გამორკვევა, რომ ეგრედ წოდებული „კომინტერნის წერილი" (15 სექტემბრის თარიღით) ყალბია. ეს წინადადება რაკოვსკიმ გადასცა გარეშე საქმეთა სამინისტროს 1924 წლის ოქტომბრის 27-ით დათარიღებული ნოტით. სადღაა ერთი თვის ვადა? ბატ. ბოლდუინმა გამოიგონა ერთი თვის ვადა, რომლის შემდეგაც, ვითომც, საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა, მოეთხოვა საქმის გამოძიების გადაცემა სამედიატორო სასამართლოსათვის, მაშინ როდესაც ჩვენმა მთავრობამ ეს მოითხოვა მაშინვე, რა წამსაც მიიღო ცნობა, რომ რაკოვსკის წარუდგინეს ყალბი დოკუმენტი. რაკოვსკის ნოტა (27 ოქტომბერი) ბრიტანეთის მთავრობამ არ მიიღო იმ საბუთით, რომ აქ მოთხოვნილი იყო დამნაშავეთა და ამ ყალბი საბუთის ფაბრიკაციის მონაწილეთა დასჯა. 1-ლი ნოემბრის წერილში რაკოვსკიმ აღნიშნა ამ მოთხოვნილების სამართლიანობა, რადგან ბ-ნ გრეგორის ნოტამ (24 ოქტომბერი) დიდი მორალური ზიანი მოაყენა.

1924 წლის 28 ნოემბერს რაკოვსკიმ ჩვენი მთავრობის სახელით წარუდგინა ბ-ნ ჩემბერლენს ნოტა, რომელშიაც დიდი განცვიფრება გამოთქვა იმის გამო, რომ ბრიტანეთის მთავრობამ უარჰყო წინადადება იმის შესახებ, რომ დოკუმენტი გადაეცა პირუთვნელ სამედიატორო სასამართლოს და უსაბუთოდ განაცხადა დოკუმენტის სინამდვილის შესახებ.

ამასთანავე, რაკოვსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ამისთანა დაუმტკიცებელ განცხადებების მიღებას შეუძლებლად სცნობს და „საბჭოთა მთავრობა თავის მხრით იძულებულია, მოითხოვოს წინადადების მიღება არბიტრაჟის შესახებ, რადგან იგი ერთად-ერთი საშუალებაა საკითხის პირუთვნელად გადაწყვეტისათვის".

შემდეგ, თემთა პალატაში ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ „ზინოვიევის წერილის" სინამდვილის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა შეუძლებელია, რადგან საშიშია იმ პიროვნებების ბედი, რომლებმაც ბრიტანეთის მთავრობას ეს დოკუმენტი წარუდგინეს; ამ განცხადების შემდეგ, რაკოვსკიმ, ჩვენი მთავრობის დავალებით, ბ-ნ ჩემბერლენს დეკემბრის 21 ნოტა გაუგზავნა და განუცხადა რომ, საბჭოთა მთავრობა მზადაა უზრუნველყოს ხსენებული პირის დაუბრკოლებლად გაცემა საბჭოთა კავშირიდან. მაგრამ ბატონმა ჩემბერლენმა შესაძლებლად სცნო ამაზე უსაბუთოდ ეპასუხა, რომ თავის წინანდელ ნოტას ვერაფერს დაუმატებს. ამჟამად ბრიტანეთის მუშათა პარტიამ წინადადება მისცა ბრიტანეთის კაბინეტს, რომ დაეწყო ეგრედ წოდებული „ზინოვიევის წერილის" საქმის გამოძიება.

ბრიტანეთის კაბინეტმა უარჰყო მისი წინადადება იმისათვის, რომ გამოძიება, უეჭველია, დაადასტურებდა ამ დოკუმენტის სიყალბეს. გამოძიების წარმოება იქნებოდა მით უფრო მნიშვნელოვანი, რომ გასული 8 ნახ. წ. განმავლობაში მიღებულ იქნა ცნობები, რომლებიც მიუთითებდნენ ამ ყალბი დოკუმენტის ნამდვილ წარმოშობაზე, მაგრამ ინგლისის მთავრობას იმდენათ მეტად ეშინიან გამოძიების, რამდენათ ძლიერია დადასტურება „წერილის" სიყალბისა.

ყალბი საბუთების დამამზადებლის დრუჟილოვსკის პროცესის დროს საბჭოთა სასამართლოში, უკანასკნელის ჩვენებით, რომელიც შეტანილია სასამართლოს სტენოგრამაში, გამოირკვა, რომ მას აქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იყო დამზადებული ბერლინში ე. წ. „ზინოვიევის წერილი". მისი ჩვენებები ნათელს ჰფენენ ამ საქმეს. ბერლინში დრუჟილოვსკი ასრულებდა პოლონელ კაპიტანის პაციურკოვსკის დავალებებს, რომელიც მისივე სიტყვების თანახმად, დაკავშირებული იყო სხვა დაზვერვებთანაც. თავის ჩვენებებში დრუჟილოვსკიმ გამოაქვეყნა დაწვრილებითი ფაქტიური მასალა „ზინოვიევის წერილის" დამზადების შესახებ რუს ემიგრანტებ ჟემჩუჟნიკოვის, ბელგარდტის და გუმანსკის მიერ, რომლებიც მუშაობდნენ როგორც პაციურკოვსკისთან, ისე ინგლისის დაზვერვაში. სხვათა შორის ჟემჩუჟნიკოვმა გადასცა პაციურკოვსკის, რომ „ზინოვიევის წერილის" პროექტი შედგენილ იქნა ბელგარდტის და გუმანსკის მიერ მის ბინაზე, არსებულ ცნობების მიხედვით, ბერლინში დამზადებული „ზინოვიევის წერილი" გადაგზავნილ იქნა ერთდროულად სხვადასხვა გზებით ლონდონში.

დრუჟილოვსკის უაღრესად სწორი და დაწვრილებითი ჩვენება აბათილებს ინგლისის მთავრობის ცნობებს ეგრედწოდებულ „ზინოვიევის წერილის" სინამდვილეზე. უფრო გვიან, მიმდინარე წლის იანვარში, შრეკის პროცესის დროს, ლეიპციგის უმაღლეს სასამართლოში ცნობილ პაციფისტ მარტენსმა ფიცის ქვეშ განაცხადა, რომ ინგლისელმა პუბლიცისტმა, მცხოვრებმა ჟენევაში აცნობა მას რომ ე. წ. „ზინოვიევის წერილი" შედგენილ იქნა პოლონეთის აგენტ პაციურკოვსკის მიერ, რომელიც მუშაობდა მჭიდრო კავშირში ბრალდებულ შრეკთან ერთად. იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა ამ საქმის გამოძიება, შესაძლებელი იქნებოდა წარდგენა იმის დამტკიცების რომ სწორედ ნაჩვენებ ადგილას გაჩნდა ყალბი დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება „ზინოვიევის წერილი". მაგრამ ბრიტანეთის კაბინეტი დაჟინებით გაურბის ამ გამოძიებას. მაგრამ, ამასთანავე, ისეთ სერიოზულ ინგლისურ გაზეთში, როგორიც არის „მანჩესტერ გარდიენ"-ი, 1927 წ. 28 მაისის ნომერში, ზოგიერთი შენიშვნებით, მაგრამ ფრიად აშკარად იყო ნაჩვენები, რომ ეს ყალბი დოკუმენტი, როგორც სხვა ამისთანა დოკუმენტები, შედგენილ იქნა ბერლინში. ამასთანავე გაზეთი დასძენდა: „არ არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ეს წერილი მომდინარეობს პოლონეთის წყაროებიდან ბერლინში". ყალბი დოკუმენტის ამ ნამდვილ წარმოშობას ბატონი ბოლდუინი უპირდაპირებს ვერსიას მის მიღების შესახებ „სიტის ჯენტლმენისაგან", ბ-ონ იმტერნისაგან, „ჯენტლმენისაგან", რომელიც ახლოს სდგას კომუნისტებთან", ამ მეორე „ჯენტლმენის" მდგომარეობას აშუქებს ის ფაქტი, რომ ეს ჯენტლმენი იცნობს ამხ. ზინოვიევს, როგორც აპფელბაუმს. მხოლოდ აპფელბაუმი არ არის ზინოვიევის გვარი; ამ გვარით მას იცნობდნენ სხვადასხვა ქვეყნების მზვერავნი. ეხლა ყველამ იცის, რომ მისი გვარია რადომისლსკი. ზემოთ მოყვანილმა „ჯენტლმენმა" ამით გამოაშკარავა მზვერავი ორგანიზაციის წევრობა. ბრიტანეთის მთავრობა მოქცეულია ჩიხში და შეგნებულად არ სურს გამოაშკარავოს მისთვის მძიმე სიმართლე. იგი ხმარობს იმ მეთოდებს, რომლებიც მიღებულ იყო ძველ დროს იეზუიტების მიერ სარწმუნოებრივ სასამართლოებში, რომლებიც მათ წინააღმდეგის დალუპვაც სურდათ, მიმართავდენ დაუმტკიცებელ, მაგრამ სასტიკ ბრალდებებს. იეზუიტები მოითხოვდენ, რომ დაეჯერებინათ მათი ცარიელი სიტყვა, მაგრამ, თუ გამოსავალი წერტილი არის ვალდებულება დაუჯეროთ ყველა სიტყვებს დაუმტკიცებლად, თუ შესაძლებელია ვინმე თავხედობით გაშავება მაშინ კარგი დამოკიდებულების შესაძლებლობა ასეთ იეზუიტებთან წინდაწინვე მოსპობილია".

ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ

„საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების რეაბილიტაციის ფონდი"

სვერდლოვსკი, 21 მარტი. სვერდლოვსკის საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების გაერთიანების წევრებმა შეიტანეს წინადადება, რომ შახტის გამცემლების შესახებ გამოტანილ უამრავ რეზოლიუციების ნაცვლად შეიქმნეს „საინჟინერო ტეხნიკურ ძალების რეაბილიტაციის ფონდი". ფონდში მონაწილე თვითეულმა სპეციალისტმა უნდა წარმოადგინოს დამუშავებული წინადადება წარმოების გაუმჯობესების შესახებ თავის დარგში. ამ წინადადებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა ურალის ინჟინრებში. (ადს).

ამხ. კოლაროვის მოხსენება ლენინგრადის პარტაქტივის კრებაზე

მოსკოვი, 21 მარტი. კომუნ. პარტიის ლენინგრადის აქტივის სამათასიან კრებაზე ამხ. კოლაროვმა წაიკითხა მოხსენება კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგების შესახებ; კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც მთლიანად უერთდება პლენუმის დადგენილებებს:

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დროულია,—ნათქვამია, სხვათაშორის, რეზოლიუციაში,—კომინტერნის აღმასკომის პლენუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ ერთმანეთთან შეუთავსებელია ოპოზიციონური ტროცკისტული იდეოლოგია და კომინტერნის წევრობა". (ადს).

ფინანსების მიწოდება ნავთის ტრესტებისათვის

მოსკოვი, 21 მარტი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ შესაძლებლად სცნო, რომ წელს „აზნავთის" და „გროზნავთის" მომარაგება ფინანსებით 5.500.000 მანეთით გადიდდეს. 1928 წლის 1 ოქტომბრისათვის აუცილებლად უნდა დამთავრდეს, პირველ ყოვლისა, ბათომის ქარხნები აზნავთმა უნდა შეასრულოს აგრეთვე ბაქოს ქარხნების აშენების პროგრამა. (ადს).

კომუნისტური აკადემიის წლიური პლენუმი

მოსკოვი, 21 მარტი. 20 მარტს შესდგა კომუნისტური აკადემიის წლიური პლენუმი. პლენუმმა მოისმინა ამხ. პოკროვსკის და მ. ლიუტინის საანგარიშო მოხსენებანი აკადემიის საქმიანობისა და მუშაობის გეგმის შესახებ.

მიმდინარე წელს აკადემია დაამუშავებს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობასთან დაკავშირებულ პრობლემებს: კლასობრივი დიფერენციაციის, სახალხო მეურნეობის ხუთწლიანი გეგმის, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის და კულტურული რევოლიუციის პრობლემებს.

პლენუმმა საჭიროდ სცნო ბრძოლის გაძლიერება თეორიის დარგში ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ მიმართულებებთან. იდეოლოგიური ხასიათის მოსაზრებით, პლენუმმა დაადგინა გამორიცხოს აკადემიის წევრთა შემადგენლობიდან: პრეობრაჟენსკი, რადეკი, რაკოვსკი, ვლადიმირ სმირნოვი და ტროცკი. პლენუმმა აირჩია აკადემიის ახალი პრეზიდიუმი, რომლის წევრთა შორის არიან ამხ.: ბუხარინი, ვარგა, დეოლაცკი, კრინიცკი, მილიუტინი და პოკროვსკი. (ადს).

დახმარება შვეციის მემაღაროეებს

მოსკოვი, 21 მარტი. მემაღაროეთა კავშირის ც. კ.—მა გადაუგზავნა შვეციაში მორიგი თანხა 16.000 მანეთი შვეციის გაფიცულ მემაღაროეთა დასახმარებლად. სულ გაფიცვის დროს, თანახმად მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ დადებული ხელშეკრულებისა, გადაგზავნილია 140.000 მანეთი. (ადს).

ლტოლვილები რუმინეთიდან

[illegible], 21 მარტი. ჩამოვიდა 50 ლტოლვილი ბესარაბიიდან—რუმინეთის ჟანდარმების მიერ დახოცილი ბესარაბიელი რევოლიუციონერების ცოლ-შვილი. ლტოლვილთა ნაწილს სამუშაო მიეცა. განზრახულია, რომ გამოქცეული ქალებისაგან მოეწყოს სასოფლო—სამეურნეო არტელი. (ადს).

ვალიუტის გატანის ნორმა

მოსკოვი, 21 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: საზღვარგარეთ მიმავალ პირებს შეუძლიათ თან წაიღონ უცხოეთის ვალიუტა, ძვირფასი ლითონი ზოდებად ან ნივთებად, აგრეთვე ძვირფასი ქვები საერთო ჯამით თვითეულ სულზე 300 მანეთისა, გარდა ამისა, ოჯახის უფროსის კარტოჩკით მიმავალ ოჯახის თვითეულ წევრს შეუძლია წაიღოს 150 მანეთის ვალიუტა. ამ ნორმების ფარგლებში საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკი უცხოეთის ვალიუტას მიჰყიდის ყველას, ვინც დოკუმენტს წარადგენს იმის შესახებ, რომ უფლება აქვს საზღვარგარეთ წასვლისა. თუ განსაკუთრებული საპატიო მიზეზები ექნება, საბჭოთა კავშირის ფინანსთა კომისარიატის სავალიუტო საბჭოს შეუძლია ნება დართოს, რომ ხსენებულ ნორმებზე მეტი იქნას წაღებული. (ადს).

ამხ. ტერ-გაბრიელიანი—სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ერევანი, 21 მარტი. ამიერ-კავკასიის ცაკის სესიის მიერ ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ ამხ. ამბარცუმიანის ნაცვლად სომხეთის ცაკის დადგენილებით სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. საak ტერ-გაბრიელიანი.

20 მარტს საღამოთი ამხ. ტერ-გაბრიელიანი ჩამოვიდა ერევანში. სადგურზე სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს შეხვდნენ სომხეთის მთავრობის წევრები. (ადს).

აფხაზეთის პროფკავშირთა ყრილობა

სოხუმი, 21 მარტი. სრულიად აფხაზეთის პროფკავშირთა მე-8 ყრილობაზე მოხსენება პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ გააკეთა პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. სუკოიანმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წელში პროფკავშირების წევრთა რიცხვი გაიზარდა 21 პროცენტით. მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაუმჯობესდა პროფაქტივი. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების და კავშირების გამგეობათა გადარჩევა წარმატებით ჩატარდა პროფაქტივში გაიზარდა ადგილობრივ ეროვნებათა პროცენტი. კავშირებში ჩაბმულია 4.000 მოჯამაგირე. კოლექტიურ ხელშეკრულების დადების დროს ჩამორჩენილ ჯგუფების გაუდიდდა ხელფასი. საშუალო სამუშაო ხელფასი აფხაზეთში უდრის 64 მანეთს. კულტურული მუშაობა პროფკავშირების წევრებს შორის სწარმოებს ნაციონალურ ენებზე.

ყრილობამ მისალმებელი დეპეშები გაუგზავნა პროფინტერნის კონგრესს და აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობას. (ადს).

საგაზაფხულო თესვის სამზადისი

ა.-კ. რესპუბლიკებზე განაწილებულია 200,000 მანეთი თესლის შესაძენად

კოოპერატიულ ორგანიზაციებს დაევალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ თესვის კამპანიაში

რა კეთდება თესვის კამპანიისათვის

(საუბარი ამხ. ბაგიროვთან)

გუშინ, თესვის კამპანიის რწმუნებულმა ამიერ - კავკასიაში ამხ. ბაგიროვმა საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის სამზადისის შესახებ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ამიერ - კავკასიაში თესვის კამპანიის ჩატარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, როგორც ამიერ - კავკასიის, ისე უმაღლეს საკავშირო ორგანოების მხრივ. ეს იმით აიხსნება, რომ ნაადრევმა ზამთარმა ხელი შეუშალა საშემოდგომო თესვას შარშან და დიდძალი სათესი სივრცე გამოუყენებელი დარჩა. ამიერ - კავკასია არის ნედლი მასალის ქვეყანა. აქ მოდის და ხარობს მრავალნაირი ტეხნიკური კულტურები — კანაფი, ბრინჯი, ბამბა, ზეთის სახდელი მცენარეები და სხვა. წელს კი ყველა ამ კულტურების თესვას საგრძნობლათ უშლის ხელს შეუწყვეტელი თოვა, თესლეულობის სიმცირე, მუშა - საქონლის საკვების კრიზისი და სხვა.

ყველაფერი ეს აიძულებს მთავრობას ყურადღება მიაქციოს გაზაფხულზე თესვის გაძლიერებას, რომ შემოდგომაზე დაუთესელი ადგილები გაზაფხულზე დაითესოს.

ჩვენს უმთავრეს მიზანს შეადგენს, რომ წელს დაუთესავი არ დარჩეს მიწის არც ერთი ნაკვეთი. ამჟამად კი ჩვენ ასეთი სურათი გვაქვს: შარშან შემოდგომაზე დაუთესავი დარჩა: საქართველოში 23.500 ჰექტარი. სომხეთში მთელი სათესი სივრცის 30 პროცენტი და აზერბეიჯანში კი სათესი მიწების 9 პროცენტი. თუ შემოდგომაზე თოვლის ადრე მოსვლამ შეუშალა ხელი თესვას, ახლაც ხელს გვიშლის ცუდი ამინდები. ამიტომ ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რათა იმ მცირე ხნის განმავლობაში, რომელიც დაგვრჩება თესვის სეზონში, შევძლოთ მთელი სათესი სივრცის დათესვა.

უკვე მიღებულია შესაფერი ზომები, რომ მომავალი თესვის კამპანია შესაფერისად ჩავატაროთ.

ამ ამოცანის განხორციელების დროს უდიდეს დაბრკოლებას წარმოადგენს თესლეულობის ნაკლებობა. სულ ა.-კ. რესპუბლიკებისათვის საჭიროა 225.000 ფუთი თესლი. ჩვენ უკვე შეუდექით თესლეულობის დამზადებას თვით რესპუბლიკებში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ბევრგან გლეხები შინაური საჭიროებისათვის ხარჯავენ თესლს, რადგან პური არა აქვთ. ამიტომ ჩვენ გავანაწილეთ რესპუბლიკებს შორის 100.000 ფუთი სიმინდი და ხორბალი, რაც უნდა გადაიცვალოს თესლზე. ამასთანავე განაწილებულია 200.000 მან. კრედიტი თესლის შესაძენად.

მეორე დაბრკოლებას წარმოადგენს საქონლის საკვების სიმცირე. ჩვენ მივიღეთ ზომები საკვების შესაძენათ და ამ მიზნით გადავდეთ 200.000 მანეთი. საქართველოს ამ თანხიდან მიეცა 130.000 მანეთი და აზერბეიჯანს 70.000 მანეთი; რაც შეეხება სომხეთს მან ჩრდილოეთ - კავკასიაში საკუთარ საჭიროებისათვის უკვე შეიძინა 200.000 ფუთი თივა.

მოგვარებულად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე საკითხი სოფლის მეურნეობის საჭიროებათათვის კრედიტების მიცემის შესახებ. ა.-კ. სას.-სამეურნეო ბანკის ცნობით, 14-დან 17 მარტამდე რესპუბლიკანურ სასოფლო - სამეურნეო ბანკებს, თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ, მიეცა 3.970.000 მანეთი, ხოლო ამავე ხნის განმავლობაში ა.-კ. ფინსახკომმა განაწილა 2.234.000 მანეთი.

დასასრულ, — განაცხადა ამხ. ბაგიროვმა, —მე მინდა მოკლედ შევეხო იმ დეფექტებს, რომლებიც ხელს გვიშლიან კამპანიის ჩატარებაში. გამოირკვა, რომ ზოგიერთი დაწესებულებები და უწყებები გულგრილათ ეკიდებიან კამპანიის ჩატარებას და სახაზინო მიწერ-მოწერებით ფარგლავენ თავიანთ მუშაობას ამ მიმართულებით.

არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს აგრეთვე ზოგიერთი რესპუბლიკანური სამეურნეობების საქციელი, რომლებიც ხშირად ადგენენ დაუსაბუთებელ მოთხოვნილებებს და სცდილობენ მიიღონ რაც შეიძლება მეტი კრედიტები. რესპუბლიკანური სამეურნეობები სუსტად ადევნებენ თვალყურს კამპანიის წარმატებით ჩასატარებლათ გამომუშავებულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეს.

დირექტივები თესვის კამპანიის ჩასატარებლად

ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულთან შემდგარმა თათბირმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ცალკე ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად დაეკისრა შემდეგ დავალებათა შესრულება:

1) სომხეთის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა და თესვის კამპანიის რწმუნებულმა სასწრაფოდ უნდა წარმოადგინონ ცნობა შარშან და გასულ შემოდგომაზე დათესილი სივრცის შესახებ და აგრეთვე ცნობები, თუ რა რაოდენობის სივრცე უნდა იქნეს დათესილი წელს.

2) წინადადება მიეცა ცალკე რესპუბლიკებში თესვის კამპანიის ჩამტარებელ ორგანიზაციებს (სამეურნეობს) სასწრაფოდ წარმოადგინონ მოთხოვნილებები სასოფლო_სამეურნეო მანქანებისა და მინდვრის მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებათა მისაწოდებლათ.

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციას ეთხოვა თვალყური ადევნოს, რომ რესპუბლიკები თავის დროზე ასრულებდნენ ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულის განკარგულებებს.

3) ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენელს ამხ. ქ. ჩხენკელს, ამხ. ხოშტარიას (ამიერ-კავკ. ფინსახკომიდან), ამხ. მელიქს (ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატი), ამხ. კაპიევს (სახ. ბანკიდან) და ამხ. ვარდანიანს (ამიერ-კავკ. მუშ. და გლ. ინსპექციიდან) დაევალა გამოარკვიონ—საკმაო თუ არა უკვე გაცემული კრედიტები (10.720.000 მან.) საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

4) ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიენდო გამოიკვლიოს ერთი კვირის განმავლობაში მუშა-საქონლის შესაძენათ გაცემული კრედიტების განაწილებისა და დარიგების სისტემა.

5) ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის და კერძოთ საქართველოსათვის მუშა-საქონლის შესაძენ საკითხების მოსაგვარებლად შესდგება კომისია, რომელსაც დაევალება დამატებითი კრედიტის გამოთხოვნა ცენტრიდან 150.000 მანეთის რაოდენობით. კომისია თავის მუშაობას დაასრულებს ორ დღეში.

კოოპერაციის მონაწილეობა თესვის კამპანიაში

ა.-კავკასიის კოოპერატიულ საბჭოსთან შესდგა ამ. - კავკასიის ყველა სახის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც განიხილა კამპანიაში კოოპერაციის მონაწილეობის საკითხი.

თათბირზე გამოიტანეს მთელი რიგი დადგენილებები, რომელთა მიხედვით ამ.-კავკ. კოოპერატიულ ორგანიზაციების ცენტრებს დაეგზავნა ცირკულიარი სათანადო განმარტებებით.

მიაქცევს რა კოოპერატიულ ორგანიზაციების ყურადღებას თესვის კამპანიის სასწრაფოდ ჩატარების აუცილებლობაზე, ა.-კ. კოოპერატიული საბჭო ამ ცირკულიარში აღნიშნავს, რომ კოოპორგანიზაციების როლი თესვის კამპანიაში არა ნაკლებ საპასუხისმგებლოა, ვინემ ყველა დანარჩენი ორგანიზაციებისა და ამისათვის საჭიროა კოოპერაციამ ენერგიული და საქმიანი მონაწილეობა მიიღოს კამპანიის ჩატარებაში.

ა.-კ. კოოპსაბჭო წინადადებას აძლევს რესპუბლიკანურ კოოპერატიულ ორგანიზაციებს შეუკავშირდნენ რესპუბლიკანურ - საგანგებო სამეურნეებს და ყველა დასახული ღონისძიებები გაატარონ ცხოვრებაში მათთან შეთანხმებით.

ამ. - კავკასიის ყველა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციებმა, რომელთაც აქვთ ესა თუ ის დამოკიდებულება სოფელთან, უნდა აწარმოონ ფართო განმარტებითი კამპანია ნათესების სივრცის გაფართოების და განსაკუთრებით ტეხნიკური კულტურების და პურეულის თესვის გასაძლიერებლად.

კამპანია გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის კოლექტივიზაციის იდეის პროპაგანდისათვის.

კრედიტების განაწილების და გამოყენების შემოწმება

(საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალით)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა ჯერ კიდევ საგაზაფხულო თესვის კამპანიის დაწყებამდე ჩაატარა გამოკვლევა იმისა, თუ რა ზომებია მიღებული კამპანიის წარმატების უზრუნველსაყოფად.

გამოკვლევის დროს აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი დეფექტები ღარიბის გლეხობისათვის კრედიტების მისაწოდებელ ფონდის განაწილების და გამოყენების საქმეში. ამ დეფექტებს შორის ყველაზე უფრო აღსანიშნავია ღარიბთა ფონდების არათანაბარი განაწილება მაზრებს შორის. ხშირად ეს ფონდები ვერ აკმაყოფილებენ ამა თუ იმ რაიონში არსებულ ღარიბ მეურნეობათა მოთხოვნილებებს.

გამოკვლევამ დაადასტურა, რომ ხანდახან გადის 7—11 თვე, სანამ ფონდიდან გაცემული თანხები მიაღწევდენ გლეხობამდე.

ადგილი აქვს აგრეთვე თანხების დაქუცმაცებას. საკრედიტო ორგანოები სცდილობენ თანხები მიაწოდონ რაც შეიძლება მეტი მეურნეობებს ამის გამო ისე ანაწილებენ მას, რომ მიღებული თანხა ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს გლეხის მეურნეობას.

არის შემთხვევები, როდესაც სასოფ.-სამ. ამხანაგობები ფონდებს ხარჯავენ არა დანიშნულებისამებრ.

აღნიშნულ დეფექტებს საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ხსნის სასოფ.-სამ. კოოპერაციის ძირითადი ქსელის სუსტი ხელმძღვანელობით და ამასთანავე გლეხთა კომიტეტების სუსტი მუშაობით.

ყველა ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი ცხოვრებაში ატარებენ მთელ რიგ ღონისძიებებს.

ამ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავია მაზრებში საკონტროლო კომისიის და კომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკების გაგზავნა, რომლებიც გამოიკვლევენ, თუ როგორ არის მომზადებული საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის ადგილობრივი ორგანოები და როგორ ატარებენ ისინი ცხოვრებაში ცენტრის მიერ გაცემული დირექტივებს.

მანქანების მომარაგების შემოწმება

წლევანდელ საგაზაფხულო თესვის კამპანიაში საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მომარაგებას სას.-სამ. მანქანებით და იარაღებით.

კომისარიატის მიზანს შეადგენს გამოარკვიოს: წესიერად ნაწილდება თუ არა ღარიბ გლეხობას შორის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები და როგორ სარგებლობს გლეხობა ამ მანქანებით, რა მდგომარეობაშია ადგილებზე სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანების შესაკეთებელი სახელოსნოები; კმაყოფილდება თუ არა საკმარისად გლეხობის მოთხოვნილებები მანქანებზე და სხვა.

სესხი კოლექტიურ მეურნეობებს

გუშინ კოლმეურნეობათა სექციის სხდომაზე კოლმეურნეობათა შორის განაწილებულ იქნა გრძელვადიანი სესხი 182.125 მანეთის რაოდენობით.

აღნიშნული სესხი განაწილებულია შემდეგი მიზნებისთვის: მანქანა-იარაღებისთვის—34.000 მან., მემინდვრეობის და თესვის კამპანიისთვის—24.000 მან., მევენახეობისთვის—36.000 მან., სუბტროპიკული კულტურისათვის—18.000 მან., საწარმოო ნაგებობათათვის—(წისქვილები და სხ.)—8.500 მან., მებაღეობა მებოსტნეობისათვის—10.625 მან. მუშა საქონლის და მესაქონლეობისათვის—6.000 მან.

მაზრებს შორის სესხი განაწილებულია შემდეგ ნაირათ: სიღნაღის მაზრას—27.000 მან., თელავის მაზრას—21.500 მან., გორის მაზრას—10.625 მან., თბილისის მაზრას—15.500 მან., ახალქალაქის მაზრას—8.000 მან., დუშეთის მაზრას—4.000 მან., შორაპნის მაზრას—6.000 მან., ზუგდიდის მაზრას—12.500 მან., ქუთაისის მაზრას—11.500 მან. ოზურგეთის მაზრას—18.000 მან. და სენაკის მაზრას—8.500 მან.

სამზადისი ადგილებზე

თბილისის მაზრაში დათესილი იქნება 20.000 ჰექტარი მიწა

შესდგა თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით. თბილისის მაზრაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ სხდომაზე მოხსენება გააკეთა საადგილმამულო განყოფილების გამგემ ამხ. ადიკაშვილმა.

მომხსენებელმა ვრცლად გააშუქა თესვის კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები და ამჟამად მაზრაში შექმნილი მდგომარეობა საქონლის საკვების სიმცირის გამო.

საადგილ-მამულო განყოფილების მიერ წარმოდგენილი გეგმით განზრახულია გაზაფხულზე თბილისის მაზრაში სულ დათესილი იქნეს 20.000 ჰექტარი მიწა.

სხდომამ მიიღო რა მხედველობაში სათესი მასალის სიმცირე მაზრაში, რის გამო მოსალოდნელია 20.000 ჰექტარიდან ნახევარიც ვერ იქნეს დათესილი, დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები გლეხობისათვის საჭირო თესლეულობის მისაწოდებლად.

სხდომამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ იქნეს დამზადებული და გლეხებს შორის განაწილებული შემდეგი თესლეულობა: 106,4 ტონა სიმინდი, 294,8 ტონა ქერი და 163.8 ტონა ხორბლეული. ამრიგათ, თბილისის მაზრაში მომავალ თესვის კამპანიისათვის განაწილებული იქნება სულ 561.1 ტონა თესლეულობა.

თბილისის მაზრაში თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად სხდომამ გამოყო ცალკე კომისია ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით.

შემდეგ სხდომამ განიხილა დიდი ზამთრის გამო დაზარალებულ გლეხებისათვის საქონლის საკვების მიწოდების საკითხი და დაადგინა გააძლიეროს მაზრისათვის საქონლის საკვების მიწოდების საქმე.

წელს მაზრას აკლია 300 ტონა თივა. ამ დღეებში მაზრას გადაეგზავნება 177 ტონა თივა.

თათბირი ახალციხეში

ახალციხე, 19 მარტი. შესდგა სპეციალური თათბირი თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ. თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის: გლეხკომები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ სათესლე მასალის დარიგებას, საკრედიტო ამხანაგობებმა უნდა გასცენ სპეციალური კრედიტები სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების შესაკეთებლად და სხვ. სათესლე მასალის ნაკლებობის გამო გადაწყვეტილია მოეთხოვოს ცენტრს ორი ვაგონი ხორბალი, ორი ვაგონი ქერი და ერთი ვაგონი სიმინდი.

კრედიტების დახარჯვა მიზანშეუწონლად

საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების საკითხებზე ა.-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულთან გამართულ თათბირზე, ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის წარმომადგენელმა ბირიუზოვმა განაცხადა, რომ ყარაიას სამელიორაციო ამხანაგობამ პირდაპირი დანიშნულების მიხედვით არ დახარჯა კრედიტის სახით მიცემული 8.000 მანეთი და სხვა საჭიროებას მოახმარა.

თათბირმა აღიარა, რომ ასეთი მოვლენები დააბრკოლებს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებას და წინადადება მისცა საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს ამხ. ნ. ბახტაძეს სასწრაფოდ გამოიკვლიოს, რაზე დაიხარჯა აღნიშნული თანხა და გამოკვლევის მასალები გადასცეს პროკურატურას.

პურის ბაზრის გამოკვლევა

(საუბარი ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარ ამხ. ბეკზადიანთან)

ჩვენი თანამშრომლის შეკითხვაზე, თუ რა ზომებია მიღებული პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარმა ამხ. ბეკზადიანმა განაცხადა:

უკანასკნელ დღეებში პურის სავაჭროებთან კუდების გაჩენა გამოწვეულია მხოლოდ და მხოლოდ პურის გამომცხობ ორგანიზაციების მუშაობის მოუწესრიგებლობით, ვინაიდან თბილისში ამჟამად მოიპოვება ფქვილის მარაგი, რომელიც ერთ თვეზე მეტს ჰკმარებს.

შექმნილი არანორმალური მდგომარეობის აღმოსაფხვრელად 21 მარტს მოწვეული იყო თათბირი, რომელზედაც გადაწყდა მთელ რიგი სასწრაფო ზომების მიღება.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში წინადადება მიეცა 1 აპრილისათვის პურის გამსაღებელი პუნქტების რაოდენობა 420-დან აიყვანოს 581-მდე. პურის გაყიდვა აწარმოებს აგრეთვე მუშკოოპის სხვადასხვა მაღაზიებში. „ზიღცს" დაევალა მოაწყოს პურის გამსაღებელი 15 პუნქტი.

პურის ცხობის მოწესრიგების მიზნით, მუშკოოპის ფქვილის ნორმა შემცირებული იქნება და ამ შემცირების ანგარიშზე ფქვილის ნორმა გაუდიდდება: სახარჯაო კოოპერაციის კავშირს 2.400 ფუთამდე, ხოლო „ზაკტპ"-ს 2.000 ფუთამდე.

ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში დაევალა მოაწესრიგოს სამცვლად მუშაობა ფურნეებში, რა მიზნითაც დაჩქარებით უნდა შეუთანხმდეს შრომის სახ. კომისარიატს, რომლის თანხმობითაც პურის ცხობა უნდა მოეწყოს კვირა-უქმე დღეებშიც. რამოდენიმე დღის განმავლობაში თბილისში პურის გამოცხობა იწარმოებს, საჭირო ნორმაზე მეტი რაოდენობით, ასე რომ პურის ბაზარზე უახლოესი დღეების განმავლობაში ნორმალური მდგომარეობა შეიქმნება.

უკვე მეორე დღეა, რაც ამიერ-კავკასიისა და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პრესის წარმომადგენლებთან ერთად აწარმოებენ თბილისის პურის ბაზრის გამოკვლევას.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების ინსპექტორები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ჯერ კიდევ 20 მარტს საღამოს შეუდგნენ ქალაქში არსებულ პურის საცხობებისა და სავაჭროების ჩამოვლას. უმთავრესი ყურადღება ექცეოდა იმის გამორკვევას, თუ რამდენი მუშა მუშაობს პურის ცხობაზე, როგორ იღებენ პურის საცხობები ფქვილს, როგორ სწარმოებს პურის მიწოდება მოქალაქეებისათვის და სხვა.

დეტალურად არის გამოკვლეული ვაჭრობის კომისარიატის, მუშკოოპის და „ზაკტპ"-ის მიერ მოსახლეობის პურით მომარაგების საქმე. გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ თბილისის მუშკოოპი დღითიდღე აფართოვებს პურის საცხობებისა და სავაჭროების ქსელს. 1927 წლის 1 მარტისათვის მას მთელ ქალაქში მოეპოვებოდა 148 პურის სავაჭრო და საცხობი, ა. წ. 1-ლი მარტისათვის კი ეს რიცხვი გადიდებულია 262-მდე. 15 მარტისათვის, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული ქალაქში შექმნილი პურის რიგები, პურის საცხობებისა და სავაჭროების რიცხვი მუშკოოპმა გაადიდა 271-მდე. მუშკოოპის პურის სავაჭროებისა და საცხობების რიცხვი კიდევ უფრო დიდდება და ახლო მომავალში გადააჭარბებს სამასს.

ასეთივე მდგომარეობაა საგზაო-სატრანსპორტო კოოპერაციის ხაზითაც. 21 მარტისათვის საგზაო კოოპერაციას თბილისში მოეპოვებოდა 42 პურის სავაჭრო და საცხობი. ამ დღეებში მათი რიცხვი აყვანილი იქნება 50 ად.

ამგვარად მტკიცდება, რომ კოოპერაციას თბილისში მოეპოვება პურის საცხობებისა და სავაჭროების საკმაოდ ძლიერი ქსელი.

გამოკვლევამ ნათლად დაამტკიცა, რომ ქალაქში პურის ფქვილი მოიპოვება იმაზე მეტის რაოდენობით, რაც საჭიროა და პურიც იმაზე მეტი ცხვება, ვიდრე ცხვებოდა აქამდე. მიუხედავად ამისა, პურის საცხობებთან და სავაჭროებთან ადგილი აქვს დაუსრულებელ რიგებს.

გამოკვლევის პროცესში დადასტურდა, რომ რიგების შექმნა გამოწვეულია პურის გამოლევის უსაფუძვლო შიშით. მოთხოვნილება პურზე უკანასკნელ დღეებში არაჩვეულებრივად გაიზარდა. ზოგიერთები პურს იძენენ გასახმობად.

თბილისის პურის ბაზრის გამოკვლევა გრძელდება.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატები სასწრაფო წესით შეუდგენ ღონისძიებების გამომუშავებას პურის ბაზრის მოსაწესრიგებლად და რიგების მოსასპობად.

მიღებულია ზომები დღეიდან თბილისში არსებულ პურის საცხობების მომარაგება ფქვილით კიდევ უფრო გაძლიერდება. ვაჭრობის კომისარიატმა უკვე გაადიდა ფქვილის გაცემა ფურნეებსა და თორნეებზე. პური გამოცხობილი იქნება იმაზე მეტის რაოდენობით, ვინემ საჭიროა ქალაქისათვის. ამასთანავე ვაჭრობის კომისარიატის განკარგულებით, დღეიდან გამომცხვარ პურის გაყიდვა იწარმოებს არა მარტო ფურნეებში და თორნეებში, არამედ მუშკოოპისა და „ზაკტპ"-ს ყველა საპროდუქტო დუქნებში.

ბაქო-ბათომის ნავთსადენის გაყვანა

ბაქო, 20 მარტი. „აზნეფტსტროის" უფროსმა—ინჟინერმა ბულგაკოვმა—ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს შემდეგი განაცხადა ბაქო-ბათომის ნავთსადენის გაყვანის შესახებ.

„ამინდობის გამო მუშაობის დროებითი შეჩერება ვერ [illegible] ნავთსადენის გაყვანისა და ბათომის ქარხნების აგების საქმეს. ნავთსადენის პირველი ნაწილი დასავლეთ უბანზე დროზე დამთავრდება, ე.-ი. 1928 წლის 1 ოქტომბრამდე. გერმანიიდან უკვე გამოგზავნილია ნავთსადენისათვის საჭირო მილების პირველი პარტია—5.000 ტონა, დანარჩენი მილები ყოველთვიურად გამოიგზავნება ასეთივე პარტიებად. მთელი ნავთსადენი მზად იქნება 1929 წლის 1 ოქტომბრამდე. 1928 წლის 1 ნოემბრიდან თანდათანობით მივიღებთ ნავთსადენისათვის საჭირო მოწყობილობას, რომელსაც საბჭოთა ქარხნები ამზადებენ. ნავთსადენის მილების შესადუღებლად აზნავთის მშენებლობის სამმართველომ გერმანიიდან მოიწვია მაღალ კვალიფიციურ შემდუღებელთა პარტია. ეს პარტია პირველ ხანებში დამოუკიდებლად იმუშავებს. მისი მუშაობისათვის პასუხს აგებს ვოლფის ფირმა, რომელიც მილებს გზავნის ნავთსადენისათვის. შემდეგ გერმანელ შემდუღებლებს თანდათანობით შესცვლიან საბჭოთა შემდუღებლები. ნავთსადენის გაყვანაზე და ბათომის ქარხნების აგებაზე მუშაობს 1.400 კაცი. ბათომის ნავთსაწმენდი ქარხნისათვის გერმანიაში შეკვეთილი მძლავრი ბატარეა, რომელიც წლიწადში გაატარებს 82.000 ტონა ნავთს, მოვა 1928 წლის ზაფხულისათვის. დანარჩენი ქარხნების მოწყობილობას მივიღებთ 1928-29 წლის განმავლობაში. (ადს).

პარტიული ცხოვრება

პარტდატვირთვის განაწილებისათვის

ჩვენი უჯრედების მუშაობაში განსაკუთრებით შესამჩნევია ის გარემოება, რომ ზოგიერთ, ე. წ. „აქტიურ" ამხანაგებს დაკისრებული აქვთ რამოდენიმე პარტიული და საზოგადოებრივი სამუშაო, მაშინ, როდესაც განსაზღვრული ნაწილი კომუნისტებისა ყოველგვარი მოვალეობის გარეშე დარჩენილი.

ამასთანავე აღსანიშნავია ისიც, რომ პარტიულ დავალებათა განაწილება მოკლებულია გეგმიანობას, მიმდინარეობს უსისტემოდ და უჯრედის ბიურო არ აწარმოებს მის აღრიცხვას.

ასეთი მდგომარეობა, ცხადია, ხელს უშლის პარტიულ ძალების რაციონალურად გამოყენებას და უარყოფითად მოქმედებს, როგორც უჯრედის, ისე საზოგადოებრივ მუშაობაზედ.

უჯრედის შინა და საზოგადოებრივი მუშაობის გაძლიერების ინტერესები მოითხოვენ, რომ ჩვენმა ორგანიზაციამ დროულად მიაქციოს ყურადღება ამ ნაკლის გამოსწორებას.

რა არის საჭირო ამ საქმისათვის? პირველ ყოვლისა აუცილებელია თვითეულმა უჯრედმა შეითვისოს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ „ყოველი კომუნისტი ვალდებულია ატარებდეს რაიმე პარტიულ მოვალეობას".

თუ უჯრედები შეძლებენ ამ დებულების გატარებას ცხოვრებაში, მაშინ ჩვენ დავინახავთ, რომ სხვა წარმოება-დაწესებულებებიდან მომავალ კომუნისტები, რომელთა რიცხვი ასე საგრძნობია ორგანიზაციებში და რომლებიც დღემდე [illegible] გამოუყენებელი არიან უჯრედების მიერ—ჩაებმებიან საუჯრედო მუშაობაში და შესამჩნევად გააძლიერებენ მას.

საჭიროა მოხდეს პარტ-მოვალეობათა განაწილების გადასინჯვა და ზედმეტად დატვირთული ამხანაგების განტვირთვა თავისუფალი კომუნისტების მუშაობაში ჩაბმის ხარჯზე.

ხშირია შემთხვევა, როცა პარტიის წევრი ამა თუ იმ მოტივით უარს აცხადებს პარტ-მოვალეობაზე, ასეთი ამხანაგების მიმართ აუცილებელია მიღებულ იქნეს ზომები პარტიული სასჯელის დადების გზით.

პარტ-მოვალეობიდან განთავისუფლების მოტივად არ უნდა ჩაითვალოს არც წერა-კითხვის უცოდინარობა და არც პოლიტიკური მოუმზადებლობა, რადგან უჯრედს ყოველდღიურ საქმიანობაში ბევრი აქვს ისეთი ტეხნიკური სამუშაო, რომელიც არ მოითხოვს დიდ მომზადებას.

უნდა ითქვას, რომ მარტო ეს ზომები არაა საკმარისი პარტ-დატვირთვის საკითხის მოსაწესრიგებლად. მარტო დატვირთვის ნორმალური განაწილებით შორს ვერ წავა საუჯრედო მუშაობა, თუ არ მოწესრიგდა და სათანადო სიმაღლეზედ არ იქნა დაყენებული პარტ-მოვალეობათა შესრულების კონტროლი და აღრიცხვა.

ამ მტკივნეული საკითხების გადასაჭრელად საჭიროა ბიურომ და საორგ. კომისიებმა ხშირად მოისმინონ ცალკე ამხანაგების ანგარიშები თავის მოვალეობათა შესრულების შესახებ და მისცენ მათ პრაქტიკული მითითებანი.

ასეთი მეთოდი გააღვივებს პასუხისმგებლობის გრძნობას უჯრედის ყოველ წევრში და გააუმჯობესებს პარტ-მოვალეობათა შესრულების თვისობრივ მხარეს.

აღრიცხვის ბარათებიანი სისტემა, რომელიც შემოღებულია ზოგიერთ უჯრედებში იძლევა პარტ-მოვალეობათა განაწილების ნამდვილ სურათს, საჭიროა ეს სისტემა გავრცელებულ იქნეს ყველა კომუჯრედებში.

ქ. ხურმუშელი.

პარტგანათლება სოფლად

ერთ-ერთ ძირითად ნაკლს პარტგანათლების დარგში წარმოადგენდა მომზადებულ და მუდმივ პროპაგანდისტთა კადრის უყოლობა. გასულ სასწავლო წლის ბოლოს მომხდარ სოფლის მოძრავ პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირზე გამოირკვა, რომ პარტიული განათლება სწარმოებს უორგანიზაციოდ, უსისტემოთ. გვაკლია არა მარტო პროპაგანდისტები, არამედ მასიურ პარტგანათლების სკოლების ორგანიზაციული დებულება გვაკლია სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები, არაა კონტროლი და ხელმძღვანელობა პარტიულ განათლებაზე, არაა სათანადო ყურადღებაც კი. თათბირმა სოფლის პარტგანათლების მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა და თან აუცილებლად სცნო პროპაგანდისტების ყოველწლიურად გადამზადება.

მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისში მოეწყო სოფლის პოლიტსკოლების სკოლების (მოძრავი და სტაციონალური) ხელმძღვანელთა გადამზადება. კურსების 50 მსმენელიდან 30 გაიგზავნა მოძრავ სკოლების ხელმძღვანელებად, დანარჩენები სტაციონალურ სკოლებისა. პროპაგანდისტებმა მიიღეს კურსებზე ყოფნის დროს პროგრამები და სხვა მასალები, გაეცნენ პოლიტსკოლის სკოლის ორგანიზაციულ და მეთოდიურ საკითხებს და გაემგზავრნენ მაზრებში სამუშაოთ. უნდა ითქვას რომ საერთოდ მოძრავ სკოლების მეცადინეობა დაიწყო ერთდროულად, ოქტომბრის შუა რიცხვებში რასაც ადგილი არ ჰქონია წინა წლებში როცა ზოგიერთ მაზრაში სკოლა იანვარში ან თებერვალში პირველად იხსნებოდა. ავტონომიურ რესპუბლიკების ჩართვით მოძრავ სკოლების ხელმძღვანელების რიცხვი ამჟამად 45-დე აღწევს. თითეული პროპაგანდისტი უმთავრეს შემთხვევაში ხელმძღვანელობას უწევდა ორ სკოლას, ასე რომ სასწავლო წლის პირველ ნახევარში საქართველოში გახსნილი იყო არა ნაკლები 75 მოძრავი სკოლისა, რომლებშიაც მეცადინეობდა 2250 მსმენელი. სკოლების მეცადინეობას ძლიერ შეუშალა ხელი სახელმძღვანელოების და სასწავლო ნივთების დროზე მიუღებლობამ. საერთოდ პროპაგანდისტები ენერგიულ მუშაობას აწარმოებდნენ და აწარმოებენ პარტიულ და კომკავშირულ მასების პოლიტიკურ ცოდნის ასამაღლებლად. მუშაობენ აგრეთვე თავიანთი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. უნდა აღინიშნოს უპარტიო გლეხების არაჩვეულებრივი ინტერესი პოლიტიკურ განათლებისადმი. არის შემთხვევები, როცა უპარტიო გლეხები უფრო სისტემატიურად ესწრებიან მეცადინეობას და ითვისებენ ცოდნას, ვიდრე პარტიულები. რის შედეგია მათი პარტიაში შესვლისაკენ ლტოლვა. პროპაგანდისტები მიმართავენ „ცოცხალ საუბრის" მეთოდს მართალია, ყველა ლექტორი ვერ იმარჯვებს ამ მეთოდს ისე როგორც საჭიროა, მაგრამ საერთოდ მაინც ემჩნევა ჩვენი პროპაგანდისტების ამ მეთოდზე ორგანიზაციული გადასვლა. ამასთან ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, რომ მსმენელები შეაჩვიონ დამოუკიდებელ მუშაობას, მოამზადონ თვითგანვითარებითი მუშაობისათვის.

იანვარში მოძრავ სკოლებმა დაამთავრეს მეცადინეობა და მოხდა მათი გამოშვება. გამოშვების წინ თითქმის ყველა სკოლის მსმენელებისაგან შესდგა თვითგანვითარების წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევენ თვითონ პროპაგანდისტები. ყოფ. მსმენელებიდან ეწყობა ინდივიდუალური თვითგანვითარებაც. თვითმოსწავლენი განსაზღვრულ პროგრამის მიხედვით იმეცადინებენ.

სკოლების პირველი წყების გამოშვების შემდეგ გაიხსნა ახალი სკოლები.

ც. კ. საგიტ-საპროპ. განყ. დირექტივის მიხედვით პარტგანათლების სკოლებში უნდა ჩატარდეს თითო საუბარი მე-15 ყრილობის შედეგებზე. ყველა ტიპის სკოლების პროგრამებში შეტანილ იქნა ცვლილება. პროგრამებს დაემატა მე-15 ყრილობის დადგენილებათა შესწავლა, სამაგიეროთ, ზოგიერთი საუბრები შემოკლდა. ახალ გახსნილ სკოლებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამხედრო საკითხებს, წითელ ჯარს და ს. ს. რ. კ-ს თავდაცვის საკითხებს. მაისის ბოლოს სოფლის პარტგანათლების ქსელში მეცადინეობა დამთავრდება და მოეწყობა პროპაგანდისტთა [illegible].

ზ. ლ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

ფოთის საბჭოს განათლების სექცია თავისი მუშაობის ოქმებს არ ადგენდა

წალენჯიხის თემსაბჭოს სექციებს არავითარი მუშაობა არ უწარმოებიათ.—ამომრჩევლებმა საბჭოდან გაიწვიეს 14 უმოქმედო დეპუტატი

ფოთის საბჭოს სექციები

(წერილი ფოთიდან)

განათლების სექცია

სექცია დებულების თანახმადაა ჩამოყალიბებული. სექციაზე მიმაგრებულია აგრეთვე აქტივიც. მიმაგრება მოხდა მიმდინარე წლის 5 მარტიდან. სექციის ბიუროს მოთხოვნით, სექციაში ითვლება 26 წევრი; ამათში შედის მიმაგრებული აქტივიც. დელეგატ ქალებიდან, პროფბიუროიდან, წითელი არმიიდან, ხელოსანთა კავშირიდან და კომკავშირიდან. ბიურო ფაქტიურად ჩამოყალიბდა მიმდინარე წლის 14 მარტიდან.

განათლების სექცია თავის სხდომაზე არჩევს საგანმანათლებლო, სკოლების, კულტურულ დაწესებულებათა გაუმჯობესების და სხვა საკითხებს. გეგმიანი მუშაობა სწარმოებს მხოლოდ მიმდინარე წლის 14 მარტიდან. სექციის წევრთა რიცხვი პირველად უდრიდა 26. აქედან 6 გამოაკლდა. მიმაგრებულია 6 ამხანაგი. სექციას საანგარიშო ხნის განმავლობაში ქონდა რვა სხდომა. სამი არ შემდგარა. ზომები ამ არანორმალობის მოსასპობად მიღებულია. სექციის წევრთა კრებაზე დასწრება უდრის 70,5 პროცენტს საშუალოდ. ბიუროს კრება ქონდა ერთხელ. ოქმების მიხედვით სექციის წევრთა აქტივობა სუსტია. სექციის წევრებთან საუბრის დროს კი წინააღმდეგი ირკვევა. იყო შემთხვევა სექციის წევრების მივლინებისა დაწესებულებებში. განათლების განყოფილების გამგე აკეთებს მოხსენებებს სექციის სხდომებზე. საბჭოს სხდომაზე თანამომხსენებლი სექციიდან გამოყოფილია მხოლოდ მიმდინარე წლის 17 მარტიდან. ინიციატივას წევრების მხრივ და მითითებას აქვს ადგილი. ამომრჩეველთა პრეტენზიებს სათანადო ანგარიშს უწევდნენ.

რას ამბობენ სექციის წევრები

ამხ. ავქსენტი ცხადაია

(ბიუროს თავმჯდომარე)

ბიურო არსებობდა 1927 წლ. მარტიდან, მაგრამ ოფიციალური სახე მან მიმდინარე წლის 5 მარტამდე არ მიუღია. ეს უმთავრესად მიეწერება ჩვენს გამოუცდელობას. საქმეს ვაკეთებდით, მხოლოდ ოქმებს არ ვადგენდით. სექციაზე მისამაგრებლად ამხანაგები თვით ორგანიზაციებს უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ მათგან ამას ვერ ველირსეთ. ბოლოს ბიურომ მოითხოვა სათანადო ორგანიზაციებიდან აქტივის მიმაგრება, რაც ამჟამად სისრულეში მოყვანილი.

აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ თავიდანვე ამდენი წარმოდგენა გვქონოდა სექციის მუშაობაზე, გაცილებით მეტი იქნებოდა გაკეთებული. რაც შეეხება წევრების ინიციატივას, უნდა ვთქვათ, რომ სკოლების კეთილმოწყობის საკითხი მთლად სექციის წევრთა ინიციატივით მოხდა.

ამხ. ნადია ცაგარეიშვილი

(სექციის წევრი)

ბიუროს მუშაობაში თუ არის ნაკლი, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენ არ ვიცოდით რა და როგორ უნდა გვეკეთებინა. არ იყო სათანადო დირექტივები, ინსტრუქტორები მაღლა მდგომ ორგანიზაციებიდან და ასეთ პირობებში დაშვებული შეცდომა ჩემის აზრით ბუნებრივია.

ამხ. ოლღა პაიჭაძე

(დელეგატი—ქალი, სექციის წევრი)

სექციის წევრების ინიციატივას ფართედ ქონდა ადგილი. ყველა საკითხების ჩამოთვლა რომელიც გადაწყდა სექციის წევრთა ინიციატივით, ძნელია.. პირადად მე დავსვი საკითხი კუნძულის 4 წლ. შრომის სკოლაში ორწყებად მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ. სექციის წევრებმა დავესწარით სამოსწავლო წლის დასასრულს სკოლების საალრიცხვო მუშაობას სექციის სხდომაზე უკლებლივ ვესწრებოდით, მაგრამ იყო შემთხვევა სხდომების ცნობა არ მოგვდიოდა, რაც აიხსნება შიკრიკის დაუდევრობით. დაუმთავრებელ ნაბადის 4 წლ. შრომის სკოლის შენობის დამთავრების საკითხის დასმის ინიციატივა ეკუთვნის სექციის წევრს და საჭირო თანხის აღმასკომიდან გამოთხოვის ინიციატივა სექციას. შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ამ საქმეზე დაიხარჯა 800 მანეთზე მეტი.

ამხ. გრიგოლ დარჩია

(სექციის წევრი)

სექციის წევრთა ინიციატივით მოწაფეთა მასიურ წმენდას, რომელსაც ქონდა ადგილი, მიეცა უფრო მიზანშეწონილი და უმტკივნეულო ხასიათი. სექცია ისეთ საკითხებსაც კი აქცევს ყურადღებას, როგორიცაა გაკვეთილების დაწყება საჭირო საათებში. სოფლად გადაგზავნილ მასწავლებლობის დღიური უზრუნველყოფა და ნაწილობრივ ბინით სექციის ინიციატივით მოხდა.

ამხ. მუსერიძე

(სექციის წევრი)

მე ვიცი, რომ სექცია მუშაობას ეწეოდა რაც აქ ითქვა იმაზე მეტსაც კი და მიკვირს რატომ ამ მუშაობის ჩამოყალიბება არ მოხდა ოქმებით. ალბად ეს აიხსნება იმით, რომ არ იყო სათანადო დირექტივა, თუ როგორ უნდა ემუშავა ცალკე სექციებს.

ილ. ჟვანია.

წალენჯიხის თემსაბჭო (ზუგდიდის მაზრა)

(წერილი წალენჯიხიდან)

არაფერი გაუკეთებიათ

ყველასათვის აშკარაა; თუ რა დიდი ყურადღება ექცევა პარტიისა და ხელისუფლების მიერ სოფლის საბჭოების გამოცოცხლებას, მათ აქტიურად ჩაბმას სოფლის სოციალისტურად გარდაქმნაში. ამ დარგში სოფლად არის მთელი რიგი მიღწევები, თემის და სოფლის საბჭო ეწევა გეგმიან მუშაობას, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ თემ-საბჭოს ასეთ საქმიანობისათვის ყურადღება არ მიუქცევია და მათი მუშაობა მეტის-მეტად მოისუსტებს.

ასეთის რიცხვს ეკუთვნის წალენჯიხის თემსაბჭო. აღნიშნულ თემსაბჭოს ერთი წლის განმავლობაში ჰქონდა 14 სხდომა, რომელზედაც განიხილა 69 საკითხი, გამოიტანა სათანადო დადგენილება, მაგრამ ეს დადგენილებები ქაღალდზე დარჩა და არც ერთი მათგანი არაა სისრულეში მოყვანილი აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ. საბჭოს წევრები დადგენილების ცხოვრებაში გატარებას ყურადღებას არ აქცევდნენ.

თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებული იყო სექციები, მაგრამ არავითარი მუშაობა მათ არ უწარმოებიათ და ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ.

ამრიგად ყოველ დარგში თემ-აღმასკომმა და თემ-საბჭომ გამოიჩინა უმოქმედობა და დაუდევრობა ამომრჩევლების წინაშე.

ასეთი მდგომარეობის გამო საბჭოს თითქმის ნახევრმა წევრმა თავი დაანება საბჭოს წევრობას თავისი ნებით.

სამაზრო ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომები ასეთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, როგორც თვით საბჭომ, ისე საზოგადო კრებამ საბჭოს მუშაობა ჩასთვალა სუსტად და მომავალი მუშაობისათვის მისცა სათანადო დირექტივები.

საბჭოს შემადგენლობიდან გაიწვიეს 14 უმოქმედო წევრი და მათ მაგიერ საბჭოში აირჩიეს აქტიური მომუშავენი.

გაელი.

ყოველმხრივ გავაშუქოთ

დიდი ხანი არაა, რაც საქართველოში მიმდინარეობს საბჭოთა საანგარიშო კამპანია, მაგრამ აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ ეს კამპანია მოგვცემს უდიდეს შედეგებს საბჭოების და მათი სექციების შემდგომი მუშაობის გამოსაცოცხლებლად და მის სწორ ნიადაგზე დასაყენებლად.

ჩვენს გაზეთში უკვე გამოქვეყნებულია ზოგიერთი თემსაბჭოს და აგრეთვე ქალაქის საბჭოების სექციათა მუშაობის ანგარიში, საიდანაც ნათლად ირკვევა, რომ ჩვენი საქალაქო და სათემო საბჭოების მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლულოვანებები ახასიათებს.

ამას წინად დამთავრდა თბილისის საბჭოს სექციების საანგარიშო კამპანია და მათზე გამოცხადებული კონკურსი. ხსენებულმა კამპანიამ გამოაშკარავა, რომ მიუხედავად თბილისის საბჭოს სექციების ნაყოფიერი მუშაობისა, ნაკლთაგან უზრუნველყოფილნი თბილისის საბჭოს ყველა სექციები ჯერ კიდევ არ არიან.

როგორც სჩანს, გაცილებით უფრო ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ პროვინციაში. [illegible] შეიძლება ავიღოთ თუ გინდ ისეთი მნიშვნელოვანი ქალაქის საბჭოს სექციები, როგორც არის ფოთი.

როგორი მუშაობა უწარმოებიათ ფოთის საბჭოს სექციებს? უსათუოდ არა დამაკმაყოფილებელი. სავაჭრო - კოოპერატიულ სექციას დღიდან ჩამოყალიბებისა ქონია მხოლოდ ერთი სხდომა და ისიც ამ დღეებში, როდესაც უკვე გამოირკვეული იყო, რომ უნდა ჩატარებულიყო სექციების მუშაობის გამოკვლევა. უფრო უკეთეს მდგომარეობაში არც განათლების სექციაა. სექცია ერთი წელიწადია არსებობს და ხელმძღვანელი ბიურო ჩამოყალიბდა მხოლოდ მიმდინარე წლის 14 მარტს. სექციებზე აქტივის მიმაგრებას უკანასკნელ დრომდე ადგილი არ ქონდა. არ უწარმოებიათ სექციის მუშაობის აღნუსხვა სათანადო ოქმებით და სხვ.

ამ გარემოებას სექციის წევრები ხსნიან გამოუცდელობით და აგრეთვე საჭირო ხელმძღვანელობის უქონლობით. ორივე მიზეზი რა თქმა უნდა მისაღებია მხედველობაში, მაგრამ მომავალში ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია, რომლის გამოსწორებას დიდად შეუწყობს ხელს მიმდინარე საანგარიშო კამპანია.

თუ ასეთ დიდ დეფექტებს ჰქონდა ადგილი ფოთის ქალაქის საბჭოს სექციების მუშაობაში, ადვილი წარმოსადგენია რადა იქნება სოფლად, სადაც საბჭოს წევრთა კულტურული დონე გაცილებით დაბალია და ხელმძღვანელობაც უფრო სუსტი. და ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ თემებში საბჭოსთან სულაც არ არიან სექციები ჩამოყალიბებული, ზოგან არსებობენ, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე და მათი გაკეთებული ამომრჩევლებს არაფერი უნახავთ, ხოლო ზოგიერთი თემ-საბჭოს სექციები თავიანთ პირდაპირი მოვალეობის მაგივრად ასრულებენ ისეთ სამუშაოს, რაც მის ფუნქციებში სრულებითაც არ შედის.

მაგალითისათვის შეიძლება გამოდგეს წალენჯიხის თემსაბჭო, სადაც არა თუ სექციების არავითარი მუშაობა არ ყოფილა წარმოებული, არამედ თვით საბჭოსაც ბევრი არაფერი გაუკეთებია, რის შედეგად საბჭოს 15 წევრს თვითონ დაუნებებია თავი წევრობისათვის.

საანგარიშო კამპანიის დროს ამომრჩეველებმა სათანადოდ შეაფასეს წალენჯიხის თემსაბჭოს უმოქმედობა და საბჭოდან გამოიწვიეს 14 უმოქმედო წევრი.

მიმდინარე საანგარიშო კამპანიის ფართოდ გაშლა მხოლოდ ეხლა იწყება და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ კამპანიაში გლეხკორებისა და ამომრჩევლების აქტიური მონაწილეობა მდიდარ მასალას მისცემს უმაღლეს ორგანოებს საბჭოების წარსული მუშაობის შესაფასებლად და შემდგომი ამოცანების დასახვისათვის. კერძოდ გლეხკორების აქტივობაზე ბევრად არის დამოკიდებული მიმდინარე კამპანიის წარმატებით ჩატარება, რასაც გლეხკორებმა განსაკუთრებულის ენერგიით უნდა მოკიდონ ხელი.

—ლი.

მძიმე დანაკლისი

(ინჟინერ ალ. ვასილიევის ხსოვნას)

საქართველოს, ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის ტექნიკოსებმა ინჟ. ალ. ვასილიევის სიკვდილით დაკარგეს უდიდესი ინტელექტუალური ძალა, რომლის სახელთან დაკავშირებულია უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში დაწყებული და დამთავრებული მრავალი მსხვილი ტექნიკური სამუშაო.

ინჟ. ალ. ვასილიევს განსაკუთრებული მეცნიერულ-ტექნიკური მომზადება ჰქონდა; იგი იყო უკიდურესად პატიოსანი, კულტურული და გამოცდილი სპეციალისტი და დღევანდელ მძაფრ აღმშენებლობის ხანაში მისი შეცვლა ძალიან ძნელი საქმეა, რადგანაც დღევანდელი ხანა განსაკუთრებულად მოითხოვს მაღალ კვალიფიკაციის, დიდი ცოდნის და გამოცდილობის ინჟინერებს. ასეთ ინჟინერთა საუკეთესო რიცხვს ეკუთვნოდა განსვენებული ინჟინერი ვასილიევი.

მას არ უყვარდა თავის გამოჩენა; ყოველთვის სადა და მარტივი, დინჯი ბუნების—ალ. ვასილიევი ყოველთვის უდიდეს და საპასუხისმგებლო მუშაობას ეწეოდა და მის სპეციალობაში—ელექტროტექნიკაში,— ამ დარგის მუშაობას საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ან ხელმძღვანელობდა და უახლოეს მონაწილეობას ღებულობდა.

ასეთი სამუშაოები იყო: ზაჰესი, რიონჰესი, აზჰიდრო ცენტრალი, აბაშის, თოფარავანის და სხვა ელექტროსადგურები, ამიერ-კავკასიის და საქართველოს ელექტროფიკაციის გეგმის დამუშავება, ფერო-მარგანეცის კომისიის სამუშაოები, ელექტროტექნიკის კურსის კითხვა და სწავლება უმაღლეს სასწავლებელში. ყველა ამ სამუშაოს წარმოება ალ. ვასილიევის დაუკითხავად შეუძლებელი იყო.

ყველა აქ აღნუსხული საქმეებში იგი პასუხსაგებ და თვალსაჩინო როლს თამაშობდა.

დღემდე ჩვენ ტექნიკოსთა შორისაცკი არ იციან, რომ ზაჰესის მთელი ელექტრო-ტექნიკური ნაწილი დაამუშავა და გააშენა ალექსანდრე ალექსანდრესძის უებარმა ნიჭმა, ცოდნამ და გამოცდილებამ.

კიდევ უფრო ნაკლებმა წრემ იცის, რომ ალ. ვასილიევის მიერ შემუშავებული პროექტი ზაჰესის ელექტროტექნიკურ ნაწილისა, სრულიად უცვლელად, მცირე შენიშვნების შეუტანლად, დაამტკიცეს ცენტრის უმაღლესმა ტექნიკურმა ორგანოებმა.

გარდა უახლოეს ამხანაგებისა არავინ იცის, თუ რამდენი ენერგია, ცოდნა და საინჟინერო ტალანტი მოანდომა ალექსანდრე ალექსანდრეს-ძემ ზაჰესის და რიონჰესის სამუშაოების მექანიზაციის ორგანიზაციას.

იცის—კი სენაკის და ქუთაისის მაზრის გლეხობამ, რომ ის ელგადაცემის ხაზი, რომელიც გაჭიმულია აბჰესიდან ქ. ფოთამდე და ქუთაისამდე და რომელზედაც დღეს თუ არა ხვალ აუცილებლად გაჰყვება ელექტრონის სინათლე, ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს მიერ არის მოფიქრებული და სათანადო პროექტიც მან დაამუშავა!

ყველა ეს არ იციან, რადგან ალექსანდრე ვასილიევს არ უყვარდა თავისთავზე წერა და ლაპარაკი. ის მუშაობდა და ჰქმნიდა, ხოლო კმაყოფილებას და ჯილდოს, თავის მუშაობის შედეგებში პოულობდა, იმ შედეგებში, რომლის უმთავრესი ნაწილის ხილვას ვერ მოესწრო ძვირფასი მეგობარი ინჟინერი ვასილიევი.

დღეს, სანამ მის ნეშტს მივაცილებდეთ უდროოდ გათხრილ სამარემდე, ჩვენ ტექნიკოსები მოვალენი ვართ ვსწეროთ და ხმამაღლა ვილაპარაკოთ ინჟინერ ალ. ვასილიევის პატიოსან, უნიჭიერეს და განათლებულ პიროვნებაზე.

ჩვენ გავაორკეცოთ კი არა, გავაათკეცოთ, მუშაობა, რათა ქვეყნის ელექტროფიკაცია, რომელსაც უშურველი სიყვარულით და ესოდენი ცოდნით ემსახურებოდა განსვენებული, განვითარდეს და მძლავრი ნაბიჯით წავიდეს წინ.

ეს შენი საუკეთესო ხსოვნა იქნება ჩვენო ძვირფასო და შეუცვლელო ამხანაგო და მეგობარო.

ინჟ. ბესარიონ ჭიჭინაძე.

საქ. სახკომსაბჭოში

ახალციხის ჰიდრო-ელსადგურის გამოკვლევის კომისია

ამხ. ბ. ჭიჭინაძის მოხსენების თანახმად დაარსებულ იქნა კომისია ამხ. კოჟევნიკოვის (თავმჯდომარე), მატვეევის (მ.-გ. ინსპ.) და ახალციხის სამაზრო აღმასკომის წარმომადგენლის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს ახალციხის ჰიდრო-ელსადგურის მოწყობილობათა ყველა დეფექტები და სათანადო მოხსენება წარმოუდგინოს ეკონომსაბჭოს.

„საქცინმრეწვის" და „სამშენი"-ს სახ. სააქც. საზ.-ებათა წესდებებზე გადასვლა

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს მოხსენების თანახმად სააქციონერო საზ.-ბა „საქცინმრეწვი" და „სამშენი" გადაყვანილ იქნენ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა წესდებებზე და ორივე საზოგადოება დაემორჩილა საქართველოს ს. მ. უ. ს. გეგმიან ხელმძღვანელობას.

ვენეროლოგთა კონფერენციის მოწვევა ქ. თბილისში

ნება მიეცა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს მოიწვიოს ქ. თბილისში ვენეროლოგთა კონფერენცია ა.-წ. აპრილის 20-სათვის.

სამედიცინო გაერთიანებული ბიბლიოთეკის მოწყობის შესახებ

სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო სამედიცინო გაერთიანებული ბიბლიოთეკის მოწყობა.

წინადადება მიეცა ჯანსახკომს აღნიშნული ბიბლიოთეკის მოსაწყობად საჭირო 6.000 მანეთი შეიტანოს თავისი 1928—29 საბიუჯეტო წლის ხარჯთაღრიცხვაში.

მასწავლებელთა ხელფასის გადიდება

რკინის გზებზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზების საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა სატარიფო განაკვეთი გადიდებულია.

ა. კ. რკინის გზების განათლების საბჭოს მოთხოვნით, ცენტრალურ სატრანსპორტო განათლების სამმართველომ დაადგინა,—მოახდინოს სატარიფო განაკვეთების გადიდება 1927 წლის 1 ოქტომბრიდან და ამიერ-კავკასიის რკინის გზები შეიტანოს უმაღლეს სატარიფო ზოლში.

ამის მიხედვით, ამიერიდან პირველი საფეხურის სკოლების მუშაკები მიიღებენ თვეში—55 მანეთს, ნაცვლად 45 მანეთისა, რაც მათ ეძლეოდათ აქამდე. ხოლო მეორე საფეხურის სკოლის მუშაკები—80 მანეთს, ნაცვლად—50 მანეთისა.

ტრანსპორტზე მომუშავე მასწავლებელთა ხელფასი ამგვარად საშუალოდ გადიდებულია 35 პროც.

საყოველთაო სწავლების შემოღება

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა დაამთავრა საყოველთაო სწავლების შემოღების გეგმის შედგენა.

გეგმა გატარებული იქნება შვიდი წლის განმავლობაში, (1927 - 28 წლიდან 1934-35 წლამდე).

8-დან 11 წლამდე ასაკის ბავშვთა რიცხვი 1928-29 წ. საქართველოში მიაღწევს—207.884. პირველი საფეხურის სკოლებში, გეგმის თანახმად, ისწავლის 139.587 ბავშვი (67 პროც.). შვიდი წლის დამლევისათვის სასწავლო მასაკის ბავშვების რიცხვი საქართველოში გაიზარდება 213.276-მდე. 1928-29 წ. საქართველოს სკოლებში იმუშავებს 5.436 პედაგოგი.

1934-35 წ., ე. ი. საყოველთაო სწავლების ჩატარების დასასრულს, საქართველოს სკოლებში იმუშავებს 7.898 პედაგოგი. საყოველთაო სწავლების გასატარებლად შვიდი წლის განმავლობაში საქართველოში, ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით, საჭირო იქნება 50.920.000 მანეთი, ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად კი 67.797.000 მანეთი.

ხელფასის სახელმწიფოებრივი მოწესრიგება

მედსანშრომის მუშაკთა შორის

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად, მედსანშრომის მუშაკთა ხელფასის ფონდი, მისი სახელმწიფოებრივი მოწესრიგების შემდეგ, უნდა დარჩენილიყო იმ ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტში. მედსანშრომის მუშაკთა კავშირი კი ჯანსახკომის ხაზით აყენებდა საკითხს აღნიშნულ ფონდის გადიდების შესახებ.

მთელ რიგ ღონისძიებათა გატარებით ჯანსახკომის ხაზით შესაძლებელი გახდა მედსანშრომის მუშაკთა ხელფასის ფონდის გადიდება 25.000 მანეთით. კავშირმა ცენტრ. გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე იმსჯელა ამ საკითხზე და მოიწონა ჯანსახკომის მიერ გატარებული ღონისძიებანი.

განაკვეთების ახალმა განაწილებამ უმთავრესად ცვლილება შეიტანა მედსანშრომის დაბალი კვალიფიკაციის მუშაკებში. ის, ვინც იღებდა ხელფასს—16 მანეთს და 50 კაპ. ხელფასის რეფორმის შემდეგ მიიღებს 28 მანეთს, ხოლო საავადმყოფოებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში და გამსახლთა საავადმყოფოებში მიიღებენ 30 მანეთს. ვინც იღებდა 31 მანეთს—მიიღებს 35 მანეთს, ვინც იღებდა 35 მანეთს მიიღებს 38 მანეთს, ხოლო ვინც იღებდა 37 მანეთს მიიღებს 40 მანეთს.

სტიქია თუ ბოროტი ხელი?

(წერილი პირველ-ხორგიდან, ზუგდიდის მაზრა)

მეტად სამწუხარო მოვლენას ჰქონდა ადგილი ამას წინედ სოფ. პირველ-ხორგაში. სანამ ამის შესახებ რაიმეს ვიტყოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველს მოკლედ გავაცნოთ ამ სოფლის ადგილმდებარეობა და მისი წარსული მდგომარეობა.

ხორგას სამხრეთით აკრავს ჭალა-დიდის გაუვალი, უდაბური და ჭაობიანი ტყე, ამავე სოფლის ჩრდილოეთით აკრავს ასეთივე გაუვალი და უდაბური ე. წ. საჯაიანოს მამული და ხეთის ტყე. ამ გაუვალ ჩიხში დ. ხობიდან მოკიდებული ქალ. ყულევამდე (შავი ზღვა), მდინარე ხობის-წყლის ორთავე ნაპირზე, დაახლოებით 28 ვერსის მანძილზე იყო ეს სოფელი გადაჭიმული 1917 წლის რევოლიუციამდე.

ძველად ამ უზარმაზარი სოფლის ცენტრი იყო დღევანდელ პირველ ხორგაში. აქვე არსებობდა სასოფლო კანცელიარია, სასოფლო-სამეურნეო ბანკის განყოფილება, კოოპერატივი, კერძო სავაჭრო დუქნები და დასავლეთ საქართველოში განთქმული ორ-კლასიანი სასწავლებელი, სადაც ყოველ წლიურად 1.500-მდე მოსწავლე იძენდა ცოდნას.

ამ სოფლის ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ 28 ვერსის მანძილზე მხოლოდ ერთი ცენტრი იყო, სადაც საჭიროების დროს თავს იყრიდა მოსახლეობა. სოფლის ყველა კუთხიდან აქვე იყრიდენ თავს მოწაფეებიც. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ სოფელს არც თავის ფარგლებში ჰქონდა ხეირიანი გზა. მდინარე ხობზე არ იყო ხიდი და მოწაფეები პატარა ნავით გადიოდნენ ზამთარ-ზაფხულის განმავლობაში.

მოხდა სამწუხარო ამბავი. 1915 წელს ცეცხლის [illegible]

[illegible]

ხიდი. იქვე მდინარის პირას ტრესტმა გახსნა ხე-ტყის ქარხანა.

ზოგიერთ შუა-ხორგელმა კულაკებმა იფიქრეს—სოფელი აყვავდება თუ აქვე მოვახერხეთ ოდესღაც მთლიანი ხორგაში შემავალ თემების თავის მოყრაო და ე. წ. „კულტურულ ცენტრის შესაქმნელად" უწინარეს ყოვლისა ისინი დაებღაუჭენ სოფელ პირველ ხორგის ახლად დამთავრებულ სკოლის შენობას, რომლის გადატანას შეეცადენ ზუგდიდის სამაზრო აღმასკომის დახმარებით, მაგრამ იმედები გაუცრუვდათ. სამაზრო ხელისუფლებამ საქმის ადგილობრივათ გამორკვევის შემდეგ საკითხი გადასწყვიტა პირველ-ხორგის სასარგებლოდ. სკოლა დარჩა პირველ-ხორგაში.

ძმათ შეფიცულმა კულაკებმა ვერ მოისვენეს, სამაზრო ხელისუფლების კანონიერ გადაწყვეტილებაში „იქვე შეეპარათ", შეცდომაში შეიყვანეს ადგილობრივი მშრომელი გლეხობა, შეაგროვეს სამგზავრო და გასულ წელს კულაკების დელეგაცია ესტუმრა თბილისს. მაგრამ აქაც ვერაფერს გახდნენ და იმედგაცრუებულნი უკან დაბრუნდნენ.

ამრიგათ პირველ-ხორგას შერჩა თავის სასწავლებელი და შუა-ხორგას სატყეო ტრესტის ქარხანა.

სოფელ პირველ-ხორგის გლეხკაცობა თავის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. მირცხულავას ხელმძღვანელობით განაგრძობდნენ თემის საქმეების მოწესრიგებას. გლეხობამ ერთი წლის განმავლობაში ზემოაღნიშნულ ჭალა-დიდის გაუვალ ჭაობიან ტყეში გაიყვანა განიერი შოშე გზა, გზა და გზა ააგო ხიდები და გზა შეუერთა რკინის-გზის ხაზს სადგურ [illegible]

[illegible]

ჩვენ ვეკითხებით, ურიგო არ იქნება, თუ ხელისუფლება ამის შესახებ შეეკითხება შუა-ხორგელ კულაკებს.

ბ. ა.

აფხაზეთის მრეწველობის პერსპექტივები

(საუბარი ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძესთან)

გუშინ თბილისში დაბრუნდა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარე ინჟ. ბ. ჭიჭინაძე, რომელიც გამგზავრებული იყო აფხაზეთში ადგილობრივი მრეწველობის დასათვალიერებლად და მიმდინარე ახალ მშენებლობასთან გასაცნობად. ინჟ. ჭიჭინაძემ ჩვენს თანამშრომელს შემდეგი განაცხადა:

— აფხაზეთში ჩემი გამგზავრება გამოწვეული იყო ახალი მშენებლობისა და ელექტრო აღმშენებლობის საორგანიზაციო ხასიათის საკითხების მოგვარების საჭიროებით. უმთავრესი ამოცანა კი იმაში მდგომარეობდა, რომ გავსცნობოდით ბზიბის საპერხო ქარხნის მშენებლობას. ბზიბის რაიონში არის უმდიდრესი ტყე, რომელსაც პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაში. ტყე სავსეა წიწვიანი ჯიშებით, წიფლით და რაც უმთავრესია—ბზის ხეებით. ჩვენ, მაგალითად მოგვიხდა გავლა ტყეში, სადაც 10 კილომეტრის მანძილი დაფარული იყო მხოლოდ ბზის ხეებით.

ბზიბის საპერხე ქარხანა, რომელიც ფაქტიურად იქნება სატყეო მასალათა გადამამუშავებელი კომბინატი, აგებული იქნება სწორედ ამ მდიდარი ტყის რაიონში. იქვე მოეწყობა სატკეჩე ქარხანა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფილი იქნება ტყის მასალით, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე ბზიბის რაიონში არის დიდძალი წიფლის ტყე. ქარხანაში დამზადებული პროდუქციის გატანას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მახლობლად მოწყობილი იქნება ნავთსადგური, გაყვანილი იქნება ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა 26 კილომეტრზე და მოეწყობა ხის მასალათა მოსაზიდი მექანიკური მოწყობილობები.

ყველა აღნიშნული სამუშაოების შესრულება და კომბინატის მთლიანად მოწყობა დაჯდება არა უმეტეს 2 მილიონი მანეთისა, მაგრამ შესაძლებელია ზოგიერთ სამუშაოთა გადადება შემდეგი წლებისათვის და მაშინ ქარხნის მოწყობისათვის საჭირო იქნება დახლოებით 1. 200.000 მანეთი.

მხედველობაში მისაღებია ის გარემოება რომ ბზიბის რაიონი დიდ ინტერესს წარმოადგენს ელექტროფიკაციის თვალსაზრისითაც აქ მდ. ბზიბის შესართავზე—მდ. გეგაზე შესაძლებელია აგებულ იქნას მძლავრი ჰიდროსადგური. ეს მდინარე თავის სათავეს იღებს რიცის ტბიდან, რომელიც დაშორებულია ზღვის ნაპირს 80 კილომეტრით და ამავე დროს მდებარეობს 1500 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. ტექნიკური თვალსაზრისით ეს უნდა ჩაითვალოს იშვიათ ხელსაყრელ პირობად ჰიდროსადგურის ასაგებათ, მით უმეტეს, რომ ტბა ღრმაა და დიდია. სოხუმში ჩასვლისას აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოს მე გავაცანი ასეთი მდგომარეობა და მთავრობამ მიიღო დადგენილება დაუყოვნებლივ იქნეს დაწყებული გამოკვლევები მდ. გეგაზე ჰიდროელსადგურის ასაგებათ. გამოკვლევებისა და საესკიზო პროექტის დამუშავებაში ხელმძღვანელობის გაწევა მიენდო ს. მ. უ. ს.

ბზიბის რაიონის გარდა უდიდესი მნიშვნელობის რაიონს წარმოადგენს ტყვარჩელი. როგორც ცნობილია, ტყვარჩელის ქვანახშირმა გაიმარჯვა ყველა გამოცდებზე და ამჟამად უკვე სწარმოებს სამზადისი, ქვანახშირის მაღაროების მოსაწყობად.

ტყვარჩელში სამუშაოების გაფართოების შემდეგ საჭირო გახდება დიდძალი ელექტრო ენერგია, რისთვისაც საჭირო შეიქნება ახალი ელექტრო სადგურების აგება.

ასეთია ზოგადათ აფხაზეთის მრეწველობის უახლოესი პერსპექტივები.

წვრილი მრეწველობის და შინამრეწველ-ხელოსნური წარმოების გამოკვლევა

მიმდინარე წლის აპრილში ამიერ-კავკასიის სოფლებში ჩატარებული იქნება წვრილ მრეწველობის და შინამრეწველ-ხელოსნური წარმოების გამოკვლევა. გამოკვლევის მიზანია წვრილი მრეწველობის და შინამრეწველ ხელოსნური წარმოების რიცხვობრივი შემადგენლობის გამორკვევა და თვითეულ საწარმოო ერთეულის დახასიათება შემდეგი ნიშნებით: ექსპლოატაციის და მფლობელობის ფორმა, სპეციალური ნაგებობა, მექანიკური მამოძრავებელი და სპეციალური იარაღები, პროდუქციის რეალიზაციის ფორმები, წარმოებაში ჩაბმულ პირთა რიცხვი და სხვა.

გამოკვლეული იქნება ამ დარგების კავშირი სასოფლო მეურნეობასთან და მათი შემოსავალ - გასავლის სიდიდე.

დამახასიათებელ შინამრეწველ - ხელოსნურ წარმოების სოციალ - ეკონომიურ პირობებთან დაკავშირებით, შესწავლილი იქნება აღნიშნულ წარმოების განვითარების გზები და შუამავალ ვაჭრების როლი მათი პროდუქციის რეალიზაციის საქმეში.

გამოკვლევა შეეხება ყველა წვრილ სამრეწველო დაწესებულებებს, (უცენზოს), რომელსაც აქვს მამოძრავებელი, სპეციალური ბინა ან დაქირავებული შრომა. შეეხება აგრეთვე შინამრეწველ ხელოსნურ მეურნეობათ (ოჯახებს), რომლებიც მუშაობენ ბაზრისთვის და არა საშინაო მოხმარებისთვის. საფეიქრო მრეწველობაში (შალის, ბამბის, აბრეშუმის, ხალიჩის და ნაბდეულის წარმოება) გამოკვლეული იქნება ყველა დარგები, მიუხედავათ იმისა, მუშაობა სწარმოებს ბაზრისთვის თუ არა. გამოკვლეული იქნება აგრეთვე წისქვილები, სპირტის გამოხდა, ხილის ხმობა და სხ.

გამოკვლევის დეტალურ პროგრამის შესამუშავებლათ ა.-კ. სტატსამმართველოში მოწვეული იქნება სპეციალური თათბირი.

მიწების რაოდენობა საქართველოში

საქართველოს მიწსახკომის ცნობით, საქართველოში მიწების სივრცე უდრის 6.952.800 ჰექტარს, (ჰექტარი=1,153 დესეტინას). აქედან 800.000 ჰექტარი დაბლობია, 4.550000 ჰექტარი ფერდობი, დანარჩენი მიწები არის მაღალი დაქანების მქონე.

მთელი ეს სივრცე განაწილებულია შემდეგნაირად: სამოსახლოთ გამოსადეგია—70.000 ჰექტარი, ბაღებისათვის—17.200, ვენახებისათვის—87.000, სარწყავ და სახნავ-სათეს მიწებათ—115.800, სარწყავად გამოუყენებელ მიწების სივრცე შეადგენს:—1.080.400 ჰექტარს, სათიბებისათვის გამოსადეგია 102.800 ჰექტარი, საძოვრებისათვის 1.498.000 ჰექტარი, ტყეებს უჭირავს—3.478.900 ჰექტარი, საზამთრო საძოვრებს—249.500, გამოუსადეგარ მიწებს—1.304.800 ჰექტარი.

უკანასკნელი აღწერის მიხედვით საქართველოში ირიცხება 2.650.000 სული მცხოვრები, მაზრების მიხედვით ყოველ კვადრატიულ კილომეტრზე მოდის: ახალქალაქის მაზრაში—78 სული მცხოვრები, თბილისის მაზრაში—71, ბორჩალოს მაზრაში—90, სიღნაღის—98, გორის—121, დუშეთის—123, თელავის—181, ზუგდიდის—162, ახალციხის—164, სვანეთის—137, სენაკის—192, ქუთაისის—194, ოზურგეთის—196, ლეჩხუმის მაზრა —820, შორაპნის—240, რაჭის—230, აფხაზეთის—187, აჭარისტანში—853, სამხრეთ-ოსეთში—272.

მთელ ტერიტორიაზე 3.544.000 ჰექტარი მიწა და ტყე გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში, 2.060.000 ჰექტარი დატოვებული აქვთ მცხოვრებლებს—34.000 ჰექტარი უჭირავს კულტურულ სამეურნეო დაწესებულებებს და ტრანსპორტს. დანარჩენი მიწები გამოუყენებულია.

სა[illegible] საქმის 5 წლიანი გეგმა

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეადგინა [illegible] 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა. [illegible]

[illegible]

ავიაქიმში

ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს პლენუმი

შაბათს, 24 მარტს, საღამოს 5 საათზე თბილისის წითელ არმიის სახლში შესდგება ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების საბჭოს პლენუმი. [illegible]

[illegible]

სატრანსპორტო კომისია

ა. კ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე [illegible] სატრანსპორტო კომისია, [illegible]

[illegible]

სოფლის მეურნეობის განმტკიცების სესხი

რას აძლევს გლეხობას საგლეხო სესხი

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებულია 1928 წლის პირველ თებერვლიდან. იგი დანიშნულია გლეხობასა და საერთოდ სოფლის მშრომელთა შორის მოსათავსებლად. მისი განაღდების კამპანია უნდა დამთავრდეს პირველ მაისამდე, ე. ი. სანამ გლეხობა თავისუფალია ხვნა-თესვისაგან და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან.

საგლეხო სესხის მიზანია გააძლიეროს ის თანხები, რომელიც სახელმწიფოს მიერ ხმარდება სოფლის მეურნეობის განვითარება-განმტკიცებას. საბჭოთა მთავრობა ყოველწლივ დიდ თანხებს ხარჯავს ამ მიზნისათვის. მაგალითად, 1927—28 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით მარტო საქართველოში განზრახულია სოფლის მეურნეობაზე დაიხარჯოს 5.395.000 მან., ადგილობრივი ბიუჯეტით კი—1.261.600 მან., სულ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით 6.656.600 მანეთი. ამას გარდა, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით საქართველოს გლეხობის ვალი პირველ ოქტომბრისათვის უდრიდა 12.970.000 მანეთს. ამავე წელში განზრახულია კრედიტი გლეხობისათვის 2.205.000 მანეთის რაოდენობით, მაშასადამე 1927—28 წლის საბიუჯეტო გეგმით—მარტო სოფლის მეურნეობაში მოთავსებული უნდა იქნეს სულ 21.831.600 მანეთი.

ამ ხარჯებს, სხვა მოთხოვნილებებთან ერთად, სახელმწიფო ფარავს სხვადასხვა ხარჯების და სახელმწიფო შემოსავლის საშუალებით. მაგრამ ეს წყარონი არ კმარა მრავალგვარ ხარჯების დასაფარავად და ამიტომ მთავრობა შინაგან სესხს მიმართავს.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი გამოშვებულია ასი მილიონი მანეთის რაოდენობით. სესხის პირობები მეტად ხელსაყრელია ობლიგაციის შემძენთათვის და უმეტესად სოფლის მშრომელთათვის.

ეს სარგებლობა შემდეგში გამოიხატება: მეათედი ნაწილი იმ თანხისა, რომელიც განაღდებული იქნება ამა თუ იმ თემებში, მთლიანად რჩება იმავე თემის სასარგებლოდ და საბიუჯეტო წესით მოხმარდება ადგილობრივ საჭიროებას. ამას გარდა, გლეხს, რომელსაც ამოუვა მოგება ხსენებულ საგლეხო სესხით, შეუძლია შეღავათიან პირობებში მიიღოს რიგს გარეშე ადგილობრივ სახელმწიფო ან კოოპერატიულ საწყობიდან მისთვის საჭირო ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები, როგორიც არის ტრაქტორი, სალეწი მანქანა, მანიაველი, მზარისხებელი და სხვა, რაშიც იგი ფულს ნაწილ-ნაწილად გადაიხდის. მაგალითად, მოგებათა გათამაშების დროს მხოლოდ 50 მანეთიც რომ ამოუვიდეს გლეხს, მას შეუძლია გაცილებით მეტად ღირებული მანქანა გამოიტანოს ადგილობრივ საწყობიდან და შიგ საწინდრის სახით გადაიხადოს მხოლოდ მოგებული თანხა—50 მანეთი, დანარჩენს — კი შემდეგ გადაიხდის ნაწილ-ნაწილად.

საგლეხო სესხი ხელსაყრელია მოგებათა სიმრავლითაც. მოგებათა გათამაშება წელიწადში ორჯერაა დანიშნული. სესხი სამი წლის ვადითაა გამოშვებული და ამიტომ სულ ექვსი ტირაჟი მოხდება. პირველი ტირაჟი შესდგება ორი თვის შემდეგ, ე. ი. ამავე წლის ივნისში. თითო ტირაჟით გათამაშებული იქნება 55.440 მოგება, რომელიც შეადგენს სამ მილიონ ნახევარს (3.500.000) მანეთს; ექვსივე ტირაჟით კი გათამაშებული იქნება 332.640 მოგება—21 მილ. მანეთის რაოდენობით. თითო მოგება მოდის ყოველ 30 ობლიგაციაზე. მოგება შეიძლება 50 მანეთიდან 1.000 მანეთამდე.

სესხის შეძენის სარგებლობა მარტო ზემოთქმულით არ განისაზღვრება. ამ სესხის ობლიგაციები ერთი წლის შემდეგ მიიღება სასოფლო-სამეურნეო გადასახადში, სავალდებულო დაზღვევაში და სხვა. აგრეთვე შეიძლება ობლიგაციის გაყიდვა, დაგირავება, საწინდრათ შეტანა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია; საჭიროების დროს ობლიგაციის ნომინალური ღირებულების უკან გამოტანა სახელმწიფო სალაროებიდან.

ობლიგაციის მყიდველი პროცენტულ სარგებლობასაც ღებულობს გასესხებულ ფულში. ეს სარგებელი უდრის 60 კაპეიკს წლიწადში ყოველ 10 მანეთიან ობლიგაციაზე, რაც შეადგენს 6 პროცენტს წლიურად.

ამრიგად ახლად გამოშვებული საგლეხო სესხი, მიზნად ისახავს რა სოფლის მეურნეობის გაძლიერებას, პირად სარგებლობასაც აძლევს გლეხობას და სამაგიეროდ არავითარ მსხვერპლს არ მოითხოვს მისგან. სესხის გავრცელება წარმოებს სრული ნებაყოფლობის საფუძველზე. ობლიგაცია ღირს 10 მანეთი, მისი მეოთხედი ნაწილი კი—2 მან. 50 კაპ. ამ პატარა თანხის გაღება სესხათ საერთოდ სახელმწიფოებრივ საქმისათვის არ უნდა დაიზაროს არც ერთმა შეგნებულმა გლეხმა.

თემაღმასკომებს და მათ კონტრაგენტებს მართებთ გააცხოველონ მუშაობა სოფლად, მეტი ყურადღება მიაქციონ აგიტაციას გლეხობას შორის, რათა უკანასკნელმა შეიგნოს სესხის მნიშვნელობა და დაჩქარებით მოიხადოს თავისი ვალი სახელმწიფოს წინაშე.

სესხის განაღდების კამპანია საქართველოში, მიუხედავად ცუდი ამინდებისა, წარმატებით მიმდინარეობს. გლეხობა თანაგრძნობით ხვდება სესხს. მაზრებში დაგზავნილი ობლიგაციები უკვე გაყიდულია და ადგილები მოითხოვენ ობლიგაციების დამატებით გადმოგზავნას. იმედია, რომ საქართველოში 1 მაისამდე მთლიანად იქნება გავრცელებული ობლიგაციების დანიშნული რაოდენობა.

ა. მ.

სესხის რეალიზაცია ამიერ-კავკასიაში და პირველი ტირაჟი

ამიერ-კავკ. ფინსახკომის სახალხო სამმართველოს უფროსმა ამხ. საფარიანმა ჩვენს თანამშრომელს შემდეგი აცნობა:

უკანასკნელი დღეების ცუდი ამინდების გამო ცნობები ადგილებიდან იგვიანებენ, მაგრამ იმ ცნობების მიხედვით, რომელიც უკვე გვაქვს მიღებული, 15 მარტისათვის აზერბეიჯანში გაყიდულია 1.050.000 მანეთის ობლიგაცია, საქართველოში—400.000 მანეთის და სომხეთში—225.000 მანეთის. სულ 15 მარტისათვის გასაღებულია 1.675.000 მან ობლიგაციები. ვინაიდამ შორეული კუთხეებიდან ცნობები არ მიგვიღია, შეიძლება ითქვას, რომ გასაღებულია ამიერ-კავკასიისათვის გადადებულ ობლიგაციების ნახევარზე მეტი. რეალიზაციის დასრულებამდე ჯერ კიდევ 40 დღე დარჩა. კამპანიის დასასრულისათვის რეალიზაცია მიიღებს მაქსიმალურად ინტენსიურ ხასიათს. ამ დროისათვის ალბად ამინდიც გამოკეთებული იქნება, სოფელში დაგროვდება ახალი თანხები (ავანსები სხვადასხვა კულტურებისათვის), მესაქონლეობის რაიონებში გაზაფხულობით იწყება რძის ნაწარმოების და საქონლის რეალიზაცია. ასე, რომ ამ დროს სოფელს უფრო მეტი ფინანსიური შესაძლებლობა ექნება. ამავე დროისათვის ფინსახკომს განზრახული აქვს რეალიზაციის შემოწმების ჩატარება. ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამიერ-კავკასია შეინარჩუნებს პირველობას სესხის რეალიზაციაში, რომელიც კამპანიის პირველ ნახევარში მოიპოვა.

რეალიზაციის კამპანიის გაღრმავებასთან ერთად, საკავშირო ფინსახკომი აძლევს გლეხობას და სესხის გამსაღებელ აპარატს ახალ-ახალ შეღავათებს.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის პირველი ტირაჟი, რომელიც განზრახული იყო ოქტომბრისათვის, შესდგება ივნისში. ამ დროისათვის რეალიზაცია დამთავრებული იქნება და გლეხობას ხელთ ექნება ნაღდი ობლიგაციები.

მე-17-ე სერიის ტირაჟი ჩატარებული იქნება ამიერ-კავკასიაში, რადგან ეს სერია მთლიანად გასაღებულია ამიერ-კავკასიაში. ამ სერიით გათამაშებული იქნება 1.386 მოგება—87.500 მანეთის რაოდენობით. მაქსიმალური მოგება იქნება 1.000 მან., ხოლო მინიმალური—50 მან. ტირაჟს, გარდა სახალხო კომისარიატების, პროფკავშირების და პრესის წარმომადგენლებისა, დაესწრებიან გლეხობის წარმომადგენლობაც. ტირაჟის ადგილი გამორკვეული იქნება ამ მოკლე ხანში.

ადგილობრივი მიზნებისთვის საკავშირო ფინსახკომის განკარგულებით გადადებულია სესხის 10 პროცენტი.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

გასული წლის 1 ოქტომბრისათვის „სოფლის კავშირს" განაწილებული ჰქონდა ძირითად ორგანიზაციებისათვის 23 ტრაქტორი, 25 სალეწი მანქანა, 110 სანიავებელი მანქანა, 1067 გუთანი, 252 კულტივატორი, 21 ცალი სამკალი მანქანა, 11 სათიბი მანქანა, 252 ფარცხი და სხვ.

ა.-წ. იანვრიდან განაწილებულ იქნა 1570 ცალი გუთანი, 10 ტრაქტორი-ფორდზონი, 50 სეპარატორი, 50 სადუღებელი მანქანა, 70 ფარცხი, 50 სხვადასხვა ფირმის სათესი მანქანა და მრავალი წვრილი ინვენტარი.

ამ დღეებში განაწილებული იქნება: 16 ტრაქტორი (8 ცალი „ხოლდი" და 8 ცალი „ინტერნაციონალი"), 90 ცალი ბამბის და სიმინდის სათესი მანქანა.

ამ მანქანების განაწილების შემდეგ „სოფლის კავშირი" შეუდგება ისეთ იარაღ-მანქანების შეძენა-განაწილებას, რომლებიც საჭიროა მოსავლის აღების დროს (ცელები, ფარცხი, [illegible], სამკალი, სალეწი და სხ.).

„სოფლის კავშირს" დაკვეთილი აქვს და გაზაფხულისათვის მიიღებს 4.500 ვერმორელის აპარატს, 1900 ტონა შაბიამანს და 800 ტონა გოგირდს, რომელიც დაუყოვნებლივ გაუნაწილდება ადგილებს.

თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, იარაღ-მანქანების შეძენის დროს ღარიბ გლეხობას ეძლევა დიდი შეღავათები, მაგ. გუთნები ეძლევა ნისიათ სამი წლის ვადით და სხ.

ამჟამად დაზიანებული მანქენების შეკეთების საქმე სათანადოთ ვერ არის დაყენებული, ვინაიდან, არსებობს მხოლოდ ერთი შემკეთებელი სახელოსნო (თბილისში), რომელსაც არ შეუძლია მთელი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. გარდა ამისა შორეულ ადგილებისთვის ძნელია მანქანის თბილისში ჩამოტანა შესაკეთებლად.

ამ დღეებში „სოფლის კავშირი" გადმოიტანს ბათუმიდან და გახსნის უნივერსალურ შემკეთებელ სახელოსნოს წნორის წყალზე. შემდგომისათვის ასეთივე სახელოსნოები მოწყობილ იქნება თელავსა და გორში.

წყალდიდობის მოლოდინში

რა ზომები იქნება მიღებული თბილისში

თბილისის აღმასკომმა დაარსა თბილისსა და მის მაზრაში მოსალოდნელ წყალდიდობის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია ამხ. **მესხის** ინჟ **ქურდიანის** და ამხ. **ხმალაძის** შემადგენლობით.

კომისიის პირველ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. **მესხი**, ინჟ. **ქურდიანმა** გააკეთა მოხსენება მოსალოდნელ წყალდიდობის და მის წინააღმდეგ სათანადო ღონისძიებების გამონახვის შესახებ.

წინადან დიდი თოვლის გამო გაზაფხულზე მოსალოდნელია არაჩვეულებრივი წყალდიდობა, კომისიამ დაადგინა წყალთა მეურნეობის საშუალებით წინადადება მიეცეს ახალციხის, ბორჯომის და გორის მდინარეთა დონის საგუშაგოებს დაუყოვნებლივ სასწრაფო დეპეშით აცნობონ თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას ლიახვის და მტკვრის ადიდების დაწყება და სისტემატიურად მოაწოდონ ცნობები მტკვრის დონის ცვალებადობის შესახებ.

კომისიის დადგენილებითვე ადმინისტრატიული განყოფილების გამგეს ევალება მტკვრის ადიდების დაწყებისთანავე ცხენოსან მილიციის საშუალებით გააფრთხილოს მტკვრის ნაპირებზე მცხოვრებნი და გადაიხიზნოს ისინი უშიშარ ადგილებზე. ამასთანავე წინადადება ეძლევათ მტკვრის ნაპირებზე მდებარე ქარხნების და საწყობების ადმინისტრაციას ადმინისტრატიულ განყოფილებიდან ცნობის მიღებისთანავე თავიანთი ქონება გადაიტანონ სხვადასხვა ადგილებზე. მტკვრის ნაპირებზე მდებარე სახლების ქვედა სართულებში მცხოვრებნი ვალდებულნი არიან ადმინისტრატიულ განყოფილების [illegible] დაუყოვნებლივ [illegible] ავტომობილები იმ მცხოვრებლების უშიშარ ადგილებზე გადასაყვანად, რომლებსაც საფრთხე მოელით წყალდიდობისაგან.

წყალდიდობის დროს მცხოვრებლების დასახმარებლად აგრეთვე გამოყენებული იქნება ცეცხლის მქრობელი რაზმები და ჯარის ნაწილები.

გახიზნულ მოსახლეობისათვის მოეწყობა დროებითი საცხოვრებელი ადგილები, სადაც მათ გაეწევათ ყოველგვარი დახმარება.

წყალდიდობის დროს უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით მოეწყობა წყალში დამხმარე პუნქტები შემდეგ ადგილებზე: პირველი ბორანის ქვევით, ვერის პარკთან. ვერის ხიდის ქვევით, მუხრანის ხიდის ქვევით, რიყეზე, მეტეხის ხიდის ქვევით, გოგილოს აბანოს ახლოს და ორთაჭალაში. პუნქტები მომარაგებული იქნებიან ნავებით და საჭირო ხელსაწყოებით.

წყალში დამხმარე პუნქტების გარდა 8 მთავარ ადგილზე მტკვრის ნაპირებთან გაიხსნება საექიმო პუნქტები წყალდიდობის შემთხვევაში დაზარალებულ მოქალაქეთათვის დროებითი საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

ამავე კომისიის დადგენილებით, წყალდიდობის დროს შეჩერებული იქნება ბორანების მუშაობა და გაუქმებული იქნება მტკვრის ტოტებზე ყველა დროებითი ხიდები და ბოგირები.

კომისიამ აგრეთვე დაადგინა წყალდიდობის დროს ზოგიერთ პატარა ხიდებზე სავსებით შეწყვიტოს მოძრაობა, ხოლო მთავარ ხიდებზე აკრძალოს ხალხის შეგროვება და საერთოდ მიიღოს ზომები ხიდების ზედმეტი მოძრაობისაგან განსატვირთავად.

დასასრულ, კომისიამ დაადგინა [illegible]

[illegible]

მდგომარეობა ზესტაფონში და ხარაგოულში

[illegible]

ბდ. ხობი და ინგური ადიდდა

[illegible]

თელავის მაზრაში

[illegible]

ლიხაურში

[illegible]

ცნობები სიღნაღის მაზრიდან

[illegible]

მუშათა ცხოვრება

რკინის გზელებში

ორჯონიკიძის სახელობის კლუბში რკინის გზელთა საერთო კრებაზე, რომელსაც დაესწრო 900 კაცი, მოხსენებით გამოვიდა საგზაო კომიტეტის სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგე ამხ. უსტიაშვილი. მომხსენებელი შეეხო საგზაო კომიტეტის მუშაობას რკინის გზელთა მეექვსე თათბირიდან დღემდე და გააცნო კრებას საგზაო კომიტეტის როგორც კულტგანყოფილების, ისე სატარიფო-ეკონომიური და სხვა თავისუფალი ორგანიზაციების მუშაობა.

ამხ. უსტიაშვილმა მოიყვანა მრავალი რიცხობრივი მაგალითი საგზაო კომიტეტის წინსვლელობის შესახებ. შემდეგ მომხსენებელი გადადის ახალ განაკვეთებზე და აცნობს კრებას იმას—თუ როგორი გეგმით მუშავდება მომავალში ხელფასის საკითხი. მომხსენებლის სიტყვით ხელფასი სამ ხარისხად არის დაყოფილი; ფიზიკურ მუშათა პერსონალი, საკანცელარიო და სამეურნეო ტექნიკური პერსონალები. ამის მიხედვით გამომუშავებულია ხელფასის საშუალო რაოდენობა. რომელიც უნდა დამტკიცდეს საგზაო თათბირზე.

მომხსენებელს მისცეს მრავალი კითხვა, რომელზედაც მომხსენებელმა გარკვეული პასუხი გასცა, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მოიწონა საგზაო კომიტეტის მუშაობა და აირჩია დელეგატები ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა მეშვიდე თათბირზე. ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა თათბირზე და საბჭოთა კავშირის რკინის გზელთა კავშირის ყრილობაზე დასასწრებლად.

ხ. ახალაძე.

რონოდებში ცხოვრება შეუძლებელია

(სად. გურჯაანი)

სად. გურჯაანის საყუდში მსახურობს 28 კაცი. მათ შორის 14 მემანქანე, დანარჩენი კი მათი თანაშემწეები არიან. ადგილობრივ სამათი ცხოვრებელ ბინის უქონლობის გამო, აღნიშნული მუშები ორწყებად მუშაობდნენ. როცა პირველი წყება იწყებდა მუშაობას, მეორე თბილისში მიდიოდა დასასვენებლად. ამის გამო მუშებს უხდებოდათ ზედმეტი საათებში მუშაობა.

დღეს ადმინისტრაციას არ მოსწონს მუშაობის ასეთი წესი და მოითხოვს, რათა ორივე წყება იმყოფებოდეს სადგურზე. საცხოვრებლად კი, ადმინისტრაციამ გამოგზავნა ერთი სამგზავრო რონოდა, რომელშიაც უნდა იცხოვროს [illegible] მემანქანეთა გუნდმა [illegible]

[illegible]

ბ. ი—შვილი.

მოაწესრიგეთ საექიმო დახმარება

(მთ. სახელოსნო)

[illegible]

ბ. ბ.

გაადიდეთ შტატი

(თბ. სადგური)

სამატარებლო გუნდების ნაკლებობაზე ბევრი ითქვა, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. ასეთივე მდგომარეობაში არიან გამყოლები. ისინი დაუსვენებლივ იგზავნებიან მატარებლებში. თუ მათ ეკუთვნით 22 საათის დასვენება, მატარებელში ნიშნავენ 10—11 საათის შემდეგ, რაც იწვევს ზედმეტ ხარჯებს.

ადმინისტრაციის დაუდევრობით ხშირად მატარებლის გამყოლები დაუსვენებლობის ფულებს ღებულობენ თავის ჯამაგირზე ორჯერ მეტს. ამავე დროს კი შრომის ბირჟაში აუარებელი უმუშევრები ირიცხებიან.

უბკავშირო, გამოარკვიე ეს საქმე და მიიღე ზომები მატარებელთა გუნდების შესავსებად.

მუშკორი მეთვალყურე.

უკეთესად ვიმუშაოთ

(როზა ლიუქსემბურგის სახელობის თუთუნის ქარხანა)

როზა ლიუქსემბურგის სახელობის თუთუნის ქარხანაში კარგა ხანია, რაც დაარსდა საწარმოო თათბირი, მისი დაარსების დღიდანვე წარმოებას დაეტყო გაუმჯობესება. მუშათა აქტივიც საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ სასწ. თათბირის მუშაობა მაინც ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ადგილობრივი ორგანოები საწარმოო თათბირს ვერ უწევენ სათანადო ხელმძღვანელობას.

1927 წლის განმავლობაში მოწვეული იყო სულ საწარმოო თათბირის 6 სხდომა, რომელზეც გაირჩა 22 საკითხი, აღნიშნულ სხდომებს დაესწრო სულ 394 მუშა. ქარხანაში კი მუშაობს დაახლოებით 325 მუშა-მოსამსახურე. თათბირის მიერ წამოყენებულ 22 საკითხიდან ცხოვრებაში გატარდა 20 საკითხი. ასეთია ჩვენი ქარხნის საწარმოო თათბირის მუშაობა, მაგრამ ქარხკომმა უნდა მიიღოს ზომები იმისათვის, რომ საწარმოო თათბირმა უფრო უკეთესად იმუშაოს.

ოქაური.

მუშკორთა წერილებიდან

სუსტად მუშაობს. ავჭალის წყალსადენის საწარმოო თათბირი სუსტად მუშაობს. თითქმის წელიწადზე მეტია არ შემდგარა საწარმოო თათბირის სხდომა. ადგილობრივი პროფორგანო ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევს საწარმოო თათბირის მუშაობას.

შემკეთებელი.

მუშები ნაკლებად ისწრებიან. სახელმწიფო [illegible]

ოდიშელი.

[illegible]

მუშა.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

◆ ჯანმრთელობის საქმის გასაფართოებლად თბილისსა და მის მაზრაში, ჯანმრთელობის განყოფილებას დამატებით გადაეცა 78 ათასი მანეთი.

◆ ახალი სახელოსნო. ტრამვაის დირექციამ გადასწყვიტა ტრამვაის ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებით მოაწყოს ახალი სახელოსნო.

◆ წყალსადენის გასაყვანად გარეუბნებში თბილისის აღმასკომმა გადასდო 88.245 მანეთი.

◆ ქალაქის სასაკლაოს შესაკეთებლად გადაიდო 26.419 მანეთი.

◆ მტკვრის ნაპირების გასამაგრებლად აღმასკომმა გადასდო 11 ათასი მანეთი.

მიწსახკომში

◆ შაქრის ჭარხალი. ტირიფონის ველზე განზრახულია წელს დათესილი იქნეს შაქრის ჭარხალი. ამ მიზნით საცდელი მუშაობის ჩასატარებლად მიწსახკომმა გადასდო 3000 მანეთი.

◆ კოლმეურნეობები. მიწსახკომის ცნობით ამჟამად საქართველოში არსებობს 75 კოლექტიური მეურნეობა, რომელსაც გადაცემული აქვს 1640 ჰექტარი მიწა.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად შრომის სახ. კომისარიატმა გადასდო 43 ათასი მანეთი.

◆ ქალები შრომის კოლექტივში. შრომის კომისარიატმა დაადგინა შრომის კოლექტივებში გაადიდოს ქალთა რიცხვი 8 მარტის აღსანიშნავად.

სხვადასხვა

◆ სახ. უნ. სტუდენტთა კლუბში 23 მარტს საღამოს 5 საათზე, შესდგება სოც.-ეკ. ფაკულტეტის იმ სტუდენტების საერთო კრება, რომლებიც ირიცხებიან საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წევრებათ. კრების შემდეგ გაიმართება საღამო-კონცერტი.

◆ საქ. საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ამირაღოვი.

◆ მუშკოოპის რწმუნებულთა მე-12-ე ყრილობა გაიხსნება 24 მარტს, საღამოს 6 ს მუშკოოპის სამმართველოს შენობაში.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები—ახალციხიდან ზაალიანცს, ტირეთიდან—ბაბიჩიას, ბადზულციდან—ტიბშუროვოვს, ყარსიდან—ფილინოიანს.

შემთხვევები

შენობის ჩამონგრევა

გუშინ, დღისით ჩამოინგრა კომინტერნის ქუჩაზე № 2 მდებარე შენობის მეოთხე სართულის ნაწილი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

დაჯახება

გუშინ, დღისით ტრამვაის ვაგონი (№ 104 მარშრუტი მეორე) რუსთაველის პროსპექტზე, განათლების კომისარიატის პირდაპირ დაეჯახა ნადია ალექსის ასულ გეგელიას (მცხ. სასამართლოს ქუჩა, № 33) და მსუბუქად დააშავა. ვატმანი დიმიტრი ჯავახიშვილი დაპატიმრებულია.

თავის ჩამოხრჩობა

გუშინ, დღისით თვითმკვლელობის მიზნით თოკით თავი ჩამოიღრჩო ნიკოლოზ ნიკოლოზისძე გალავეცკიმ (მცხოვ. ალავერდის შესახ. № 8). თავის ჩამოღრჩობის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ქურდების დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გურგენ აირაპეტისძე ხაჩატუროვი, სუმბათ მურადოვი, დავით სამსონისძე ბაბუნაშვილი და გრიგოლ ტერტერისძე ტონოკანიანცი.

ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს ამბროსი რუხაძის ბინა (წყნეთის ქ. № 12); წაიღეს 90 მანეთი ფულად და 350 მანეთის საოჯახო ნივთები. კარის გატეხის საშუალებით გაქურდეს ევგენი ხედოსპანოვის ბინა (მოსკოვის ქუჩა № 6). წაიღეს 200 მანეთის ტანთსაცმელი. გაქურდეს კონსტანტინე ნიჟარაძის ბინა (სასამართლოს ქუჩა № 39); წაიღეს 1200 მანეთის ტანთსაცმელი.

გუშინ, დღისით ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ნადია ჯომახიძის ბინა (ავლევის ქუჩა № 4); წაიღეს ჩულქის საქსოვი მანქანა.

ქუთაისი

სამუსიკო ტექნიკუმის 10 წლის იუბილე

16 მარტს სამუსიკო ტექნიკუმმა იდღესასწაულა თავის არსებობის ათი წლის თავი და თვალსაჩინოდ დაამტკიცა, თუ რა შეიძლება საქმისადმი ნამდვილ სიყვარულს, რომლითაც გამსჭვალულნი იყვნენ მისი დამაარსებელ-ხელმძღვანელნი და მათ მიერ შერჩევით მოწვეული თანამშრომლები.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ტექნიკუმის დღევანდელი მდგომარეობის აღწერას, რაც უკვე აღინიშნა გაზეთებში. ვიტყვით მხოლოდ, რომ ახალგაზრდა ტექნიკუმმა თამამად „დაიჭირა გამოცდა", თეატრში შეკრებილ აუარებელ საზოგადოების წინაშე დაიმსახურა მისი თანაგრძნობა, რაც საუკეთესო საწინდარია ტექნიკუმის ბრწყინვალე მომავლის სრული უზრუნველყოფისა.

საიუბილეო საღამო სამი განყოფილებისაგან შესდგებოდა: პლასტიკა—ბალეტის კლასი, საკონცერტო განყოფილება და საზეიმო სხდომა.

პირველ განყოფილებაში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია პლასტიკის მასწავლებლის შერბაცკის ასულის სამაგალითო თამაშმა (შეასრულა „ვალს ტრისტი" და „ისლამეია"). დამსწრეებმა ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვა საუცხოვო მოცეკვავე. კარგები იყვნენ აგრეთვე ვ. ჩიქოვანისა და თ. ქუთათელაძის ქალი და სხ.

საკონცერტო განყოფილებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ვ. ქუთათელაძისა და ე. სოხაძის ქალის მეტად მოხდენილი ხმები. მომღერალმა გუნდმა კარგად შეასრულა კომპოზიტორ მ. ბალანჩივაძის კანტატა „ზაჰეს" ავტორისავე ლოტბარობით, რომელსაც დიდი ოვაციები გაუმართეს.

საზეიმო სხდომა გაიხსნა განათლების განყოფილების წარმომადგენლის ვ. იმნაძის თავმჯდომარეობით. როგორც თავმჯდომარის, ისე მრავალ დაწესებულება-ორგანიზაციათა წარმომადგენლების სიტყვებსა და მილოცვებში ხაზგასმით იყო აღნიშნული ტექნიკუმის არაჩვეულებრივი მიღწევები, რომელიც შედეგია მის მესვეურთა ენერგიული მუშაობისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ ტექნიკუმისადმი აღმოჩენილი ნივთიერ-მორალური დახმარების.

განათლების სახალხო კომისარიატისა და სამუსიკო კონსერვატორიის მონდობილობით ამ კონსერვატორიის რექტორის მოადგილე ლ. ქუთათელაძის ქალმა მილოცვასთან ერთად აცნობა საიუბილეო კომისიას, რომ განკომისარიატი აარსებს მუს. ტექნიკუმში კომპოზ. მ. ბალანჩივაძის სახელობის ერთს სტიპენდიას; კონსერვატორია კი თავის საშუალებიდან სდებს „მცირე თანხას" ტექნიკუმის პედაგოგიური პერსონალის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად (ეს თანხა იქნება ყოველთვიური).

ტექნიკუმის გამგემ ი. აბაშიძემ [illegible] მოკლე მოხსენებით გააცნო საზოგადოებას ტექნიკუმის ისტორია და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

დასასრულ მან წაიკითხა სხვადასხვა ადგილებიდან მოსული მისალოცი დეპეშების ნაწილი, რომელთა შორის ყურადღებას იქცევენ: ამხ. სტალინ-ჯუღაშვილის, ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისისა და სხვა ქალაქთა კონსერვატორიების, სამუსიკო ტექნიკუმებისა და სკოლების, ხელოვნების კავშირის, აჭარისტანის განათლების სახ. კომისარიატისა, მომღერალთა აკადემიური გუნდისა და მრავალ სხვა დაწესებულება-ორგანიზაციათა დეპეშები.

წაკითხულ იქნა აგრეთვე ტექნიკუმის პირველი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ივანე პურადაშვილის მილოცვა და მასთან ერთად წინადადება ტექნიკუმთან სამუსიკო ფონდის დაარსების შესახებ, რომლის საფუძვლის ჩასაყრელად მან შეაქვს თავისი წვლილი.

ჩვენის მხრით სიამოვნებით ვუერთდებით ამ საყურადღებო წინადადებას და შეგვაქვს სამუსიკო ფონდში ჩვენი წვლილიც—5 მანეთი.

იმედი გვაქვს—ამხ. პურადაშვილის წინადადება არ დარჩება უყურადღებოდ.

დონ-ვალიანი.

რკინისგზებზე

გადავარდა ორთქლმავლიდან

ღამით 20 მარტს სადგ. თაუზიდან საბარგო მატარებლის გაგზავნის დროს, მემანქანე ეგიკოვს. ორთქლმავალზე ასვლისას ფეხი დაუსხლტა კიბეზე და ჩამოვარდა.

ეგიკოვი სერიოზულად დაშავდა. სადგ. აქსტაფიდან გაგზავნეს სანიტარული ვაგონი და ეგიკოვი გადაიყვანეს განჯის საავადმყოფოში.

ახალი კოლექტივი

თბილისის შრომის ბირჟასთან დაარსდა უმუშევარ რკინის გზელების კოლექტივი.

კოლექტივისათვის დახმარების გაწევის მიზნით, რკინის გზის გამგეობამ წინადადება მისცა ყველა განყოფილებებს,—მიმართონ ამ კოლექტივს, განსაკუთრებით სამუშაოების იჯარით გაცემის დროს.

კოლექტიური ხელშეკრულება

ა. კ. რკინის გზის გამგეობის თავმჯდომარემ ვ. პოზდეევმა წინადადება მისცა ხაზებზე მომუშავე ადმინისტრაციას დაწვრილებით გაეცნონ გზათა კომისარიატსა და რკინის გზელთა კავშირის ცეკას შორის ახლად დადებულ გენერალურ კოლექტიურ ხელშეკრულებას და დააწესონ სისტემატიური კონტროლი მის ცხოვრებაში სისწორით გატარებაზე.

სანიტარული გაჯანსაღება

მიმდინარე წელს ა. კ. რკინის გზებზე გზის სანიტარული გაჯანსაღების ღონისძიებათა გასატარებლად გზის გამგეობამ გადასდო—195.000 მანეთი.

სიგნალიზაციის შეკეთება

მიღებულია ზომები ა. კ. რკინის გზებზე სიგნალიზაციის კაპიტალურად შესაკეთებლად.

სიგნალიზაციის შეკეთება და წესრიგში მოყვანა ხელს შეუწყობს მარცხის თავიდან აცილებას.

ფეხბურთი

გაზაფხულის სეზონის გახსნა

ფეხბურთის გაზაფხულის სეზონის გახსნა თუ ამინდმა ხელი შეუწყო, განზრახულია კვირას, 25 მარტს, ლენინის სახელობის სტადიონზე.

დღის 12 საათზე სტადიონზე გაიმართება ფეხბურთელთა აღლუმი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს 37 გუნდი. აღლუმის შემდეგ გაიმართება შეჯიბრება.

წელს, როგორც გასულ სეზონებშიაც, ყურადღების ცენტრში იქნება პირველი კატეგორიის გუნდები. ეს გუნდები წრევანდელ სეზონში რამოდენიმეთ შეცვლილი შემადგენლობით გამოდიან.

გუნდების ძირითადი შემადგენლობა ასეთია:

„დინამო—ა": ბაღდოევი, ფოჩხუა, ბლანკმანი, ფრუიძე, ჟორდანია, გასპაროვი, ქებაძე, რ. მდივანი; ფაჩულია; ქოიავა, ვლ. ცომაია.

„დინამო—ბ": სოლონინი, გლუშჩენკო, ოტტო, რამიშვილი, ბესელაშვილი; ჩერენჩენკო, როსტიაშვილი; დავიდოვი, ბარიკალოვი ,სომოვი, მოროზოვი.

„გემო-კვების მუშაკები": დ. ცომაია, ვორონოვი, მატიენკო, იმნაძე, გონელი, დოლგოლევი, დემიდოვი; ასლამაზოვი; ვაჩნაძე, მალალაშვილი, აივაზოვი.

„არხრაიონი": იუდინი, ტაჩილინი, გუდავაძე, პანდელოვი, ხანდამოვი, სიხარულიძე ემელიანოვი, იამშანოვი, მაჩაბელი, ტურუკანი და სოლტანი.

„საბჭოთა მუშაკები": პილნოვი, ბლაგოვეშჩენსკი, კარაპეტოვი, არუთინოვი, სინონიანი, ალამალიანი, პაიონი; გრონსკი, გიორგაძე ბასმაჯიანი და ავაქიანი.

მსაჯთა კოლეგია

მსაჯთა კოლეგიაში გამოყოფილი არიან: სამუშია, იოსავა, შიოშვილი, პროკოფიევ, მდივანი, კრავჩენკო; ორეხოვი, კუზნეცოვი სოლტანი, შიკანიანი, გალპერინი, ბლანკმანი და სკოლზნევი.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური ოპერა

ვ. ბარსოვას გამოსვლა ოპერა „ლაკმე"-ში

დელიბა დიდი ხელოვანია, მისი ოპერა „ლაკმე" სავსეა იშვიათი მხატვრული გამომეტყველებით. ამ ოპერის შინაარსი, რომელიც სრულებით დაშორებულია თანამედროვე ცხოვრებიდან, ყოველ ინტერესს მოკლებული იქნებოდა, რომ ის შეგვეფასებინა, როგორც რეალობის სურათი, და რომ ეს რეალობა გატარებული იყოს მუსიკაშიც.

ოპერა „ლაკმე"-ს როლების შესრულებლად, უმთავრესად საჭიროა დიდი აზროვნება, რომ არ გადაილახოს ოცნებითი საზღვარი, რომ არ დაირღვეს მშვენივრად მოქსოვილი მუსიკალური ქსელი. რაკი ჩვენმა აკადემიურმა ოპერამ იკისრა „ლაკმე"-ს განახლება ა.-წ. მარტის 20, და ამ განახლებით გამოწვეული ინტერესი გაათრკეცა ვ. ბარსოვას გამოსვლით თვით ლაკმეს როლში, კარგი იქნებოდა, რომ ეს საქმე კარგად დაებოლოვებინა ამ საუკეთესო მომღერლისათვის მძლავრი ანსამბლის (მომღერალთა საერთო შემადგენლობის) შერჩევით, და ამ ანსამბლის რიგიანი მომზადებით. ამ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო, რომ ვ. ბარსოვას გამოსვლების ტექნიკურად კარგი მოწყობა აუცილებელია, როგორც მხატვრულ მიღწევნისათვის, ისე თეატრის ხარჯების გამართლებისათვისაც. სამწუხაროდ, არავითარი ამის მზგავსი ჩვენ არ გვინახავს „ლაკმე"-ს წარმოდგენის დროს. ანსამბლი იმგვარად იყო შერჩეული და მომზადებული, რომ მის მხატვრულ მიღწევებზე ლაპარაკი ზედმეტია: ამ გარემოებამ თითქმის დაფარა და გააუფერულა თვით ვ. ბარსოვას შემოქმედებაც. გამონაკლისად ამ შემთხვევაში ჩაითვლება ნიჭიერი მსახიობი მესნიაევი, რომელმაც ყოველი ღონისძიება იხმარა ნილაკანტის როლის მხატვრულად გადმოსაცემად. და დარწმუნებული ვართ, რომ ის ამ როლს უკეთესად შეასრულებდა, რომ მისი ამ როლში გამოსვლა არ ყოფილიყო სრულიად შემთხვევითი (აფიშებში გამოცხადებული იყო შარაშიძე, მესნიაევი გამოვიდა მის მაგივრად). რაც შეეხება თვით ბარსოვას ლაკმეს როლში, უნდა ვცნათ, რომ მსახიობს როლის დამუშავება აქვს იშვიათი, ვოკალობის სრული უნაკლობა სცენიურ დაბეჯითებასთანაა შეხამებული. დელიბის შემოქმედების მხატვრული ხასიათი გადმოცემულია მის მიერ ღრმა აზროვნებით.

მომღერალი მისდევს არა ტექნიკურ ეფექტებს, რომლებსაც ახორციელებს კილოს სრულის სისუფთავით, არამედ მთელი ყურადღება მისი მიპყრობილია ლირიულ მეტყველებასთან. რაც შეეხება იმ საუცხოვო დუეტს, რომელსაც აქვს ადგილი ოპერის პირველ მოქმედებაში, და რომელიც კარგ შესრულებაში ქმნის რაღაც ზღაპრულ ოცნების შთაბეჭდილებას—ეს დუეტი ჩვენ ვერ შევიგრძენით და ამის მიზეზად ჩაითვლება კილოს ცხადი უსწორობა პანტელეევას მიერ (მალიკას როლში); ამ უსწორობამ სრულებით დაჩრდილა ბარსოვას კილოს სისწორე, შეცვალა ხასიათი ამ შესანიშნავ ადგილისა და წაართვა მას ყურთასმენისათვის მომხიბლაობა. ყველა ზემოხსენებულის მიხედვით, გამოვსთქვამთ სურვილს, რომ ბარსოვას გამოსვლა მომავალში „რომეო და ჯულიეტაში" მოწყობილი იყოს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მთლიანი შთაბეჭდილების გამოტანა ამ იშვიათი მომღერლის შემოქმედებაზე.

არ შეგვიძლია არ შევეხოთ იმ იშვიათ მხატვრულ ყურმახვილობას, რომელიც გამოიჩინა ა. მელიქ-ფაშაევმა ოპერის ლოტბარობის დროს. თუ „ლაკმე"-ს მუსიკალური შინაარსის და სილამაზე ჩვენ, მიუხედავად ზემოაღნიშნულ დეფექტებისა, მაინც შევიგრძენით—ამში უმთავრესი წილი უდევს ა მელიქ-ფაშაევს.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

გლეხური შემოქმედების საღამო

16 აპრილს სახელმწიფო ოპერის თეატრში გლეხთა სახლის კულტურული მიზნებისათვის გაიმართება გლეხური შემოქმედების საღამო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართლელი, შუა-კახელი და გარეკახელი გლეხები მათ შორის ქალებიც. გლეხ-კაცები შეასრულებენ გლეხურ. შრომის, სანადიმო და სალხინო კილოებს. ქალები: ნანას, ბატონების ვარეკვას, ახალგაზრდა ქვრივის ტირილს, დაუკრავენ დაირას და სხვა. ასი წლის მოხუცი იტყვის ზღაპარას, მწყემსი დაუკრავს სალამურს. ფანდურს მესტვირე შესაფერისათ „შეამკობს" ყველას. იქნება შაირებში გაჯიბრება და სხვა. ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და პროფკავშირებს აქედანვე შეუძლიანთ დაიკვეთონ ბილეთები საქართველოს გლეხთა სახლში. (ვოლოდარსკის ქუჩა № 11), სადაც მოხდება ბილეთების განაწილება.

◆ მუშათა თეატრში რუსულ ენაზე დღეს წარმოდგენილი იქნება „ბ-ნ კიურეს ხელობა".

◆ მხატვარ ქუთათელაძისაგან რევოლიუციონურ სურათის შესაძენად თბილისის აღმასკომმა გადასდო 1000 მანეთი. სურათი გადაეცემა სარევოლიუციო მუზეუმს.

◆ პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში შაბათს ადგილობრივ დრამწრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ბასტილიის აღება"

◆ გოლოვინის სავასტროლოდ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო".

◆ „რღვევა". დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „რღვევა".

◆ ოპერის სეზონის დახურვა განზრახულია 14 აპრილისათვის.

◆ მუშათა ცენტრალურ კლუბში შაბათს საოპერო ძალების კოლექტივის მიერ წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი".

◆ „აღმშენებლობა" პროლეტარულ დრამატიულ სახელოსნოს კოლექტივმა მოამზადა და ახლო ხანში დასდგამს, ამავე სახელოსნოს კოლექტივის წევრის გერონტი ტუღუშის ორიგინალურ პიესას „აღმშენებლობა"-ს: დადგმა დ. კობახიძის მხატვარი: დ. კაკაბაძე.

სასამართლო

„ღვთიშობლობა" ს. მაღლაკში

სოფ. მაღლაკის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებმა სერაფიონ დოლაბერიძემ დიდი ნადიმი გამართა „ღვთიშობლის" საპატივცემლოდ (ამბავი მოხდა წარსულ წელს).

ღვინის სმა იყო ჩაფებით. სადღეგრძელოები თავდებოდა დედ-მამის გინებით, გინებიდან გადადიოდნენ მუშტი-კრივზე, მუშტი კრივიდან სასროლ იარაღებზე... იყო სისხლის ღვრა, ცხვირ პირის მტვრევა.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, დოლაბერიძეს დიდი ნადიმი ჰქონდა. სტუმრებს შორის იყვნენ თემაღმასკომის მილიციის თანამშრომლები: დიმიტრი ჟორჟოლიანი და რომანოზ ბობოხიძე. უკანასკნელნი სტუმრად მივიდნენ მთელი თავისი „არსენალით": ვინტოვკებით, რევოლვერებით და ტყვიებით.

სტუმრები შუა ქეიფში იყვნენ, როცა დოლაბერიძის ჰიშკართან დაიწყო ცხვირ-პირის მტვრევა. მეზობლები ჰირველ მამლებივით დაჯახებოდნენ ერთმანეთს და ცხვირ-პირს უსისხლიანებდნენ.

ეს ამბავი დაინახეს დოლაბერიძის სტუმრებმა, მათ შორის „წესრიგის დამცველებმაც".

ჟორჟოლიანმა აიხსნა თოფი-იარაღი და გავარდა „გასაშველებლად". მას სხვები გაჰყვნენ. შექუჩდა ხალხი ჰიშკართან.

— დაიშალეთ!— დასჭექა შეზარხოშებულმა მილიციელმა.

არავის ესმის ბრძანება: „წესრიგის დამცველი" შეურაცყოფილი რჩება.

— თუ არ დაიშლებით, მე თქვენ გიჩვენებთ!... ჟორჟოლიანმა გადმოიღო ვინტოვკა, წამოიჩოქა და გუნდათ თავშეყრილ ხალხს ორჯერ ესროლა.

ტყვია მოხვდა მოქ. შვანგირაძეს, რომელიც არც ჩხუბში იღებდა მონაწილეობას და არც მოზავეობაში. შვანგირაძე სასიკვდილოთ დაიჭრა.

„წესრიგის დამცველმა" ჟორჟოლიანმა გადაიკიდა მხარზე თოფი, და გაუყვა გზას. მას თან გაჰყვა მეორე მილიციელიც რომანოზ ბობოხიძე.

მიდიან. გაშორდნენ დოლაბერიძის სახლს. ამ დროს დოლაბერიძის ჰიშკართან ისმის ქალების გულშემზარავი წივილ-კივილი. დასტირიან უდანაშაულო მსხვერპლს.

— წავიდეთ ბიჭებო, სამაგიერო გადაუხადოთ იმ არამზადებს!—დაიძახა პოლიკარპე დოლაბერიძემ (მასპინძლის ბიძაშვილმა).

პოლიკარპე დოლაბერიძე რამდენიმე ამხანაგის თანხლებით დაეწია მილიციელებს.

პოლიკარპემ გამოჰკრა [illegible] ჟორჟოლიანს და ცხვირით გაუშვა მიწაზე. დანარჩენებმა ბობოხიძე ჩაიგდეს ქვეშ. ურტყამენ მილიციელებს. ჟორჟოლიანი უკვე განიარაღებულია. პოლიკარპეს უჭირავს ხელში მისი თოფიც და რევოლვერიც. ამ დროს მახლობელ ღობიდან გადმოხტა მთვრალი ვინმე ლექვინაძე, რომელმაც ხელიდან დააძრო დოლაბერიძეს ჟორჟოლიანის თოფი და წამოიჩოქა.

გავარდა თოფი და მილიციელი ბობოხიძე დაიჭრა მსუბუქად. ლექვინაძეს მეორემ წაართვა თოფი და ასე ხელიდან ხელში გადადიოდა მილიციელის თოფი. ურტყამდნენ და ურტყამდნენ ერთმანეთს.

„ღვთიშობლობის" შედეგი ასეთი დარჩა მაღლაკში: ერთი მოკლული, ერთი დაჭრილი, მრავალი ცხვირ-პირ დამტვრეული, ბევრი მტირალი და სამი საპატიმროში.

საქმე გაარჩია ქუთაისის მაზრის სასამართლომ.

დიმიტრი ჟორჟოლიანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, პოლიკარპე დოლაბერიძეს და ლექვინაძეს—ორ-ორი წლით.

ცოლი გაექცა, სიმამრზე ჯავრი იყარა

ალექსანდრე ნიკოლოზისძე ტონიევმა შარშან წინ შეირთო ცოლი, რომელსაც კარგა მოზრდილი მზითევიც მოჰყვა.

სულ ორი თვე იცხოვრა ცოლმა ტონიევთან, შემდეგ შეკრა თავისი მზითევი და პირი იბრუნა მშობლებისაკენ ვერ შეეთვისა ქმარს. ვერ ნახა მასში სულიერი მეგობარი.

ჩავარდა საგონებელში ტონიევი, არ მოელოდა, თუ „სერიოზულად" დასტოვებდა ცოლი. მშობლებმა სიამოვნებით მიიღეს უკან დაბრუნებული ქალი და კიდეც მოუწონეს ასეთი საქციელი.

— ტონიევთან მე ვერ ვიცხოვრებ! მირჩევნია თქვენთან სიკვდილი, ვინემ მასთან ცხოვრება.

— ისე იცხოვრე შვილო, როგორც გაგეხაროს!—ეუბნებოდნენ მშობლები.

ტონიევმა ვერ აიტანა მარტოობა. ძალიან იმოქმედა მასზე ცოლის გაყრამ. გული აიცრუა საქმეზე. სავაჭრო ჰქონდა, მიაკეტა და დაიწყო ლოთობა.

დროგამოშვებით ტონიევი მიაკითხავდა თავის ყოფილ ცოლს და სთხოვდა დაბრუნებას. ცოლი კი ცივ უარს ეუბნებოდა.

ტონიევმა გადასწყვიტა განშორებოდა თბილისს, სადაც ასე უბედურად მოეწყო მისი საქმე.

მან შეკრა ბარგი და ამხანაგების თანხლებით გაუდგა თბილისის სადგურისაკენ. სადგურთან, რომ მივიდა ტონიევს საშინელი ბოღმა მოაწვა გულზე, ბოდიში მოიხადა გამცილებლების წინაშე და ერთი დღით „ასტანოვკა" [illegible] ბილეთზე.

ტონიევი დაითვრა რესტორანში და გაიხსენა თავისი სიმამრი.

— ყველაფერი იმისი ბრალია! ის არ უშვებს ჩემთან, თორემ ვართანუშა მე არ მიმატოვებდა. უნდა ჩაძაღლდეს ბაგრატა ბაბლუმოვი!—სთქვა ტონიევმა და მიატოვა რესტორანი.

ღამეა. ბაბლუმოვების კარებს მიადგა შეიარაღებული სიძე. გაიღო კარები და ტონიევმა მიაძახა სიმამრს:

— მომეცით ცოლი თორემ ამოგჟლეტავთ ყველას!

ტონიევს პასუხისათვის აღარ დაუცდია, შევიდა ოთახში და ორჯერ ზედი-ზედ ესროლა რევოლვერი თავის სიმამრს.

ორი ესროლა, მაგრამ ორივეც აცილა. სიმამრმა თავს უშველა. ტონიევმა იმ ღამესვე დასტოვა თბილისი და გაიმგზავრა ბაქოში, საიდანაც სისხლის სამართლის მილიციელებმა ჩამოიყვანეს „უფასოთ"

საქმე გაარჩია თბილისის მაზრის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ტონიევს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ბერ.

რადიო-გადაცემა

ხუთშაბათი, 22 მარტი

დღეს, 22 მარტს, რადიო-მუშაკთა დასასვენებელი დღეა, გადაცემა არ იქნება.

პარასკევი, 23 მარტი

23 მარტს თბილისის 4 კილოვატიან რადიოსადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

ავიაქიმის მოხსენება: ტექნიკის როლი მომავალ ომებში—ქართულ ენაზე.
საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.
მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები—ქართულ ენაზე.
მოხსენება: როგორ გაჩნდა ქრისტიანობა—რუსულ ენაზე.
ჯანსახკომის მოხსენება: დედობის დაცვის საკითხები—თურქულ ენაზე.
მოხსენება „რამაზანის" შესახებ—თურქულ ენაზე.
გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი"—ქართულ ენაზე.
მუსიკის ახსნა-განმარტება.
ოპერა „რომეო და ჯულიეტა"-ს ტრანსლიაცია.
გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები.
ტექნიკური კონსულტაცია.
ა. კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 22 მარტს, თბილისის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: თომა გოცირიძე.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ივანე გორკინ, მარტიროს ნაუმოვი და ივანე მალადცოვი.

მოთხოვნილება მედპერსონალზე

მედმუშაკთა სექცია უმუშევართა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე.

ლეჩხუმის მაზრაში საჭიროა ერთი კბილის ექიმი, ჯამაგირი 115 მანეთი (ბინით) კუროტთა მთავარ სამმართველოს სჭირდება ერთი ექიმი, ბორჯომის ჩარხის წყლის საექიმო პუნქტისათვის, ბორჯომის სანიტარული ექიმის მოვალეობის შეთავსებით. პუნქტი მდებარეობს ბორჯომის მუშათა რაიონში, ამიტომ საჭიროა ამბულატორიაში მუშაობის სტაჟი.

მიღებულია მოთხოვნილება ნახჩევანის მხრიდან, სადაც საჭიროა ორი ექიმის თანაშემწე მამაკაცი და ორიც ქალი.

დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მსურველმა უნდა მიმართოს თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში ამხ. გოგეშვილს.

ნარევი

განძის მაძიებელთა სააქციო საზოგადოება

ლონდონში დაარსდა მეტად ორიგინალური ორგანიზაცია „საკომბაია ექსპლორეიშენ კომპანი" (სკამბაიას მაძიებელი კომპანია), რომელიც წარმოადგენს განძის მაძიებელ სააქციო საზოგადოებას. განძი, რომლის პოვნას აპირებს საზოგადოება შეფასებულია 100 მილიონ მანეთად. განძი დამალულია სამხრეთ-ამერიკაში და მას მეტად საინტერესო ისტორია აქვს.

მეთვრამეტე საუკუნეში, როცა ახლანდელ ბოლივიას ეწოდებოდა ზემო-პერუ და ესპანეთის სამფლობელოს წარმოადგენდა, იეზუიტებს იქ ჰქონდათ ოქროსა და ალმასის მაღაროები, რომლებსაც ამუშავებდნენ ადგილობრივ მონების საშუალებით. როცა პაპმა კლიმენტ 14-ემ 1.773 წ. დაშალა იეზუიტთა ორდენი და უკანასკნელნი განდევნილ იქნენ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებიდან, ესპანეთის მთავრობამ გადასწყვიტა მოეხდინა კონფისკაცია იეზუიტთა მთელი ქონების და მათ რიცხვში, მათი პერუს მაღაროებისაც, რომლებიც მდებარეობდნენ მდ. საკანბაიაზე ბოლივიის ახლანდელ პროვინცია ლა-პაზში. ლეგენდა ამბობს, რომ იეზუიტებმა თავისი სიმდიდრე—ოქრო და ალმასები—ღირებული 50 მილიონ დოლარად (დოლარი—1. 75 კაპ.) დამალეს ერთი გორაკის საიდუმლო ადგილას. ერთ-ერთმა გაქცეულმა იეზუიტმა პატერმა გრეგორიო სან-რომანმა განძის გეგმა გაუგზავნა თავის ძმას, რომელიც პერუს ქ. კალაოს პრეფექტი იყო. უკანასკნელმა განძის საიდუმლოება გააცნო თავის შვილს, რომელიც შემდეგ პერუს პრეზიდენტი შეიქნა უკანასკნელმა საიდუმლოება გადასცა თავის ქალიშვილს, რომელმაც სიკვდილის წინ განძის ამბავი განდო ინგლისელ პროჯერსს.

თავის წიგნში „თავგადასავალი ბოლივიაში" პროჯერსი აღწერს განძის ძებნას, რაც მან 1925 წ. დაიწყო. ზემო-ხსენებულ გორაკის ხეობა-ფენებში პროჯერსმა იპოვა ვერცხლის ყუთი, რომელშიც აღმოჩნდა ხელთნაწერი პერგამენტი. ხელთნაწერი შეიცავდა „წყევლას", რომლითაც ძველათ აშინებდნენ „განძის მაძიებლებს". პროჯერსს ჰქონდა შესაძლებლობა გამოეცადა ამ „წყევლის" გავლენა პრიმიტიულად მოაზროვნე ადამიანებზე. მან ხელთნაწერი წაიკითხა თავის ფერადკანიან მუშებთან, რომლებმაც ამის შემდეგ უარი სთქვეს მუშაობის გაგრძელებაზე. რადგან ხანგრძლივი წვიმების პერიოდი ახლოვდებოდა, პროჯერსმა მიატოვა დაწყებული საქმე და დაბრუნდა ლონდონში.

ძველი ხელთნაწერების კარგი მცოდნე ედვარდ დენისონ როსსი აღიარებს, რომ პროჯერსის მიერ ნაპოვნი ხელთნაწერი ნამდვილია, ე. ი.—დაწერილია იმ დროს, როცა ლეგენდის მიხედვით, იეზუიტებმა გადამალეს განძი.

მიმდინარე წლის ზაფხულში გამოირკვევა—ზღაპარია თუ სინამდვილე იეზუიტების განძი.

ექსპედიცია, რომელსაც განძის მაძიებელთა სააქციო საზოგადოება აწყობს მიმდინარე თვეში გავა ლივერპულიდან. ექსპედიციაში იქნება 20 ინგლისელი. ექსპედიციის სათავეთა ინჟ. ედგარ სანდერსი, რომელსაც 3 წლით აქვს იჯარით აღებული ის ადგილი, სადაც განძი უნდა იყოს დამალული. ბოლივიის კანონებით, მიწის პატრონი მიიღებს ნაპოვნი განძის ერთ მესამედს. სანდერსს იმედი აქვს, რომ მუშაობას დაასრულებს ოქტომბრისათვის. ექსპედიციის ხარჯები გაანგარიშებულია 120.000 მან. რაოდენობით.

ხელოვნების ნაწარმოებთა პასპორტიზაცია

ხელოვნების ნაწარმოებთა ყალბი ნიმუშების დამზადებასთან საბრძოლველად ფრანგ მხატვართა გაერთიანებამ შემოიღო თავის წევრთა მხატვრული პროდუქციის პასპორტიზაცია. სახვითი ხელოვნების ნაწარმოების პასპორტი შესდგება: მისი ფოტოგრაფიიდან, დაწვრილებითი აღწერიდან, მხატვრულ ნაწარმოების განსაზღვრული ნაწილი მაკროფოტოგრაფიულ (გადიდებულ) სურათიდან და, დაბოლოს, რადიოგრაფიულ სურათიდან. მაკროფოტოგრაფიულ და რადიოგრაფიულ სურათებზე დეტალურად არის აღბეჭდილი მხატვრული ნაწარმოების ყველა დამახასიათებელი თავისებურებანი: ფერების არათანაბარი განაწილება და სხვ. რადგან უდიდესი გამოცდილების მქონე ფალსიფიკატორისათვისაც კი ძნელია ყველა ამ თავისებურებათა აღდგენა,—მაკროფოტოგრაფიული სურათები წარმოადგენენ მხატვრულ ნაწარმოების სინამდვილის აბსოლიუტურ გარანტიას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია საქ. ახ. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის მე-15 მოწვევის მეორე დახურული პლენუმი სარევიზიო კომისიის წევრ-კანდიდატებთან ერთად.

პლენუმის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ

სახ. უნივერსიტეტის პედაგოგ. ფაკულტ. პარტ-კოლექტივის და კომკავშირის ბიუროები იტყობინებიან პედაგ. ფაკულტ. პარტკოლექტივის და კომკავშირის წევრ-კანდიდატთა საყურადღებოდ, რომ დღეს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე (აუდიტორია № 62) შესდგება მე-2 პოლიტწრის მეცადინეობა ამხ. ს. ამაღლობელის ხელმძღვანელობით.

სავალდებულოა იმ ამხანაგების დასწრება, რომლებიც პირველ წრეში (ამხ. ს. ხუნდაძის) არ მეცადინეობდნენ.

ლენრაიონის მუშა-გლეხ-ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება 1926—27 წლ. მოწვევის დელეგატების საერთო კრება ოჯახის ქალებთან ერთად.

ძველი მოწვევის დელეგატების დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდეს ქალ-ორგანიზატორები.

სახ. უნივ. სოც. ეკონ. ფაკ. მესამე და მეოთხე კურსის ა. ლ. კ. კ. უჯრედის წევრებს: ტიტე დუმბაძეს, კაკულიას, სევერიან ნუცუბიძეს, მიხეილ ბეჟანიშვილს, ზამთარაძეს და არისტარხე გაბისონიას სთხოვენ გამოცხადდნენ ორი დღის განმავლობაში 12—2 საათ. ბიურო-კოლექტივის ოთახში ამხ. ჩაჩანიძესთან.

დღეს, 22 მარტს, საღამოს სრულ 5 საათზე, შესდგება სახ. უნივერს. სოც.-ეკ. ფაკ. პირველ და მეორე კურსთან არსებულ ახ. ლ. კ უჯრედის ბიუროს სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

აგრეთვე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები, პარტიაში გადასარიცხავად ან კომკავშირში მისაღებად.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი სთხოვს ამხ მაკარი ჯაშს, გალაქტიონ ცინცაძეს და ია მიქაძეს გამოცხადდნენ დღეს, 22 მარტს, დილ. 11 საათზე ბიურო-კოლექტივში.

სამკურნალო ფაკულტეტის პარტ-კოლექტივის ბიუროს სხდომა დანიშნულია ხუთშაბათს 22 მარტს, საღამოს 6 საათზე უნივერსიტეტის მთავარ შენობაში.

გარდა ბიუროს წევრებისა სხდომას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

ბუაჩიძე პეტრე, გიორგაძე ვარლამი, ხონელიძე შალვა, კვანტალიანი ილია, სიკინჭელაშვილი არტემ, გეგეშიძე შალვა, კობახიძე [illegible]; ეზიაშვილი ივანე, აბუთიძე გრიგოლ აბდულაძე ვასილ, ხარებავა მიხეილ, კავთელიძე ბორის, კვანტალიანი ივანე, დადუნაშვილი ლავრენტი, ცაგარელი გიორგი.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ ამხ. ჩაჩანიძესთან პირადი საქმეების მისაღებად:

არტემ ოსიპოვი, გიორგი გენგაური, ელენე [illegible], მიხეილ ყვავილაშვილი, დიომიდე ცინცაძე, ილია სხირტლაძე, ნიკოლოზ [illegible], ნოდარ კარაპეტიანი, ილია თომაშვილი, გრიგოლ თიბაგური, ივანე ქავთარაძე, ტიხონ მოშნინი; ნიკოლოზ ნოზაძე; ალექსანდრე კაპანაძე, ალექსანდრე ვასილენკო, [illegible] ოგანეზოვი, ალექსანდრე კენჭაძე, ოვანეს ედიგაროვი, ნინო მეგრელიძე, ვლადიმერ ჭიჭინაძე, პარმენ ჭელიძე, ილია ბერიძე, გერონტი ბერძულიშვილი, ვას. ჯანიაშვილი, დავით კუბლაშვილი, მიხეილ იმნაძე, აკაკი ვერულია; თედორე მიდელაშვილი, არჩილ აბრამაშვილი, იოსებ ალიაძე, სამსონ კაციტაძე, გრიგოლ ბაბუნაშვილი, რუბენ გამაზოვი, მელქისედ იკანიძე; პოლიკარპე [illegible], ივანე სვიატოგორსკი, ალექსანდრე შახნაზაროვი, ლიბარიტ გულიჯანი, [illegible] ჩანჩხიანი, ნატალია ეფიმოვა, ოლღა სიბაშვილი, პალადი ტრაპაიძე, ილია ბურულავა, ელენე ჯიბლაძე, ლუბა მეგრელიშვილი, სიმონ მამალაძე, ნიკოლოზ მ. კიკაბიძე, მარგალიტა ვასაძე, კნეზ ვართანოვი, ედუკი ილინა, არჩილ დარახველიძე და თედორე ბუდნიკოვი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო იუწყება, რომ კვირას, 18 მარტს, დღის 12 საათზე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ზაჰესის აღმშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი და მთავარი მომუშავე, ელ-სა[illegible] განყოფილების უფროსი ინჟენერ-ტექნოლოგი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
ვასილიევი

გამოსვენება პროფსაბჭოს დარბაზიდან ხუთშაბათს, 22 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.
ნ. 802 2—2

რიონის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ 18 მარტს ნაშუადღევის 12 საათზე. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რიონჰესის მთავარ ინჟენერის მოადგილე, ელექტრო-მექანიკურ განყოფილების უფროსი ინჟენერ-ტექნოლოგი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
ვასილიევი

ნ. 808

ზაჰესის საექსპლოატაციო სამმართველოს დირექცია და თანამშრომელნი გულითადი მწუხარებით იუწყებიან, რომ 18 მარტს, დღის 12 საათზე გარდაიცვალა ზაჰესის ელ-მექანიკურ განყოფილების ყ. უფროსი ინჟენერი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
ვასილიევი

გამოსვენება პროფსაბჭოს დარბაზიდან ხუთშაბათს 22 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა დიდუბის პანთეონში. 1885

ზემო ავჭალის ჰიდრო ელექტრო სადგურის ადგილკომი მუშა-მოსამსახურეთა სახელით იუწყება მათთვის დაუვიწყარ თანამშრომელის და ხელმძღვანელის ინჟენერ

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
ვასილიევის

უდროოდ გარდაცვალებას. 1887

აბაშის ჰიდრო ელექტრო სადგურის საამშენებლო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აცხადებს, რომ 18 მარტს ქ. თბილისში გარდაიცვალა აბჰესკომის

კონსულტანტი პროფესორი

ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე
ვასილიევი

2—2 ნ. 806

აბაშის ჰიდრო ელექტრო სადგურის სამუშაოთა სამმართველო ღრმა მწუხარებით იუწყება აბჰესის

კონსულტანტი პროფესორი

ალექსანდრე ალექსანდრეს ძე
ვასილიევის

გარდაცვალებას ქ. თბილისში 2—2 ნ. 806

აბაშის ჰიდრო ელექტრო სადგურის თანამშრომლები იუწყებიან ღრმად პატივცემულ და საყვარელ

პროფესორ-ინჟენერის

ალექსანდრე ალექსანდრე ძე
ვასილიევის

უდროოდ აგრდაცვალებას 2—2 ნ. 806

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ქეთე, ბარბარე, ეკატერინე, მარიამი, სოფიო, ნინა სიძეებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ დედის

ანტონა (ოლღა) ჭანიაშვილის

უდროოდ დაკარგვას, პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 23 მარტს, დღის 3 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 1882

თავზარდ ცემულნი ძმა აკაკი ცოლ-შვილით, დაი ადილაფო, ბიძაშვილები—ეფრემ, თეოფილე და შალვა ცოლ-შვილით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 20 მარტს ნაშუადღევის 5 საათზე გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ამბროსი [illegible]-ძე ისაკაძე

გამოსვენება ქალ. 1-ლ საავადმყოფოდგან 22 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე. დასაფლავება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. [ე]

სახკინმრეწვის თეატრები
აპოლო — „განკიცხული" ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით უკანასკნელი 5 და 6 სერია ერთად
არფასტო — „ნიბელუნგები" უკანასკნელი 3 და 4 სერია ერთად
სოლეი — პირველად თბილისში, ამერიკული მხატვრული შედევრი მეზღვაურის მეგ გარი. ქალი
დარბაზი — ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 4 სერიათ აფრიკის ქალიშვილი 1 და 2 სერია ერთად
ოდეონი — უკრაინის ფოტო-კინოს ფილმი ბელვედერის ჩრდილები
პროლეტარი ავლაბარი — ამერიკული ტრიუკებიანი კინო-რომანი 2 სერიათ უშიშარი ამერიკელი 1 და 2 სერია ერთად
[illegible] მალე მსოფლიო შედევრი „Жизнь за жизнь" 0—18

ა.-კ. რკ. გზების გამგეობის სამნეო სამასალო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 5 აპრილს დღის 12 საათზე დანიშნულია სამნეო-სამასალო განყოფილების შენობაში (ვაგზლის ქუჩა № 1).

შერეული ვაჭრობა

10.000 კუბიკურ მეტრ შეშის დამზადება და დადგმაზე

ხსენებული გზების საჭიროებისათვის შეშის აღნიშნული რაოდენობა დადგმულ უნდა იქნეს მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვეების განმავლობაში თანასწორ ნაწილებად ყოველ თვეში.

შეშის დადგმა შეიძლება გაიცეს ნაწილ-ნაწილად. შეშა უნდა იქნეს მაგარი ჯიშის (შეიძლება რბილიც არა უმეტეს 25%) სიგრძით 0,5 და 1 მეტრ. ხარისხით უნდა აკმაყოფილებდეს რკინის გზებზე არსებულ ტექნიკურ პირობების მოთხოვნილებებს.

სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებმა და აგრეთვე კერძო პირებმა, რომლებიც მოისურვებენ აღნიშნულ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, უნდა გამოგზავნონ წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტში ა.-კ. რკ. გზების გამგეობის სამასალო განყოფილების უფროსის სახელზე. ანდა ჩააგდონ სამნეო-სამასალო განყოფილებების კარებთან ჩამოკიდებულ სათანადო ყუთში არაუგვიანეს ამ განცხადებაში ნაჩვენებ ვადისა.

განცხადება უნდა იქნეს აუცილებლად ლუქ-დაკრულ კონვერტში წარწერით:

„ა.-კ. რკინის გზების სამნეო-სამასალო განყოფილების უფროსს". „განცხადება 5 აპრილს შეშის მიწოდების გასაცემად დანიშნულ შერეულ ვაჭრობისათვის".

(უნდა აღინიშნოს მომწოდებლის ფირმა ან გვარი).

ტექნიკური პირობები შეშის დასამზადებლად და აგრეთვე სხვა საჭირო ცნობები მსურველთა შეუძლიათ მიიღონ ა.-კ. სამნეო-სამასალო განყოფილების სატყეო და სათბობ მასალათა ნაწილში ყოველ დღე 9—3 საათამდე.

ა.-კ. რკინის გზების გამგეობის სამნეო-სამასალო განყოფილება.

ნ. 807 1—1

სააქციო ს ზ-ბა „საქართველოს ჩაი"-ს

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამავე საზოგადოების წესდების მე-28 §-ის თანახმად, 1928 წლის 10 აპრილს, სამშაბათს, შუა დღის 12 საათზე, ქ. თბილისში, გამგეობის შენობაში [რუსთაველის პროსპ. № 25] მოწვეულია საზოგადოების

აქციონერთა

საერთო კრება

განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის მოხსენება სააქციო საზ-ბის მუშაობის შესახებ გასული [1927] საოპერაციო წლის განმავლობაში.
2. სარევიზიო კომისიის დასკვნა გასული 1926 და 1927 წლების ანგარიშებისა და 1928 წლის პირველ იანვრისათვის ბალანსის შესახებ.
3. გამგეობის 1926 და 1927 წლების ანგარიშების დამტკიცება.
4. სააქციო საზ—ბა „საქართველოს ჩაი"-ს პერსპექტიული გეგმა ს.ს.ს. რესპუბლიკაში ჩაის კულტურისა და წარმოების განვითარების შესახებ მომავალ ხუთი წლის (1928—1932) განმავლობაში.
5. გამგეობის 1928 წლის საოპერაციო ხარჯთ-აღრიცხვისა და საწარმოო-საფინანსო გეგმის დამტკიცება.
6. გლეხურ მეურნეობის რეკონსტრუქცია საბჭოთა საქართველოს ჩაის კულტურის რაიონებში.
7. გამგეობის წევრის დამტკიცება ნაცვლად გამგეობის შემადგენლობიდან გასულ წევრისა.
8. მიმდინარე საქმეები.

აქციონერთა წარმომადგენლებს თან უნდა ჰქონდეთ სათანადო რწმუნება.

ნ. გამგეობა.

იყიდება
სახლი
ფლიგელში 12 ოთახით, ენგელსის ქ. (ყოფ. ბებუთოვის) № 34. იკითხეთ 3 საათიდან საღამოს 7 საათამდე, სადარბაზო კარებიდან მესამე სართული მარცხნივ.

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიღსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8საათამდე. 13—7

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეთი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან [illegible] 11—78 25—0

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9.

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ეგორესის ქ. კუთხე. 25 -1

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 5—12

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 ([illegible] აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ 4—6 საათ. 25—1

ქუთაისში
ექ. დ. ჩეჩელაშვილი
გადავიდა ახალ ბინაზე ჭა ქავაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალ. ექიმობა ფილტვებში მიღება დილის 8—12 საათ. 13—1

ექიმი
ნ. ცურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
შინაგანი სნეულებანი
სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—2

ექიმი
ა. დ. პეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12 – საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1 ტელ. 12—67

დაიკარგა: ქიათურის შავი ქვის სააქციო საზოგადოებიდან მოცემული ორი აქცია, უსახელო ერთი № 2094 და სახელიანი № 2091, აპოლონ ილიას-ძე კაკაბაძეს სახელზე. ჩ. გ. 1884

დაიკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 28261 გიორგი ფარსადანოვის სახელზე, ჩ. გ. 1883

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 64